



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ჯუბო ტურაშვილი

სადოქტორო პროგრამა - სამართალი

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

**„ვალაუვალობის წარმოების თავისებურებები ევროკავშირის
რეგულაციების მიხედვით და შედარებითი კვლევა ვალაუვალობის ქართულ
სამართალთან“**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: როინ მიგრიაული

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0192, საქართველო

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად

ჯუბო ტურაშვილი

თარიღი:

სარჩევი

ანოტაცია	4
შესავალი	15
თავი I. ევროპული ვალაუვალობის პრინციპები	36
1.1 არსებითი ინტერესების ადგილის ცნება და არსი	38
1.2 ევროპული რეგულაციის დაშვებები და მათი პრაქტიკული დანიშნულება	48
1.3 რეგისტრაციის მისამართი VS არსებითი ინტერესების ადგილი	51
1.4 ვალაუვალობის წარმოება და იურისდიქცია	56
1.5 ვალაუვალობის წარმოებების შერწყმა	70
თავი II. „არსებითი ინტერესების ადგილის“ მიგრაცია	75
2.1 საზოგადოებათა მიგრაცია	82
2.2 ფორუმ შოპინგის რეგულირება ევროკავშირის განახლებული რეგულაციის მიხედვით	88
2.3 მიგრაცია პირადი ინტერესების საფუძვლით	93
2.4 მოცდის პერიოდი	96
2.5 კრედიტორების დაცვა მიგრაციის დროს	100
თავი III. ვალაუვალობის მეორადი წარმოება	105
3.1 განაცხადი მეორადი წარმოების მიზნით	111
3.2 ვალაუვალობის მეორადი წარმოება საქართველოში	117
-	117
დასკვნა	125
ბიბლიოგრაფია	131
სამართლებრივი აქტები და პრაქტიკული მაგალითები	142

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომზე ფიქრი ჯერ კიდევ საფრანგეთში, ქალაქ ჩემბერში სწავლების პერიოდში დავიწყე. მიზეზი, რომელმაც ვალაუვალობის სამართლის სიღრმისეული ანალიზის სურვილი გამიღვივა, ევროპული ვალაუვალობის რეგულაცია და შემდგომში განახლებული რეგულაციის არსებობა გახლავთ. ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია 2000 წლიდან ძირითადი ნორმატიული აქტია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის ვალაუვალობის წარმოების ირგვლივ. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი ერთიან და ჰარმონიზებულ სივრცეს წარმოადგენს წევრი სახელმწიფოთათვის, სამეწარმეო საქმიანობის განვითარებამ და მენარმე სუბიექტების აქტივობამ, დაარღვია ვალაუვალობის სამართლის ჰარმონია და შედეგად, 2017 წლიდან ძალაში შევიდა ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია, რომელმაც გარკვეულწილად დაასტაბილურა ევროპული ვალაუვალობის ქაოტური მდგომარეობა.

ვალაუვალობის სამართალი ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი, თუმცა დღემდე განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფი სამართლის დარგია. შთაბეჭდილება მრჩება, რომ რატომღაც ვალაუვალობა, როგორც ცალკე აღებული სამართლის დარგი, ვერ იქცევს ისეთ ყურადღებას იმისათვის, რომ მეტი იურისტი ან დამწყები იურისტი დაინტერესდეს მისით. თუ ჩემი შთაბეჭდილება მართებულია, მაშინ შეიძლება გამოსავალი სწორედ იურისტებში ან დამწყებ იურისტებშია, ვინაიდან სწორედ ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ დარგის აქტუალიზაცია და მისი მნიშვნელობისა და დანიშნულების სწორი ფორმით მიწოდება იურისპუდენციაში მოღვაწე

ნებისმიერი ადამიანისთვის. სწორედ მსგავსი მოსაზრებები რეალიზდებიან დარგის სიღრმისეულ კვლევაში და გამომდინარე იქიდან, რომ სამართალი არ გახლავთ ზუსტი მეცნიერება, რა გვიშლის ხელს იმაში, რომ თეორიული დაშვებების, ობიექტური კრიტიკის, არგუმენტირებული მსჯელობისა და პროგრესული აზროვნების ფონზე, ვალაუვალობას შევძინოთ ის აქტუალიზაცია, როგორც პირობითად სამეწარმეო სამართალს ახასიათებს. მოგეხსენებათ, ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შედეგად, საქართველოს სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს ქართული სამართლებრივი ნორმების ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზება.

ბუნებრივია, გამონაკლისი არ გახლავთ არც ვალაუვალობის სამართალი და შესაბამისად, დავინყე ვალაუვალობის ევროპული რეგულაციების თავისებურებების კვლევა, რათა ევროპული ვალაუვალობის ფუნდამენტური საკითხები არ ყოფილიყო უცხო ვალაუვალობის ქართული სამართლისა თუ დარგში მოღვაწე დაინტერესებული პირებისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ წინამდებარე კვლევის მიმდინარეობის განმავლობაში, საქართველოში ჯერ კიდევ მოქმედებდა 2007 წლის „გადახდისუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონი, ხოლო უკვე 2021 წლის აპრილიდან ძალაში შევიდა გადახდისუნარობის განახლებული - „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების“ შესახებ საქართველოს კანონი.

უნდა აღინიშნოს, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაციების თავისებურებების სიღრმისეული კვლევის უმთავრესი მიზანი გახლდათ, ამავე რეგულაციების ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი საკითხების წარმოჩენა, პრობლემების იდენტიფიცირება და შემდგომში, ვალაუვალობის ქართულ სამართალში გათვალისწინებისა და მათი ადაპტირების შესაძლებლობის

ანალიზი. ბუნებრივია, ევროპული სამართლის ქართულ სამართალთან შედარებითი ანალიზის მიზნით, საჭიროებისამებრ პარალელი გავლებულია 2007 წლის გადახდისუნარობის კანონთან, თუმცა ვალაუვალობის ქართული სამართლის ბოლოს განხორციელებული სიახლისა და ნაშრომის სრულყოფილობის გამო, წარმოჩენილია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის დაშვებებიც.

წინამდებარე ნაშრომი შეიცავს სამ თავს, რომელთაგან თითოეული თავი შეიცავს შესაბამის ქვეთავებს.

თავი პირველი - ეთმობა ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის ამოსავალს და ძირითადი სამართლებრივი მექანიზმების განმსაზღვრელს - მოვალე საზოგადოების „არსებით ინტერესების ადგილს“. აღნიშნული ტერმინი წარმოადგენს ინგლისურიდან გადმოქართულებულ ჩემეულ ვერსიას. კვლევის ეტაპზე გამოიკვეთა, რომ ვალაუვალობის ევროპულ რეგულაციაში არსებული ჩანაწერი „centre of main interest“ - გულისხმობს მოვალე საზოგადოების ძირითადი ეკონომიკური აქტივობის ადგილს, სადაც იგი რეგულარულად ახორციელებს საკუთარ ეკონომიკურ აქტივობას და აღნიშნული აღიარებულია მესამე პირების მიერ. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ვალაუვალობის განახლებული ქართული კანონი („რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“) რამდენიმე წლის განმავლობაში მუშავდებოდა შესაბამისი სამუშაო ჯგუფების მიერ, საბოლოოდ ძალაში 2021 წლის აპრილში შევიდა და აღნიშნული დოკუმენტი, შეიცავს მცირე ინფორმაციას „არსებითი ინტერესების ადგილის“ შესახებ, თუმცა გვხვდება უცხოენიდან პირდაპირი თარგმანით.

არსებულ დოკუმენტში ზემოაღნიშნული ინგლისური ტერმინი გადმოქართულებულია, როგორც „მთავარი ინტერესების ცენტრი“. კვლევის ნაწილში ჩემს მიერ განხილულია, თუ რატომ შეიძლებოდა აღნიშნული

ტერმინის უკეთესად გადმოქართულება და ამ საფუძვლით ვთავაზობდი ჩემს მიერ შეთავაზებულ რედაქციას. დისერტაციის პირველ თავში შეიძლება ითქვას, რომ საუბარია ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის იმ სამართლებრივი ღირებულებების ირგვლივ, რომლებიც ვალაუვალობის ევროპული სამართლის ფუნდამენტური საკითხებია. აღნიშნული დასტურდება იმ საფუძვლით, რომ მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი“ წარმოადგენს ვალაუვალობის ევროპული რეგულაციით განსაზღვრულ პირველ კრიტერიუმს, რომლის მიხედვით, მოვალე საზოგადოების მიმართ იწყება ვალაუვალობის პირველადი წარმოება ევროკავშირში. როდესაც უფლებამოსილი პირი, მიმართავს ევროკავშირის წევრ რომელიმე სახელმწიფოს უფლებამოსილ სასამართლოს, ვალაუვალობის პირველადი წარმოების დაწყების შესახებ, პირველი, რასაც მოსამართლე აკეთებს, ეს გახლავთ - დაადგინოს ან/და ეცადოს დაადგინოს მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ ზუსტი ადგილმდებარეობა, ვინაიდან ვალაუვალობის წარმოება ევროკავშირში მოვალე საზოგადოების მიმართ, იწყება არა მისი რეგისტრირებული მისამართის, არამედ მისი „არსებითი ინტერესების ადგილის“ მიხედვით.

თავი მეორე - წინამდებარე თავი ეთმობა ვალაუვალობის ევროპული რეგულაციისთვის კარგად ნაცნობ, თუმცა დღემდე პრობლემურ საკითხს, რომელსაც მოვალე საზოგადოების მიგრაცია, იგივე მოვალე მენარმე სუბიექტის რედომიცილება ჰქვია. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საკითხი გულისხმობს, მოვალე საზოგადოების მიერ, მისი „არსებითი ინტერესების ადგილის“ ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში გადატანას. არსებულ მექანიზმს მიმართავდნენ მოვალე საზოგადოებები მაშინ, როდესაც იმყოფებოდნენ ვალაუვალობის ან მოსალოდნელი ვალაუვალობის წინაშე და იცოდნენ, რომ იმ სახელმწიფოში, სადაც ამჟამად იმყოფებოდა მათი „არსებითი ინტერესების ადგილი“, შედარებით ხისტი მიდგომა იქნებოდა მოვალე საზოგადოების

მიმართ და უპირატესობა კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილებას მიენიჭებოდა. შესაბამისად, მოვალე საზოგადოება ცდილობდა, ეპოვნა ისეთი სამართლებრივი სივრცე, სადაც შეძლებისდაგვარად მეტი სარგებელი ექნებოდა მას, როგორც ვალაუვალს ან მოსალოდნელი ვალაუვალობის წინაშე მყოფ საზოგადოებას.

გარდა იმისა, რომ მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ მიგრაცია ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის პრობლემურ საკითხს წარმოადგენს და შეიძლებოდა მისი სიღრმისეული ანალიზი, მეორე თავეში ასევე განხილულია ის შესაძლებლობა, რომელსაც გვაძლევს ქართული სამართლებრივი სივრცე. კერძოდ, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს მენარმე სუბიექტის რეგისტრირებული მისამართის ცვლილებას (რედომიცილება). კონკრეტული ჩანაწერი შინაარსობრივად მსგავსია იმ კრიტერიუმებისა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მენარმე სუბიექტი ევროკავშირის წევრი ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში მიგრაციისას. შესაბამისად, თუ სამენარმეო სამართალი იძლევა შესაძლებლობას, რომ მენარმე სუბიექტმა შეიცვალოს რეგისტრირებული მისამართი საქმიანობის გასაგრძელებლად საკუთარი სურვილისამებრ, ხომ შეიძლება იმ საკითხის სიღრმისეული თეორიული და პრაქტიკული კვლევა, რომ რეგისტრირებული მისამართის ცვლილება განპირობებული იყოს არა სამენარმეო საქმიანობის გასაგრძელებლად, არამედ მის დასასრულებლად. ის ფაქტი, რომ აღნიშნულ იდეას აქვს არსებობის საფუძველი, დასტურდება ევროკავშირის სამართლის პრაქტიკული მაგალითებით. შესაბამისად, მეორე თავე იძლევა შესაძლებლობას, რომ დაინტერესების შემთხვევაში მეტი აქტუალურობა შეიძინოს არსებულმა მოსაზრებამ, რომელიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ვალაუვალობის, როგორც დარგის კიდევ უფრო მეტ განვითარებას ქართულ სამართლებრივ სივრცეში.

თავი მესამე - წინამდებარე თავში საუბარია ვალაუვალობის მეორადი წარმოების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია იცნობს ვალაუვალობის წარმოების ორ ეტაპს. იმისათვის, რომ დაიწყოს ვალაუვალობის ძირითადი წარმოება, მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ მოძიება და იდენტიფიცირება ხდება. მოგვეხსენებათ, აღნიშნული წარმოდგენს მოვალე საზოგადოების კუთვნილ იმ ადგილს, საიდანაც იგი ახორციელებს საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის ადმინისტრირებას. რაც შეეხება ვალაუვალობის მეორად წარმოებას, მისთვის არათუ მნიშვნელოვანია მენარმე სუბიექტის „არსებითი ინტერესების ადგილი“, პირიქით, არც განიხილება. ვალაუვალობის მეორადი წარმოების დაწყება ხდება იმ უფლებამოსილი სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც მოვალე საზოგადოება ფლობს გარკვეულ ქონებას. დისერტაციის მეორე თავში წარმოდგენილი მსჯელობა გარკვეულწილად ცნობილია ვალაუვალობის ქართული სამართლისთვისაც (განცალკევებული წარმოება), რომლის შესახებ დეტალური ანალიზია წარმოდგენილი.

Annotation

When I was studying in France, Chambery, I have started thinking about the presented paper. The reason that has increased my desire for an in-depth analysis of Insolvency law was European Insolvency Regulation at first and then European Insolvency Regulation Recast. European Insolvency Regulation represents the main legal document that regulates Insolvency cases since 2000. Despite the fact that EU is a unified and harmonized space for the member states, development of entrepreneurial activities and activity of entrepreneurial entities have breached the harmony of Insolvency Law and therefore, European Insolvency Regulation Recast came into force since 2017 that tries to stabilize the chaotic European Insolvency Law.

Insolvency Law represents the most fundamentally important but unfortunately underdeveloped field of Law to date. From my point of view Insolvency Law is like a separate field of Law that doesn't attract enough attention by the lawyers or beginners. In the case my impression is correct, then the solution is in lawyers or beginners because we have to try to ensure the actualization of the field and proper delivery of the purpose to the people in the field. I assume that such considerations are realized in depth research of this field and Because of the reason that Law is not an exact science, we have to try to progress Insolvency Law like corporate law based on theoretical assumption, objective criticism, reasoning and progressive thinking.

As the result of signing of the Association Agreement between EU and Georgia State, Georgia has undertaken to ensure the harmonization of Georgian Legal norms with European Legislation. Of course Insolvency law is no exception and therefore I have began to study to the peculiarities of Insolvency Law with the purpose European Insolvency Law would not be unknown for Georgian Law.

It must be noted that during the working period related presented topic, Georgian Insolvency Law was still in force (2007) and then in April, 2021, updated law of Georgia on "Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditors" came into force. It should be also noted that one of the goals of in depth study of the European Insolvency Regulation was to present fundamentally important issues, identify problems, find/offer solutions and further analyze the possibility of considering and adapting in Georgian law. The purpose of comparative analysis of Georgian law firstly was to analyse both – 1996 and 2007 Georgian Law, but because of law changes, Georgian new insolvency law is also presented in this paper.

The present paper contains three chapters, each of them contains relevant subsections:

Chapter I - Dedicates the origins of the European regulation of indebtedness and defines the basic legal mechanisms – Debtor’s centre of main interest (COMI).

This term is my version translated from English. At the research stage, it was revealed that "center of main interest" refers to the place of economic activity of the debtor company, where it regularly carries out its economic activity and is recognized by third parties. At the same time, it should be noted that new insolvency law ("On Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditors") was developed by the relevant working groups for several years and finally entered into force in April 2021. There is direct translation of the presented words from the foreign language.

In the existing document, the above-mentioned English term is translated as "center of main interests". In the research part, I have discussed why the term could be better translated, and on this basis, I have suggested the version I proposed. In the first chapter of the dissertation it can be said that we are talking about the legal values of the European insolvency, which are fundamental issues of European insolvency regulation. This is confirmed by the fact that "Centre of main interest" of the debtor is the first criterion defined by the European Regulation on Debt, according to which the initial production of debt in the EU begins. When an authorized person applies to the competent court of an EU Member State for an initial proceeding of default, the first thing a judge does is to determine and/or try to pinpoint the exact location of debtor’s centre of main interest.

Chapter II - This chapter is devoted to the European insolvency law, which is well known, but still a problematic issue, which is the Migration of the debtor. It is important to note that this issue implies the transfer of its "COMI" from one State to another by the debtor. The existing mechanism was applied by debtor companies when faced with default or expected default and knowing that in the state where

their "COMI" were currently present, a relatively rigid approach would be taken towards the debtor community and creditors' interests would be preferred.

Consequently, the debtor sought to find a legal space where it could benefit as much as possible from it as a debtor or a society facing an expected default. In addition to the fact that the migration of the debtors' "substantial interests" is a problematic issue of European debt regulation and could be analyzed in depth, the second chapter also discusses the possibility (thinking of a mechanism) that the Georgian legal space gives us. In particular, the Law of Georgia on Entrepreneurs recognizes the change of the registered address of an entrepreneur (redomicillation). The specific record is similar in content to the criteria that an entrepreneur must meet when migrating from one EU Member State to another. Consequently, if entrepreneurial law allows an entrepreneurial entity to change a registered address to continue its activities at its own discretion, can an in-depth theoretical and practical study of the issue be that the change of registered address is conditioned not to continue an entrepreneurial activity but to terminate it. The fact that this idea has a basis for existence is confirmed by practical examples of EU law. Accordingly, the second chapter provides an opportunity to acquire more relevance of the existing opinion in case of interest, which in turn will contribute to the further development of volatility as a field in the Georgian legal space.

Chapter III - This chapter discusses the secondary insolvency proceedings. It is important to note that the European insolvency regulation recognizes two stages in the production of insolvency. In order to start the main production of insolvency, the "COMI" of the debtor society is sought and identified. As you know, this is the place of the debtor society from which it carries out its economic activities. As for the secondary production of insolvency the "COMI" of the entrepreneur is not important for him, on the contrary. Secondary insolvency proceedings are initiated by an

authorized court in whose territory the debtor company owns certain property. The reasoning presented in the second chapter of the dissertation is also somewhat known for the GEorgian insolvency law (separate proceedings), about which a detailed analysis is presented.

შესავალი

ევროკავშირის სამართლებრივი თუ ეკონომიკური განვითარება პირდაპირ კავშირშია მენარმე სუბიექტებისა და მათი სამენარმეო საქმიანობის განვითარებასთან. გარდა იმისა, რომ მენარმე სუბიექტები თავიანთ ეკონომიკურ აქტივობას იწყებენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ხშირია შემთხვევა, როდესაც ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული მენარმე სუბიექტი, სამენარმეო საქმიანობას იწყებს ან აგრძელებს ოპერირებას ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში. ეს უკანასკნელი დიდ პრობლემას იწვევს ვალაუვალობის წარმოებისას, ვინაიდან რთულდება მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის განსაზღვრა, კრედიტორთა იდენტიფიცირება, უფლებამოსილი სასამართლოს დადგენა და აშ.

ვალაუვალობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები, არეგულირებს ურთიერთობას კრედიტორსა და მოვალეს შორის. ძირითადად, ვალაუვალობის რეგულირების სფერო მოიცავს და განიხილავს შიდა სახელმწიფოებრივი ვალაუვალობის წარმოების საკითხებს, თუმცა როდესაც ვსაუბრობთ „ვალაუვალობის წარმოების თავისებურებებზე ევროკავშირის რეგულაციების მიხედვით“, მასში იგულისხმება იმ სამართლებრივ ნორმათა სისტემა, რომლებიც განსაზღვრავენ ვალაუვალობის წარმოების თავისებურებებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და არეგულირებენ ვალაუვალობის საერთაშორისო წარმოების საკითხებს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა 1980 წლიდან დაიწყო ვალაუვალობის წარმოების მარეგულირებელ ნორმებზე ფიქრი, ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია 2002 წლიდან შევიდა ძალაში. აღნიშნული დოკუმენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არამხოლოდ იმიტომ, რომ იგი მარეგულირებელია კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების,

არამედ იმიტომ, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ვალაუვალობის წარმოების თავისებურებების განსაზღვრა.

წინამდებარე დოკუმენტში გაჩნდა ჩანაწერი მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ შესახებ, რომლითაც ასევე გაჩნდა შესაძლებლობა, იდენტიფიცირებულ ყოფილიყო ის სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილ სასამართლოშიც დაინყებოდა ვალაუვალობის ძირითადი წარმოება მოვალე საზოგადოების მიმართ.

ვინაიდან სამართლებრივ ნორმათა ცვალებადობა დამოკიდებულია ეპოქის, წლების, სამეწარმეო საქმიანობის, საზოგადოების განვითარებაზე, ევროკავშირმა 2012 წელს დაიწყო ფიქრი ვალაუვალობის სამართლებრივი ნორმების განახლებაზე. მოქმედი რეგულაცია ვედარ აწესრიგებდა ვალაუვალობის სამართლებრივ ურთიერთობებს და საბოლოოდ 2017 წლის ივნისში, ძალაში შევიდა ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია. ახალმა სიტყვამ არსებითად არ შეცვალა ძველი რეგულაციის მიდგომა, თუმცა უზრუნველყო შედარებით მონესრიგებული სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბება.

მნიშვნელოვანია, რომ პირველი სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც რეგულირდებოდა ვალაუვალობის წარმოება, ვენის 1997 წლის 30 მაისის კონვენცია გახლდათ და შესაბამისად, შემდგომში, ვალაუვალობის სამართლებრივი ნორმებიც აღნიშნული კონვენციის საფუძველზე შეიქმნა.

ევროკავშირის ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია დაფუძნებულია ფუნდამენტურ პრინციპზე, რომლის მიხედვით, სასამართლოს, რომელიც მდებარეობს ევროკავშირის წევრ იმ სახელმწიფოში, სადაც მოვალე საზოგადოება ფლობს არსებით ინტერესების ადგილს, უფლებამოსილია დაიწყოს ვალაუვალობის ძირითადი წარმოება. ევროკავშირის ვალაუვალობის სამართლებრივი მონესრიგებების მიხედვით, ვალაუვალობის ევროპული

სამართალი მოიცავს ისეთ სამართლებრივ ნორმებს, რომელთა რაობაც ოთხ პრინციპზეა აღმოცენებული, კერძოდ: უნივერსალურობის პრინციპი, ადგილმდებარეობის პრინციპი, ერთიანობის პრინციპი და მრავალსახეობის პრინციპი.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ არსებული პრინციპები წარმოადგენენ აუცილებელ შემადგენელ ელემენტებს ვალაუვალობის წარმოებისთვის, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსალურობისა და ადგილმდებარეობის პრინციპები, ევროპული ვალაუვალობის რეგულაციის და ზოგადად, ევროპული ვალაუვალობის სამართლის მამოძრავებელ ელემენტებს წარმოადგენენ, სწორედ მათი რაობის განსაზღვრაზე შევჩერდეთ.

აღსანიშნავია, რომ მანამ სანამ 2015 წლის რეგულაცია გამოჩნდებოდა ვალაუვალობის ევროპული სამართლის სივრცეში, ევროკავშირში მოქმედი ერთადერთი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ვალაუვალობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებდა, ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაცია გახლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციაში არსებული დაშვებები ხშირად ორაზროვნად იყო აღქმული და შედეგად ვალაუვალობის წარმოების დაწყების მომენტიდან დაბრკოლებებს აწყდებოდნენ ევროკავშირში მოქმედი მენარმე სუბიექტები, ვალაუვალობის სამართალი ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სამართლის დარგია ევროკავშირში. შესაძლებელია ამ უკანასკნელის მიზეზი სწორედ 2000 წლის რეგულაციაში არსებული ხარვეზები იყო, რომლებმაც ავტომატურად უბიძგა ვალაუვალობის დარგს განვითარებადი სამართლებრივი ნაბიჯების გადადგმის, ხოლო ევროკანონმდებელს განახლებული რეგულაციის შექმნისკენ. საბოლოოდ, ევროკანონმდებლების მიერ მრავალწლიანი მუშაობის შედეგად, ვალაუვალობის განახლებულმა რეგულაციამ გზა გაუხსნა ვალაუვალო

მენარმე სუბიექტებს ორგანიზებული მოქმედების, კეთილსინდისიერი და ჯეროვანი სამართლებრივი ნაბიჯების გადადგმისკენ.

მოგვსენებათ, რომ ევროკავშირის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი საკუთრი წევრი სახელმწიფოებისთვის თავისუფალი, უსაფრთხო და სამართლიანი გარემოს შექმნაა. მენარმე სუბიექტების საქმიანობის განვითარება დიდი ხანია გასცდა ადგილობრივ წარმოებას და უფრო მეტი საერთაშორისო ელემენტი შეიძინა. შესაბამისად, უფრო მნიშვნელოვანია სწორი და სრულყოფილი სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბება.

მნიშვნელოვანია, რომ მენარმე სუბიექტების საერთაშორისო აქტიურობა დიდ გავლენას ახდენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკურ განვითარებაზე, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გავლენის მოხდენა შესაძლებელია არამხოლოდ ეკონომიკური აქტივობით, არამედ ვალაუვალობის წარმოებითაც, ვინაიდან მენარმე სუბიექტის ირგვლივ არსებული თითოეული ქმედება მნიშვნელოვანია ვალაუვალობის წარმოების თითოეულ ეტაპზე.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირისთვის სამართლებრივი ნორმების სწორი კოორდინაცია ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია. იმისათვის, რომ ვალაუვალობის ევროპული სამართლებრივი გარემო გამართულად ფუნქციონირებდეს აუცილებელია:

- განისაზღვროს ვალაუვალობის წარმოებაზე უფლებამოსილი სასამართლო;
- აღიარებულ და აღსრულებულ იყოს ვალაუვალობის წარმოების შედეგები ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის;

- განისაზღვროს ვალაუვალობის მეორადი წარმოებისთვის საჭირო ღონისძიებები;
- დაცულ იქნას ვალაუვალობის წარმოებაში მონაწილე კრედიტორების ინტერესები, მიეცეთ საშუალება საკუთარი ინტერესების დაცვის, ვალაუვალობის როგორც მთავარ, ასევე მეორად წარმოებაში და ამ.

ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია ვალაუვალობის კოლექტიური წარმოებით ხასიათდება, რომელიც ასევე მოიცავს მენარმე სუბიექტის კუთვნილი ქონების განკარგვისა და სალიკვიდაციო წარმოების მიზნით ლიკვიდატორის დანიშვნას. ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია კოლექტიურ წარმოებაში გულისხმობს იმ ფაქტს, რომ მოვალე საზოგადოების მიმართ ვალაუვალობის წარმოებას არა ვიწრო, არამედ ფართო მნიშვნელობა აქვს. ეს უკანასკნელი ნიშნავს იმას, რომ გამომდინარე იქიდან, რომ შესაძლებელია მოვალე საზოგადოებას კუთვნილი ქონება გააჩნდეს ევროკავშირის წევრ სხვადასხვა სახელმწიფოში, სადაც არ უნდა იყოს თითოეული მათგანი, მოძიებულ უნდა იქნას იმისათვის, რომ სწორედ მათი საშუალებით დაკმაყოფილდეს მოვალე საზოგადოების კრედიტორთა ინტერესები.

რაც შეეხება ვალაუვალობის ევროპული რეგულაციების ზოგად მიმოხილვას, უნდა აღინიშნოს, რომ ვალაუვალობის 2015 წლის განახლებული რეგულაცია არსებითად არ განსხვავდება ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაციისგან, რაც ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივი ნორმების შინაარსი ასევე არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა რა თქმა უნდა, ფუნდამენტურად მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით სახეზეა უფრო მონესრიგებული და სრულყოფილი ნორმები, რამაც თავისმხრივ ტექნიკურად გამოიწვია რეგულაციაში სამართლებრივი ნორმების რაოდენობრივი ზრდა. ქვემოთ იდენტიფიცირებულია ვალაუვალობის 2000 წლის ევროპული

რეგულაცია, ვინაიდან სწორედ აღნიშნული დოკუმენტი გახლდათ ევროპული ვალაუვალობის განვითარების პირველი ნაბიჯი. თუმცა, აქვე წარმოდგენილია ვალაუვალობის 2015 წლის განახლებული რეგულაციის შესახებ დებულებებიც.

ზოგადი დებულებები

ზოგადი დებულებები განსაზღვრავს რეგულაციის მოქმედების სფეროს. იგი შემოიფარგლება მხოლოდ იმ წარმოებით, რომელიც მიმართულია მოვალე საზოგადოების კუთვნილი ქონების განკარგვისა და ლიკვიდატორის დანიშვნისკენ. რაც შეეხება მოქმედების არეალს, რეგულაცია ემყარება პრინციპს, რომლის მიხედვით, იმ ქვეყნის სასამართლოს, სადაც მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი მდებარეობს“ უფლება აქვს დაიწყოს ვალაუვალობის წარმოება მოვალე საზოგადოების მიმართ. ვალაუვალობის წარმოების მიზნებისთვის, მოვალე საზოგადოების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართლებრივი ნორმები, რომლის ტერიტორიაზეც დაიწყება ვალაუვალობის წარმოება.

ვალაუვალობის წარმოების ცნობა და აღიარება

ვალაუვალობის წარმოების დაწყების ცნობა და აღიარება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ ნიშნავს იმას, რომ ვალაუვალობის წარმოების შესახებ უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში, წარმოშობს იმავე ეფექტს, რაც აღნიშნულ წარმოებას აქვს წარმოების დამწყებ სახელმწიფოში. აღნიშნული გულისხმობს, იმას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის წევრი ერთი სახელმწიფოს მიერ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება, ვალაუვალობის წარმოების დაწყების შესახებ, სხვა სახელმწიფოები ვალდებული არიან აღიარონ მიმდინარე წარმოების ვალიდურობა.

ვალაუვალობის წარმოების ცნობისა და აღიარების შესახებ საუბარია ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაციის მე-16, ხოლო 2015 წლის რეგულაციის

მე-19 მუხლებში. ვალაუვალობის ევროპული რეგულაციების აღნიშნული მუხლების მიხედვით, იმ ქვეყანაში დაწყებული წარმოება, სადაც მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი მდებარეობს, ავტომატურად უნდა იქნას აღიარებული სხვა წევრი სახელმწიფოების მიერ.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ჩანაწერი ასევე არ გამორიცხავს იმას, რომ სხვა სახელმწიფომ არათუ აღიაროს ვალაუვალობის პირველადი წარმოება, არამედ, მოვალე საზოგადოების მიმართ დაიწყოს მეორადი წარმოება. ასეთის არსებობა გულისხმობს იმას, რომ მოვალე საზოგადოებას ჩამოერთმევა საკუთარი ქონების განკარგვის უფლება, ვინაიდან მეორადი წარმოება, პირდაპირ კავშირშია სალიკვიდაციო წარმოებასთან.

ვალაუვალობის მეორადი წარმოება

როგორც უკვე აღვნიშნე, მოვალე საზოგადოების მიმართ დაწყებული ვალაუვალობის პირველადი წარმოება იმ ქვეყნის უფლებამოსილი სასამართლოს მიერ, სადაც მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი მდებარეობს, არ გამორიცხავს იმას, რომ ამავე საზოგადოების მიმართ დაიწყოს ვალაუვალობის მეორადი წარმოება იმ ქვეყნის უფლებამოსილი სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც მოვალე საზოგადოების კუთვნილი ორგანიზაციული წარმონაქმნი მდებარეობს. შესაძლებელია ითქვას, რომ ვალაუვალობის მეორადი წარმოების მიზანი გახლავთ, დაიცვას მოვალე საზოგადოების კრედიტორები, რომლებიც მონაწილეობენ ვალაუვალობის პირველად წარმოებაში და ასევე, დაეხმაროს ვალაუვალობის პირველად წარმოებას.

ვალაუვალობის 2000 წლის ევროპული რეგულაციის 29-ე, ხოლო 2015 წლის რეგულაციის 34-ე მუხლის მიხედვით, ვალაუვალობის მეორადი წარმოების დაწყების უფლება გააჩნია ვალაუვალობის პირველად წარმოებაში დანიშნულ ლიკვიდატორს, ან/და ამავე სახელმწიფოს კუთვნილი

სამართლებრივი ნორმების საფუძველზე განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს. მაგალითად, აღნიშნული პირი შესაძლებელია იყოს კრედიტორი, რომელიც ფიქრობს, რომ ვალაუვალობის მეორადი წარმოება გახლავთ შანსი იმისა, რომ დაიკმაყოფილოს ის ინტერესები, რომელთა დაკმაყოფილებაც ვერ შეძლო ვალაუვალობის წარმოების პირველ ეტაპზე.

კრედიტორების მიერ განცხადების შეტანა

ნებისმიერი კრედიტორი, იმ შემთხვევაში თუ მისი ადგილსამყოფელი მდებარეობს იმავე სახელმწიფოში, სადაც მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილია, უფლებამოსილია წერილობით მიმართოს უფლებამოსილ სასამართლოს. იგი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს, როგორც ვალაუვალობის პირველად, ასევე მეორადი წარმოების დროს. აღნიშნული თავი მნიშვნელოვანია ასევე იმითაც, რომ საუბარი მოვალე საზოგადოების მიერ კრედიტორებისთვის ვალაუვალობის წარმოების შეტყობინების ვალდებულების შესახებაც.

გარდამავალი დებულებები

აღნიშნულ თავში საუბარია იმის შესახებ, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ ვალაუვალობის იმ წარმოებებზე, რომელთა წარმოებაც დაიწყო 2002 წლის 31 მაისიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ვალაუვალობის განახლებულ რეგულაციაში, რომელიც 2015 წელს იქნა მიღებული, დამატებულია ორი თავი, საზოგადოებათა გაერთიანებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, და შესაბამისად განისაზღვრება შვიდი თავით.

თემის აქტუალობა

ვალაუვალობის სამართალი ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი, თუმცა, სამწუხაროდ, განვითარების არცთუ ისე მაღალ საფეხურზე მყოფი სამართლის დარგია. მოგეხსენებათ ვალაუვალობის სამართლის დანიშნულება მენარმე სუბიექტების ვალაუვალობის, ან/და მოსალოდნელი ვალაუვალობის საკითხების დარეგულირება გახლავთ. ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია წარმოადგენს სახელმძღვანელოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, რომელიც ძალაში 2002, ხოლო ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია 2017 წელს შევიდა.

ამ პერიოდის განმავლობაში ევროკავშირში შეიქმნა არაერთი პრაქტიკული შემთხვევა, რომელსაც პასუხი მხოლოდ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ გასცა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის პირველი რეგულაცია მრავლისმომცველი სამართლებრივი ნორმების შემცველი გახლდათ, ბოლომდე ვერ მოიცვა და ვერ ამოწურა ევროკავშირში არსებული მოვალე საზოგადოებების არაკეთილსინდისიერი ქმედებები და საბოლოოდ, საჭირო გახდა განახლებული რეგულაციის მიღება პრევენციული ღონისძიებების გათვალისწინებით.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის ფუნდამენტური საკითხების (მათ შორის პრობლემური საკითხების) ანალიზს, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, წარმოჩინდეს ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის პრობლემები, იდენტიფიცირდეს მათი გადაჭრის გზები, პარალელი გავალოთ ვალაუვალობის ქართულ სამართალთან, წარმოვაჩინოთ თეორიული დაშვებები ვალაუვალობის ქართული სამართლისთვის და იდენტიფიცირდეს თეორიული დაშვებების პრაქტიკული ადაპტირების გზები, რაც წინამდებარე ნაშრომს უფრო აქტუალურს ხდის.

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მიღებულია ვალაუვალობის სამართლის სამი კანონი - 1996 წლის კანონი

„გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“, 2007 წლის კანონი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ და სულ ახლახანს ძალაში შესული, 2020 წლის „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში მოქმედებდეს ვალაუვალობის ეფექტიანი და დღევანდელ მოცემულობას მორგებული კანონმდებლობა, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკა მოითხოვს, როგორც ბაზარზე შესვლის მონესრიგებულობას სამენარმეო საქმიანობის დაწყების მიზნით, ასევე, ბაზრიდან გასვლის სტრატეგიას, სამენარმეო საქმიანობის დასასრულებად. სწორედ აღნიშნული განაპირობებს საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების დაინტერესებას, საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებას და ინვესტიციების მოძიებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას.

მსგავსად ვალაუვალობის 2000 წლის ევროპული რეგულაციისა, 2007 წლის გადახდისუუნარობის კანონმა არაერთი ცვლილება განიცა. დროთა განმავლობაში კანონში განხორციელდა ჯამში ოცდათერთმეტი ცვლილება და დამატება, რაც განპირობებული იყო, გარკვეული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში რეაბილიტაციით დასრულებული წარმოების მაჩვენებელი თითზე ჩამოსათვლელი, ხოლო იშვიათად ნულის ტოლი იყო. შესაბამისად, ნათლად წარმოჩინდა, რომ მოქმედ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, გარდაუვალი იყო ძირეული ცვლილებები მოქნილი და მოვალის რეაბილიტაციის უპირატესობის მიზნით სამართლებრივი ნორმების შესაქმნელად.

2021 წლის აპრილში ძალაში შევიდა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი. ეს უკანასკნელი დასტურია იმისა, რომ ვალაუვალობა, როგორც სამართლის დარგი, აგრძელებს განვითარებასა და პროგრესული სამართლებრივი

ნორმების შექმნას. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი, ევროპული რეგულაციით გათვალისწინებული პრობლემური საკითხები, შესაძლებელია, რომ სიღრმისეული მოკვლევის შემდგომ, შეძლებისდაგვარად, ადაპტირდეს განახლებულ კანონში. ვალაუვალობის ევროპული რეგულაციით გათვალისწინებული დაშვებების ქართულ სამართლებრივ ნორმებში იმპლემენტაციის შესაძლებლობა კი წარმოდგენილი ნაშრომის დანიშნულების ამალგებს ემსახურება.

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზნებია:

- წარმოჩინდეს მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ მნიშვნელობა და დანიშნულება;
- განვიხილოთ მენარმე სუბიექტების მიგრაციის პრობლემები ევროკავშირში;
- წარმოჩინდეს მენარმე სუბიექტების მიგრაციის შესაძლებლობა ვალაუვალობის წარმოების მიზნით საქართველოში;
- განვიხილოთ ვალაუვალობის მეორადი წარმოების პრობლემური საკითხები;

კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- ვალაუვალობის ევროპული რეგულაციების იმ თავისებურებების შესწავლა, რომელიც დაკავშირებულია ევროპული ვალაუვალობის პირველად და მეორად წარმოებასთან;

- ვალაუვალობის ევროპულ რეგულაციებში არსებული დაშვებების იდენტიფიცირება, რომელთაც ამ ეტაპზე არ იცნობს ან სიღრმისეულად არ იცნობს ვალაუვალობის ქართული სამართალი;

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანი - მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი“, მისი მიგრაცია და ვალაუვალობის მეორადი წარმოება;

კვლევის ობიექტი - ვალაუვალობის 2000 და 2015 წლის ევროპული რეგულაციები;

თემის მეცნიერული სიახლე

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი იძლევა მენარმე სუბიექტების რედომიცილების, ესე იგი მენარმე სუბიექტის რეგისტრირებული მისამართის ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში გადატანის შესაძლებლობას სამენარმეო საქმიანობის გაგრძელების მიზნით. კვლევის ნაწილში განხილულია მოვალე საზოგადოების **რეგისტრირებული მისამართის ცვლილების**, იგივე **მიგრაციის** შესაძლებლობა, არა სამენარმეო საქმიანობის გასაგრძელებლად, არამედ მის დასასრულებლად, რაც ვალაუვალობის ქართული სამართლისთვის სიახლეს, ხოლო ვალაუვალობის ევროპული რეგულაციისთვის უკვე კარგად შესწავლილ თენომენს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ვალაუვალობის ქართულ სამართლებრივ სივრცეში

პირველად მოხდა ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის იმ თავისებურებების განხილვა, რომელიც წინამდებარე ნაშრომშია წარმოდგენილი.

„არსებითი ინტერესების ადგილს“ არ იცნობს ვალაუვალობის ქართული სამართალი, ვალაუვალობის ევროპული რეგულაციისთვის კი ამოსავალ წერტილს წარმოადგენს. აღნიშნული მხოლოდ გაკვრით არის ნახსენები ვალაუვალობის 2020 წლის განახლებულ კანონში ისიც ინგლისურიდან პირდაპირ გადმოქართულებული თარგმანით (მთავარი ინტერესების ცენტრი).

კვლევის ეტაპზე დეტალურად განხილულია „არსებითი ინტერესების ადგილის“ დანიშნულება და მისი ჯეროვანი ქართული შესატყვისის მოძებნის კრიტერიუმები. მნიშვნელოვანია, რომ მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ შესახებ ჯერ კიდევ კოლოქვიუმი #1 - ის ეტაპზე ვსაუბრობდი, რაც დაახლოებით ორი წლით წინ უსწრებს განახლებული კანონის მიღებას, აღნიშნული კი, თავის მხრივ, დასტურია იმისა, რომ წარმოდგენილი საკითხის აქტუალობის შესახებ ჯერ კიდევ სამართლებრივი ნორმების განახლებამდე ვმსჯელობდი.

წარმოდგენილი ტერმინის შინაარსი ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე იგი დღეს მოქმედ სამართლებრივ ნორმებშია წარმოჩენილი. სწორედ მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი“ გახლავთ ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის ამოსავალი წერტილი და შესაბამისად, წარმოდგენილი ტერმინის შინაარსის ირგლივ იდენტიფიცირებული პრობლემები, სწორედ მის დანიშნულებას უკავშირდება.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის ის ფუნდამენტური საკითხები, რომელზეც ფაქტიურად დგას

ვალაუვალობის ევროპული სამართალი. ნაშრომში განხილულია ის თეორიული დაშვებები, რომელთა ქართულ სამართლებრივ სივრცეში ადაპტირება თეორიულად და პრაქტიკულად შესაძლებელია და არ წარმოადგენს დიდ სირთულეს დარგში მოღვაწე სპეციალისტებისთვის. ნაშრომში წარმოდგენილი საკითხების პრაქტიკაში ასახვა განავითარებს ვალაუვალობის ქართულ სამართალს, რომლითაც კიდევ უფრო მიუახლოვდებით ევროკავშირის ჰარმონიზებულ სამართლებრივ სივრცეს.

ვალაუვალობა, როგორც დარგი, კვლავ რჩება სამართლის განვითარებად დარგად. სამართალი, თავის მხრივ, ცოცხალი ელემენტებისგან შემდგარი და მუდმივად განვითარებადი სისტემაა და შესაბამისად, ვითარდება და იხვეწება ვალაუვალობის სამართლებრივი ნორმებიც. აღსანიშნავია, რომ ცვლილებები, რომლებიც ხორციელდება ვალაუვალობის ქართულ სამართალში, ძირითადად განაპირობა ეპოქათა ცვლილებამ და შედეგად მიღებულ იქნა კონსესუსუნარიანი სამართლებრივი ნორმები, რომლებიც შეესაბამება დღევანდელ რეალობას, თუმცა სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში ადაპტირება, კვლავ წარმოშობს უამრავ პასუხგაუცემელ კითხვას და გადაუჭრელ პრობლემას. შესაბამისად, ცალსახად მნიშვნელოვანია, სამართლებრივი ნორმების ხარვეზების შევსება, როგორც ვალაუვალობის დარგის გასავითარებლად, ასევე წარმოშობილი პრობლემების გადასაჭრელად.

მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია, რადიკალურად განსხვავდება ვალაუვალობის ქართული სამართლებრივი ნორმებისგან. ევროკავშირის სამართლებრივ ნორმათა სისტემა მრავალფეროვანი და პრევენციული ხასიათისაა. ორიენტირებულია, როგორც მოვალის, ასევე კრედიტორის ინტერესთა დაცვაზე, როგორც ძირითად, ასევე მეორადი ვალაუვალობის წარმოების პროცესში.

ამასთან, არსებობს უამრავი საკითხი, რომელსაც არ იცნობს ვალაუვალობის ქართული სამართალი, განსხვავებით ევროკავშირისა და იმ შემთხვევაში, თუ საქართველო უზრუნველყოფს გარკვეულ ევროპულ სამართლებრივ ნორმათა ქართულ ნორმებში იმპლემენტაციას, ხელს შეეწყობთ ვალაუვალობის დარგობრივად განვითარებას, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ ასახვას ჰპოვებს ვალაუვალობის წარმოების პროცესის განვითარების თითოეულ ეტაპზე საქართველოში.

კვლევის მეთოდოლოგია

საწარმოს გონების თეორია - აღნიშნული თეორიის მიხედვით, მენარმე სუბიექტის მართვა და მასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება, არა საზოგადოების რეგისტრირებული მისამართის, არამედ, მისი არსებითი ინტერესების ადგილის მიხედვით. შესაბამისად, ნებისმიერი გადაწყვეტილება სამენარმეო საზოგადოების ეკონომიკური ოპერირების ირგვლივ მიიღება სწორედ საზოგადოების ძირითადი ეკონომიკური აქტივობის ადგილიდან.

ლუმანის თეორია - ლუმანი მიჩნეულია თანამედროვეობის ყველაზე სისტემურ მოაზროვნე მეცნიერად ჰეგელის შემდეგ. ლუმანის მოძღვრება ეფუძნება პოზიტიური სამართლის თეორიას. მისი აზრით, სამართლის ფუნქცია არ ამოიწურება წინასწარ მოცემული ქცევის მასშტაბების შენარჩუნებითა და კონფლიქტების მოწესრიგებით. სამართალი თანადროულია, უპირველეს ყოვლისა იმ თვალსაზრისით, რომ იფი ორიენტირებულია ჯერ კიდევ უცნობ, გაურკვეველ მომავალზე.

დვორკინის თეორია - დვორკინი სამართალს არ განიხილავს, როგორც მხოლოდ ნორმებისა და წესების ერთობლიობა. დვორკინის ამოსავალი

წერტილია არა თავისუფლება, არამედ თანასწორობა. მისი აზრით სამართალი მოიცავს სხვა ნორმატიულ მასშტაბებსაც, კერძოდ პრინციპებსა და პოლიტიკურ მიზნებს.

კვლევის მეთოდები

ისტორიული მეთოდი - საკვლევ თემაზე მუშაობის პროცესში გამოყენებულ იქნა ისტორიული მეთოდი, ვინაიდან იმისათვის, რომ შემდგომში უზრუნველყო საკვლევ თემის დეტალური ანალიზი, აუცილებელია მისი წარმომავლობის და შემდგომში, მისი განვითარების განმაპირობებელი ფაქტორების ცოდნა.

ფორმალურ - იურიდიული მეთოდი - როგორც ბატონმა მინდია უგრეხელიძემ აღნიშნა, „სამართალი შეისწავლება საკუთრივ სამართლებრივ კანონზომიერებათა იმედად“, შესაბამისად ფორმალურ - იურიდიული მეთოდი წარმოადგენს ქვაკუთხედს, რაზეც დგას ჩვენი სამართალი და გვერდს ვერ ავეუღლით მას აკადემიურ ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

ტელეოლოგია, როგორც მეთოდი - ვინაიდან საკვლევ თემის ობიექტი მოიცავს სამართლებრივ ნორმათა ანალიზს და შემდგომში მათ ქართულ სამართლებრივ ნორმებთან შედარებას, გამოყენებულ იქნა ტელეოლოგია, როგორც მეთოდი, ვინაიდან სწორედ ნორმათა განმარტება წარმოადგენს ამოსავალ წერტილს, როდესაც საქმე ეხება ძველი სამართლებრივი ნორმების ახლით ჩანაცვლებას ან/და კონკრეტული სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციას. ეს უკანასკნელი უნდა განხორციელდეს არგუმენტირებული სტრუქტურით. რაინჰოლდ ციპელიუსის მიხედვით „ჯერ კიდევ ინტერპრეტაციის კლასიკურმა კრიტერიუმებმა აჩვენა, რომ ისტორიულ და სისტემურ კონტექსტებს არგუმენტაციული წონა აქვს, რადგან ისინი საკანონმდებლო საქმიანობის აზრსა და მიზანს უფრო ნათელს ხდიან“.

ამასთან, რაინჰოლდ ციპელიუსის მიხედვით „სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია ხორციელდება იმ მოტივებზე და ფაქტებზე მსჯელობის შედეგად, რომლებიც ასახულებს თუ რა მნიშვნელობით უნდა იქნას გაგებული ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა“.

ჰერმენევტიკის მეთოდი - ჰერმენევტიკა ერთ-ერთი უძველესი, ტრადიციული და უნივერსალური თეორია ტექსტის ინტერპრეტაციისა და გაგების მიხედვით. როგორც ბატონმა მინდია უგრეხელიძემ აღნიშნა, გადამერის თეორიის თანახმად, ტექსტის აზრობრივი პროცენტი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ის, რაც მის შემოქმედს ჰქონდა ჩაფიქრებული. გადამერი თვლის, რომ არ შეიძლება გავიგოთ ნაწარმოები, როგორც მხოლოდ თავისთავადი, შემოქმედებითი საქმიანობის ერთეული პროდუქტი, რადგან ხელოვნების ნებისმიერი ნიმუში კულტურული გამოცდილების მატერიალური ობიექტივაცაა. შესაბამისად, აღნიშნული ხერხი, ჩემს მიერ გამოყენებულ იქნება, როგორც ტექსტის აზრობრივი ნაწილის უკეთ აღსაქმელად.

წინამდებარე თემაზე მუშაობის პროცესში ასევე გამოყენებულია **ნარატიული, დესკრიფციული, ისტორიული და შედარებითი მეთოდები**.

ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ეტაპზე გამოყენებულ იქნა ის წყაროები, რომელთა განხილვა შემდგომი ანალიზის მიზნით მიზანშეწონილად მივიჩნიე. უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში წარმოდგენილია ის წყაროები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია კვლევის საგანთან და პირდაპირ უკავშირდება, ვალაუვალობის, როგორც ძველი, ასევე ახალი რეგულაციებით გათვალისწინებული საკითხების ანალიზს.

- შესავალი გაკორტებისა და გადახდისუუნარობის სამართალში (დამხმარე სახელმძღვანელო) მე-3 გადამუშავებული გამოცემა, 2017, სახელმძღვანელოს ავტორია როინ მიგრიაული, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი, ადვოკატი. სახელმძღვანელო განკუთვნილია სამართლის სკოლის სტუდენტების, ადვოკატების, მოსამართლეებისა და ვალაუვლობის სამართლით დაინტერესებული პირებისთვის.
- Forum shopping under the EU Insolvency Regulation, 2008, ავტორი გახლავთ ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორი Wolf – Georg Ringe, აღნიშნული წყარო ეჭვქვეშ აყენებს ვალაუვალ საზოგადოების მიგრაციასთან დაკავშირებულ ნეგატიურ დამოკიდებულებას. წინამდებარე ნაშრომში განხილულია, რომ მოვალე საზოგადოების მიგრაცია, იგივე ფორუმ შოპინგი, შესაძლებელია სარგებლის მომტანი იყოს, როგორც მოვალე საზოგადოებისთვის, ასევე მისი კრედიტორებისთვის.
- Cross-border insolvency proceedings and security rights, აღნიშნული ნაშრომი პოლ მაიქლ ვედერის ავტორობით, გამოქვეყნებულ იქნა 2004 წელს. წინამდებარე ნაშრომში ავტორი საუბრობს ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაციის შესახებ, მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის, მეორადი წარმოების, კრედიტორთა ინტერესების დაცვასა და ვალაუვალობის წარმოებასთან დაკავშირებულ პროცესებზე.
- The center of main interests of the debtor in the insolvency proceedings at the European Union level differences between the EU regulation 2000 and 2015, ავტორი მორარუ მიქაელა ბეატრის, გამოცემულია 2017 წელს. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც

ძველი, ასევე ახალი რეგულაციის დაშვებების გათვალისწინებით. ასევე, წარმოჩენილია ის განსხვავებები, რომლებიც სახეზეა განახლებული რეგულაციის მიღების შედეგად.

- Main and Secondary Proceedings in the Recast of the European Insolvency Regulation. აღნიშნული ნაშრომის ავტორია რებერტ არტსი და იგი გამოქვეყნებულ იქნა 2017 წელს მაქს პლანკის სახელობის უნივერსიტეტში. წინამდებარე ნაშრომში ავტორი საუბრობს მოვალე საზოგადოების მიმართ ვალაუვალობის მეორადი წარმოების შესახებ, მეორადი წარმოების დაწყების საფუძვლების, კრიტერიუმების, კრედიტორთა ჩართულობისა და მოვალე საზოგადოების კუთვნილი ქონების არსებობის მნიშვნელობის შესახებ მეორადი წარმოების მიზნებისთვის.
- The EU Insolvency Regulation Recast: Scope and Rules on Jurisdiction, ავტორი ფრანცისკო გარსიმარტინ, გამოცემულია 2016 წლის მარტში მადრიდის უნივერსიტეტის მიერ. აღნიშნულ ნაშრომში საუბარია მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის განსაზღვრის საჭირო კრიტერიუმებთან დაკავშირებით.
- The “COMI” concept in the revision of the European Insolvency Regulation, რომლის ავტორი გახლავთ დარიო ლატელა. აღნიშნული ნაშრომი გამოქვეყნებულია 2014 წელს და საუბარია ვალაუვალობის განახლებული რეგულაციის ირგვლივ. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ვალაუვალობის არსებითი ინტერესების ადგილის დანიშნულებაზე ვალაუვალობის წარმოების მიზნებისთვის.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები

საკვლევი თემის მოსალოდნელი შედეგები ითვალისწინებს აკადემიური ნაშრომის შექმნას, რომელიც გამოსადეგი იქნება, როგორც დარგში მოღვაწე, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილია ასოცირების შეთანხმება, რომლის თანახმად, საქართველომ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს საკუთარი სამართლებრივი ნორმების შეძლებისდაგვარად ჰარმონიზება ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებთან. აღნიშნული მიზანი ვერ მიიღწევა ცალკე აღებული მხოლოდ ქართული სამართლებრივი ნორმების განვითარებით, რამეთუ მნიშვნელოვანია ევროკავშირის რეგულაციების ანალიზი და სწორედ აღნიშნულის საფუძველზე ქართული სამართლებრივი მექანიზმების განვითარება.

შესაძლებელია ნაშრომში წარმოდგენილი თეორიული დაშვებები წარმოუდგენლად მიიჩნიოს რომელიმე მეცნიერმა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამართალი, როგორც დარგი წარმოადგენს კონსესუსუნარიან სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, ეს უკანასკნელი კი გულისხმობს დარგობრივ განვითარებას, ეპოქისა და ხალხის განვითარებასთან ერთად. შესაბამისად, იმ ფონზე, როდესაც საქართველო უფრო ახლოს დგას ევროკავშირთან, არ იქნება ურიგო ევროკავშირის სამართლებრივი ნორმების ანალიზი და იმის განხილვა, თუ რამდენად შესაძლებელია ევროპული ნორმების ქართულ სამართლებრივ სივრცეში ადაპტირება.

ყოველ შემთხვევაში ხელს არაფერი გვიშლის, ვინაიდან სამართალი არ წარმოადგენს მათემატიკასავით ზუსტ მეცნიერებას და თითოეულ მოსაზრებას, რომელიც განვითარების შემდგომ ეტაპზე იდეად ტრანსფორმირდება, აქვს არსებობის უფლება შემდგომში სიღრმისეული კვლევისა და ანალიზისთვის.

დისერტაციის სტრუქტურა

წარმოდგენილი დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული სიისგან, რომელიც მოიცავს ას ორმოც დასახელებას.

თავი I. ევროპული ვალაუვალობის პრინციპები

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაციისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე სწორედ უნივერსალურობის პრინციპია, ვინაიდან, იგი თავის არსში გულისხმობს პრინციპს, რომლის მიხედვით, ევროკავშირის წევრი ერთი სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვალაუვალობის წარმოებასთან დაკავშირებით, ავტომატურად უნდა იქნას აღიარებული და აღსრულებული ევროკავშირის წევრ სხვა წევრს მიერ სახელმწიფოში, ყოველგვარი დამატებითი ღონისძიებების გარეშე.

უნივერსალურობის პრინციპი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას ვალაუვალობის პირველადი წარმოების შესახებ ევროკავშირის წევრ იმ სახელმწიფოში, სადაც მოვალე საზოგადოებას გააჩნია „არსებითი ინტერესების ადგილი“. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა ევროკავშირის წევრი თითოეული სახელმწიფოსთვის, მიუხედავად მოვალე საზოგადოების რეგისტრირებული მისამართისა თუ ფაქტობრივი ადგილსამყოფელისა.

ამასთან, მას შემდეგ, რაც უფლებამოსილი სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას ვალაუვალობის წარმოების შესახებ და დაიწყება ვალაუვალობის პირველადი წარმოება ევროკავშირის წევრ ერთ სახელმწიფოში, პირობითად, ვალაუვალობის მმართველი, რომელიც დაინიშნება სასამართლოს მიერ, უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი უფლებები და ვალდებულებები ავტომატურად სხვა წევრს მიერ სახელმწიფოში, რომელიც ხვდება ევროპული ვალაუვალობის წარმოების მოწესრიგების არეალში, მაგალითად:

თუ ვალაუვალობის პირველადი წარმოება დაიწყება ესპანეთში, ჰოლანდიის კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული და მოქმედი მენარმე სუბიექტის მიმართ, იმ საფუძვლით, რომ ესპანეთის სასამართლო მოკვლევის შედეგად დაადგენს, რომ მენარმე სუბიექტის არსებითი ინტერესების ადგილი არის ესპანეთში, აღნიშნულ გადაწყვეტილებას ექნება იგივე იურიდიული ძალა ჰოლანდიაშიც, ყოველგვარი ზედმეტი და დამატებითი პროცედურების გარეშე. ამავდროულად, ის, თუ რომელ ქვეყანაშია რეგისტრირებული მოვალე საზოგადოება, არ წარმოადგენს ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხს აღნიშნული მიზნებისთვის.

შემდეგი პრინციპი, რომელსაც ითვალისწინებს ვალაუვალობის ევროპული მართლწესრიგი - მოვალე საზოგადოების „ადგილმდებარეობის პრინციპია“. მასში იგულისხმება, როგორც ვალაუვალობის პროცესის ცალკეული, დამოუკიდებელი წარმოება (იმ შემთხვევაში, თუ პირველადი წარმოება არ არის დაწყებული), ასევე ვალაუვალობის მეორადი წარმოება (იმ შემთხვევაში, თუ პირველადი წარმოება უკვე დაწყებულია).

თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია, რომ იმისათვის, რომ მოვალე საზოგადოების მიმართ დაიწყოს ვალაუვალობის მეორადი წარმოება, აუცილებელია მოვალე საზოგადოება ფლობდეს გარკვეულ „ქონებას“, არა იმ ქვეყანაში, სადაც მას არსებითი ინტერესების ადგილი გააჩნია, არამედ ევროკავშირის რომელიმე წევრ სხვა სახელმწიფოში.

ცალკე განსახილველია „ქონების“ მნიშვნელობაც. ევროპული რეგულაცია მასში გულისხმობს გარკვეულ ეკონომიკური აქტივობის ადგილს, სადაც მოვალე საზოგადოება ფლობს გარკვეულ მატერიალურ სიკეთეებს. ევროპული რეგულაციის მე - 3 მუხლის მე - 2 პუნქტის¹ მიხედვით, მოვალე საზოგადოების კუთვნილი ქონება იმ შემთხვევაში აღიქმება „ქონებად“, თუ სხვა

¹ European Insolvency Regulation recast, Art 3 (2) 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>; უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

სახელმწიფოში იგი ფლობს გარკვეულ ორგანიზაციულ წარმონაქმნს, რომლის მიზანსაც ეკონომიკური აქტივობა წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ უნივერსალურობის პრინციპი, თავის მხრივ, ევროპული ვალაუვალობის მამოძრავებელი ელემენტია, იმდენად რამდენადაც, აღნიშნული პრინციპის საფუძველზე ევროკავშირის წევრი თითოეული სახელმწიფო წარმოებაში იღებს ვალაუვალობის განცხადებებს და ამასთან, მიღებული გადაწყვეტილება ვალაუვალობის წარმოების შესახებ აღსასრულებლად სავალდებულოა ევროკავშირის წევრი თითოეული სახელმწიფოსთვის.

ადგილმდებარეობის პრინციპი ხაზს უსვამს მოვალე საზოგადოების „ქონების“ არსებობის საჭიროებას ვალაუვალობის მეორადი წარმოების დანყების მიზნებისათვის და ასევე განმარტავს, რომ შეუძლებელია ვალაუვალობის მეორადი წარმოება „ქონების“ არარსებობის შემთხვევაში, ხოლო „ქონების“ ადგილმდებარეობა აპრიორშივე უნდა განსხვავდებოდეს მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის მდებარეობისგან.

1.1 არსებითი ინტერესების ადგილის ცნება და არსი

არსებული თავი მიზნად ისახავს მოვალე საზოგადოების “არსებითი ინტერესების ადგილის” რაობის განსაზღვრას. აღნიშნული საკითხი ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის² ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს და შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესის ადგილთან დაკავშირებული საკითხები ნათლად იქნას წარმოჩენილი³. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის ევროპული

² European Insolvency Regulation recast, Art 3, 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

³ Aksamovic D, EU insolvency law – New recast regulation on insolvency proceedings, 71-81, 2012, www.hesearchgate.net, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

რეგულაციის ძირითადი ნაწილი და ზოგადად ევროპული ვალაუვალობის სამართალი, მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის ირგვლივ ტრიალებს და აპელირებს მის დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე, როგორც თეორიული დაშვების, ასევე პრაქტიკულ გამოყენების თვალსაზრისით.⁴

ევროპული ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაცია⁵ არ შეიცავდა კონკრეტულ ნორმას, რომელიც ზედმინევით გადმოსცემდა არსებითი ინტერესების ადგილის რაობას, თუმცა შეიცავდა დათქმას აღნიშნულის შესახებ, ეს უკანასკნელი კი, საბოლოოდ, კონკრეტული სამართლებრივი ნორმის სახით ჩამოყალიბდა 2015⁶ წლის განახლებულ რეგულაციაში⁷.

როდესაც ევროკავშირის წევრი, რომელიმე ქვეყნის სასამართლო, იმ ფაქტობრივი გარემოებების წინაშე დგას, რომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ვალაუვალობის წარმოების დანაშაულის შესახებ თუ არა, პირველი შეკითხვა, რომელიც ჩნდება, არის მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის არსებობა და შესაბამისად მისი ადგილმდებარეობა.

როდესაც საუბარია მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის „მდებარეობაზე“, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი მოიცავს, როგორც გეოგრაფიულ, ასევე ეკონომიკურ მდებარეობას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას⁸. უნდა აღინიშნოს, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია მოიცავს, როგორც იურიდიული პირების, ასევე ფიზიკური პირების გადახდისუნარობის საკითხებს, რაც ნიშნავს იმას, რომ

⁴ Wessels B, The changing landscape of cross-border insolvency law in Europe, vol.12, 2007, 116-124, www.hesearchgate.net, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

⁵ European Insolvency Regulation, 1346/2000, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁶ European Insolvency Regulation recast, 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁷ Garcimartin F, The EU insolvency regulation recast: scope and rules on jurisdiction, Madrid, 12-16, <http://www.ejtn.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁸ Kirkbridge J and Howells G, International Journal of Law and Management – Volume 50, Number 2, 2008, Emerald Group publishing, ISSN 1754-243 X, 57-60, <http://www.emeraldgrouppublishing.com>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

განსხვავებით ქართული სამართლებრივ სივრცეში არსებული ნორმებისა, რომლის მიხედვით გადახდისუნარიობის სუბიექტები არიან⁹ მენარმე სუბიექტები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, არარეგისტრირებული კავშირები და ამხანაგობები, ევროპული რეგულაცია გვთავაზობს ფიზიკური პირების მიმართ ვალაუვალობის წარმოების დანყების შესაძლებლობას.¹⁰ აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ განსხვავებულია არსებითი ინტერესების ადგილის მდებარეობის განსაზღვრის კრიტერიუმები იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან მიმართებით¹¹.

მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია, ფიზიკურ პირებთან მიმართებით, ერთმანეთისგან მიჯნავს საცხოვრებელსა და ფაქტობრივ ადგილსამყოფელს და შესაბამისად, მათი პრაქტიკული დანიშნულებაც და გამოყენებაც მათ შორის არსებული განსხვავებულობიდან გამომდინარეობს¹².

ევროპული რეგულაციის მიხედვით, ფაქტობრივი საცხოვრებელი, არ შეიძლება განხილულ იყოს, როგორც ფიზიკური პირის ადგილსამყოფელი, მაგრამ ამავდროულად, აღნიშნული შესაძლებელია აღქმულ იყოს, როგორც ფიზიკური პირის სურვილის მიხედვით არსებული სამყოფელი, სადაც იგი სტაბილურად ახორციელებს ყოფა - ცხოვრებას¹³.

⁹ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=70>, უკანასკნელად გადამონმბებულ იქნა 02/05/2022

¹⁰ Arts R, main and Secondary proceedings in the recast of the European insolvency regulation, 2-11, <https://www.iiiglobal.org>, უკანასკნელად გადამონმბებულ იქნა 02/05/2022

¹¹ Aksamovic D, EU insolvency law – New recast regulation on insolvency proceedings, 71-81, 2012, www.hesearchgate.net, უკანასკნელად გადამონმბებულ იქნა 01/05/2022

¹² Wessels B, The changing landscape of cross-border insolvency law in Europe, vol.12, 2007, 116-124, www.hesearchgate.net, უკანასკნელად გადამონმბებულ იქნა 01/05/2022

¹³ European Insolvency Regulation recast, recital 30, 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამონმბებულ იქნა 02/05/2022

რაც შეეხება მენარმე სუბიექტის არსებითი ინტერესების ადგილის დადგენის კრიტერიუმებს, უნდა ითქვას, რომ ვალაუვალობის 2000¹⁴ წლის ევროპული რეგულაცია, შეიცავს ვარაუდს, რომლის მიხედვით, მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი მდებარეობს იქ, სადაც მოვალე საზოგადოების რეგისტრირებული მისამართია¹⁵. აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენს პრეზუმციას, რომლის დადგენის მიზანი პირველადი ვალაუვალობის წარმოებისთვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრაა. გამომდინარე იქიდან, რომ ევროკავშირი წარმოადგენს ერთიან ჰარმონიზებულ სივრცეს, რომელშიც წევრ სახელმწიფოში რეგისტრირებული იურიდიული პირები, უფლებამოსილი არიან თავისუფლად გადაადგილდნენ და აწარმოონ ეკონომიკური საქმიანობა მათთვის სასურველ ნებისმიერ სახელმწიფოში, მრავალი კითხვა იბადება, როგორც მენარმე სუბიექტის რეგისტრირებული მისამართის, ასევე მის შესაძლო ცვლილებასთან დაკავშირებით¹⁶.

თუმცა, აქვე ჩნდება კითხვა, შესაძლებელია, თუ არა, რომ მოვალე საზოგადოების რეგისტრირებული მისამართი და მისი არსებითი ინტერესების ადგილი მდებარეობდეს ერთსა და იმავე ადგილას, ანუ მათი ადგილმდებარეობა ერთმანეთს ემთხვეოდეს და მოვალე საზოგადოების რეგისტრირებული მისამართი აკმაყოფილებდეს იმ კრიტერიუმებს, რომელიც აუცილებელია მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის განსაზღვრეულად?¹⁷

¹⁴ Weideman J, Stander A, European and American perspective on the choice of law cross-border insolvencies, 136-145, ISSN 1727-3781, www.hesearchgate.net, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹⁵ Aksamovic D, EU insolvency law – New recast regulation on insolvency proceedings, 71-81, 2012; , www.hesearchgate.net, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

¹⁶ European Insolvency Regulation, recital 14, 1346/2000, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹⁷ Wessels B, The changing landscape of cross-border insolvency law in Europe, vol.12, 2007, 116-124; www.hesearchgate.net, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

ბუნებრივია, რომ მოვალე საზოგადოების რეგისტრირებული მისამართი, შესაძლებელია და ობიექტურია, რომ აღქმულ იყოს მენარმე სუბიექტის ძირითადი აქტივობის ადგილად, თუმცა, სამართლებრივი პრაქტიკა შედარებით განსხვავებულ სურათს იძლევა და ამბობს, რომ ის თეორიული დაშვება, რომლის მიხედვით მოვალე საზოგადოების რეგისტრირებული მისამართი და მისი არსებითი ინტერესების ადგილი ერთსა და იმავე ადგილას მდებარეობს, შესაძლოა იყოს არასწორი ან სადავო.

ევროპული ვალაუვალობის რეგულაციისა და შესაბამისად, ევროკავშირში არსებული პრეცედენტების მიხედვით, როდესაც საუბარია მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესები ადგილის განსაზღვრასა და მის რაობაზე, მნიშვნელოვანია მოვალე საზოგადოების ის ეკონომიკური, ფინანსური აქტივობა, რომელსაც იგი ახორციელებს, რამდენად ემთხვევა მოვალე საზოგადოების რეგისტრირებულ მისამართს.

აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც, ევროკავშირი წარმოადგენს საერთო სივრცეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, რაც თავის მხრივ, წევრ სახელმწიფოში არსებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აძლევს უფლებას, თავისუფალი გადაადგილებისა და თავისუფალი ეკონომიკური აქტივობისა. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ მოვალე საზოგადოება, ერთი მხრივ, რეგისტრირებული იყოს ევროკავშირის წევრ ერთ სახელმწიფოში, ხოლო ეკონომიკურ აქტივობას ფლობდეს/ენეოდეს რომელიმე სხვა წევრ ქვეყანაში.

მნიშვნელოვანია, რომ მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი ვარაუდის დონეზე ჰქონდა განსაზღვრული ევროკავშირის 2000 წლის ვალაუვალობის რეგულაციას და შესაბამისად, გარდა სხვა ზემოაღნიშნული კრიტერიუმებისა, მნიშვნელოვანი იყო მოვალე საზოგადოების კრედიტორების

როლიც, თუ როგორ იყო აღქმული მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი მოვალე საზოგადოების კრედიტორების მიერ. მაგალითად:

„მენარმე სუბიექტს, რომელიც დაარსებული და მოქმედია პირობითად ჰოლანდიის კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია, რომ ჰყავდეს კაპიტალის 100% - იანი წილის მესაკუთრე ესპანელი ფიზიკური პირი, რომელიც მართავს საზოგადოებას, უძღვება საზოგადოების ფინანსურ სიძნელეებს, ცდილობს მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები და აშ¹⁸.

ევროპული რეგულაცია ამბობს, რომ შესაძლებელია, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ესპანელი ფიზიკური პირი უძღვება ჰოლანდიის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ და მოქმედ საზოგადოებას, კრედიტორების მიერ აღქმულ იყოს, რომ მოვალე საზოგადოების ეკონომიკური აქტივობის ადგილი არა ჰოლანდია, არამედ ესპანეთია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოვალე საზოგადოების ეკონომიკური აქტივობა იმართება და რეგულირდება ესპანეთიდან. შესაბამისად, მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი, გარდა სხვა ზემოაღნიშნული კრიტერიუმებისა, აღიარებული უნდა იყოს მოვალე საზოგადოების კრედიტორების მიერ“.¹⁹

ზემოაღნიშნული მაგალითის მიხედვით, შეიძლება, ითქვას, რომ ევროკავშირის ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაცია²⁰ არ იძლეოდა ნათელ ინტერპრეტაციას იმასთან დაკავშირებით, თუ სად მდებარეობდა მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი²¹, რაც თავის მხრივ, სამართლებრივ გარემოს აყენებდა იმ პრაქტიკული სიძნელეების წინაშე,

¹⁸ Wessels B, Cross-Border insolvency law in Europe, Present status and future prospects, 72-76, www.perjournal.co.za, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

¹⁹ Kirkbridge J and Howells G, International Journal of Law and Management – Volume 50, Number 2, 2008, Emerald Group publishing, ISSN 1754-243 X, 60-79, <http://www.emeraldgrouppublishing.com>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

²⁰ European Insolvency Regulation, 1346/2000, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

²¹ Weideman J, Standen A, European and American perspective on the choice of law cross-border insolvencies, 136-145, ISSN 1727-3781, www.hesearchgate.net, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

რომელსაც არსებითი ინტერესების ადგილის დაუდგენლობა ერქვა და რაც შესაბამისად, წარმოშობდა პრობლემებს ვალაუვალობის პირველადი წარმოების ეტაპზე.

ვალაუვალობის 2000²² წლის ევროპული რეგულაციის ვარაუდის მიხედვით, მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი, წარმოადგენს ადგილს, სადაც მოვალე საზოგადოება ფლობს საკუთარ ეკონომიკურ აქტივობას²³. ამავე რეგულაციის მიხედვით, იმისათვის, რომ მოვალე საზოგადოების მიმართ გაიხსნას ვალაუვალობის პირველადი წარმოება, აუცილებელია მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის მდებარეობის განსაზღვრა, რომელიც ხშირად არც თუ ისე მარტივ ამოცანას წარმოადგენს.

როდესაც მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი უკვე დადგენილია, ლოგიკური და ბუნებრივია, რომ აღნიშნული ადგილი, განმარტებულია, როგორც კონკრეტული მდებარეობა, სადაც და საიდანაც მოვალე საზოგადოება ახორციელებს საკუთარ ეკონომიკურ აქტივობას, მის ყოველდღიურ ოპერირებასა და ადმინისტრირებას.

საერთაშორისო კერძო სამართლის მიზნებისთვის, მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი წარმოადგენს კონკრეტულ მდებარეობას იმისათვის, რომ ვალაუვალობის პირველადი წარმოების დანყების მიზნით განისაზღვროს უფლებამოსილი სასამართლო. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ იმისათვის, რომ უფლებამოსილმა სასამართლომ დაინყოს ვალაუვალობის პირველადი წარმოება, აუცილებელია სახეზე იყოს

²² Wessels B, Cross-Border insolvency law in Europe, Present status and future prospects, 77-80, www.perjournal.co.za, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

²³ Weideman J, Stander A, European and American perspective on the choice of law cross-border insolvencies, 147-152, ISSN 1727-3781, www.hesearchgate.net, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

მოვალე საზოგადოების სათანადო ეკონომიკური აქტივობა, რათა ასევე დადგინდეს კონკრეტული სასამართლოს უფლებამოსილება.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპული ვალაუვალობის რეგულაცია წარმოადგენს ქართული ვალაუვალობის კანონმდებლობის საორიენტაციო სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობას, ვინაიდან საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, ევროკავშირთან მიღწეული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, აიღო გარკვეული ვალდებულებები. ერთ-ერთი ასეთი ვალდებულება ქართულ სამართლებრივ სივრცეში არსებული ნორმების ევროკავშირის ნორმებთან ჰარმონიზებაა. შესაბამისად, საქართველოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ვალაუვალობის კანონის განახლებული რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით და გარკვეული პერიოდის განმავლობაში აწარმოებდა კანონპროექტზე მუშაობას, რომლის შედეგად, 2021 წლის აპრილიდან ძალაში შევიდა ვალაუვალობის განახლებული საქართველოს კანონი - „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“²⁴.

საზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ კვლევის ეტაპზე მოქმედებდა კვლავ „გადახდისუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონი²⁵ და შესაბამისად, თითოეული დაშვება თუ შედარებითი ანალიზი თემამდე მუშაობის პროცესში გაკეთებულია იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განახლებული კანონის დაშვებების გათვალისწინებით. წინამდებარე ანალიზიც წარმოადგენს იმ თეორიულ დაშვებას, რომელიც კვლევის პროცესში გამოვყავი და გარკვეულ მიმართულებებზე გავამახვილე ყურადღება, მათ შორის იმ ფუნდამენტურ სიახლეზე, რომელიც გვხვდება ვალაუვალობის განახლებულ კანონშიც - „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ, კერძოდ:

²⁴ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, <https://www.matsne.gov.ge>, უკანასკნელად გადამონმეხულ იქნა 02/05/2022

²⁵ „გადახდისუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონი, <https://matsne.gov.ge>, უკანასკნელად გადამონმეხულ იქნა 02/05/2022

„გადახდისუნარობის შესახებ საქართველოს 2007 წლის კანონი²⁶“ არ იცნობდა მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილს“, თუმცა გადახდისუნარობის სამართლებრივი ნორმები განახლდა და წარმოჩინდა კიდევ. ხშირია შემთხვევა, როდესაც უცხო ენიდან თარგმნილი ტექსტები პირდაპირ თარგმანს განიცდიან, რაც გარკვეულწილად წარმოშობს ისეთ ფაქტობრივ გარემოებას, რომ არათუ არ იკითხება ქართულ თარგმანში კონკრეტული სამართლებრივი ნორმის მიმღები ქვეყნის კანონმდებლის ნება, არამედ სცდება კონკრეტული ტექსტის აღქმა სამართლებრივ სივრცეს. სამართალი არ წარმოადგენს მათემატიკასავით ზუსტ მეცნიერებას და ჩვენც ვცდილობთ, ვიპოვოთ მაქსიმალურად სწორი და ზუსტი შესატყვისი თითოეული სამართლებრივი ნორმისა, თუ იმ შინაარსისა, რაც ამათუიმ ნორმას უდევს საფუძვლად.

აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხე, რომ ევროპული რეგულაციის ფუნდამენტური საკითხი - ადგილი, სადაც მოვალე საზოგადოება ახორციელებს საკუთარ ეკონომიკურ აქტივობას - „Debtor’s Center of Main Interest“ (COMI)²⁷ - ქართულ ენაში გადმოთარგმნილი ყოფილიყო პირდაპირ, როგორც მოვალე საზოგადოების „მთავარი ინტერესების ცენტრი“. არსებულ საკითხი დეტალურად გავაანალიზე ჩემს სტატიაში - „არსებითი ინტერესების ადგილის ცნება ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის მიხედვით“.

შესაძლებელია, რომ ერთი შეხედვით არსებულმა ჩანაწერმა არ გამოიწვიოს მკითხველის გაღიზიანება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კონკრეტული ჩანაწერი იქნება ახალი, შესაბამისად, არგუმენტი იქნება ვალაუვალობის ევროპულ რეგულაციაში არსებული ჩანაწერი, თუმცა მნიშვნელოვანია ნება კანონმდებლისა, რომელმაც კონკრეტული ნორმის შინაარსის მოთქმებისას მას ჰქონდა.

²⁶ „გადახდისუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონი, <https://matsne.gov.ge>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

²⁷ European Insolvency Regulation Recast, Art 1, 2015/848, <http://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

ქართულ კანონმდებლობაში თითქმის არ მახსენდება სამართლებრივი ნორმის არც შინაარსობრივი და არც შემდგომში სამართლებრივი ნორმის განმარტებითი ტექსტი, სადაც შევხვდებით სიტყვა „ცენტრს“. სამაგიეროდ, ქართული კანონმდებლობა კარგად იცნობს სიტყვა „ადგილს“. ასევე კარგად იცნობს სიტყვა „არსებითს“ (არსებითი განხილვა, არსებითი მტკიცებულებები და ა.შ.). ამიტომ, არ იქნებოდა ურიგო, მაშინ როდესაც, ქართული ვალაუვალობის სამართლებრივი სივრცე დადგა იმ მოცემულობის წინაშე, რომ უზრუნველყო ვალაუვალობის ქართული ნორმების განახლება, ევროკავშირის ვალაუვალობის რეგულაციის საფუძველზე, მოვალე საზოგადოების ინგლისური ტერმინი - „center of main intereseets (COMI) ქართულ სივრცეში დამკვიდრებული ყოფილიყო, როგორც „არსებითი ინტერესების ადგილი“. ყველაფერთან ერთად, ქართული ენის სიმდიდრე ხომ გვაძლევს საშუალებას, საკუთარი სათქმელი გადმოვცეთ ზედმინევით ზუსტად. როგორც ბატონი მინდია უგრეხელიძე იტყოდა - კარგი იურისტი ვალდებულია საკუთარი სათქმელი გადმოსცეს სნაიპერული სიზუსტით და პატივი სცეს მკითხველსა და მსმენელს.

ვალაუვალობის წარმოების დანყების თვალსაზრისით განსხვავებულ მონესრიგებას გვთავაზობს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ კანონის მე - 4 მუხლის²⁸ მიხედვით, სასამართლო გადახდისუნარობის საქმეს განიხილავს მოვალე საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით, ხოლო საქართველოში მოვალის იურიდიული მისამართის არარსებობის შემთხვევაში, მოვალე საზოგადოების „მთავარი ინტერესების ცენტრის“ მიხედვით. ბუნებრივია, რომ სასამართლო განსჯადობის მსგავსი მონესრიგება განპირობებულია იმით, რომ ქართული კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული იურიდიული

²⁸ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი, <https://www.matsne.gov.ge>, უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 02/05/2022

პირების მიმართ სამართალწარმოება მიმდინარეობს მენარმე სუბიექტის რეგისტრირებული მისამართის მიხედვით და ამასთან, განახლებულმა კანონმა ევროპული რეგულაციით გათვალისწინებული ადგილსამყოფელიც შემოგვთავაზა, მათ შორის საქართველოში არარეგისტრირებული მოვალე საზოგადოებებისთვისაც.

მნიშვნელოვანია, რომ 2007 წლის „გადახდისუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სასამართლოში შეტანილი განცხადება ვალაუვალობის წარმოების დაწყების მიზნით (თუ მოვალე საზოგადოება პირდაპირ გაკოტრებას არ ითხოვდა) არ შეიცავდა კონკრეტულ დათქმას წარმოების დაწყების მიმართულების შესახებ. დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კი განცხადება გადახდისუნარობის შესახებ უნდა შეიცავდეს მოთხოვნას რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე.

1.2 ევროპული რეგულაციის დაშვებები და მათი პრაქტიკული დანიშნულება

არსებული თავი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ევროპული რეგულაციის მიერ დაშვებული ვარაუდები მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილთან მიმართებით და ასევე, გამოკვეთოს ის პრაქტიკული პრობლემები, რომელიც მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის დადგენის/დაუდგენლობის მიზეზებიდან გამომდინარეობს.

აღნიშნული საკითხი წარმოადგენს პრაქტიკულ გამოვლინებას იმ პრობლემისა, რომელიც ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაციამ²⁹ გამოიწვია მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის კონკრეტული დეფინიციის არარსებობის გამო. მისასალმებელია ის ვარაუდი, რომელსაც ზემოაღნიშნული რეგულაცია იცნობს და შესაბამისად ხელმძღვანელობს

²⁹ European Insolvency Regulation, 1346/2000, <https://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

უფლებამოსილი სასამართლოც ვალაუვალობის პირველადი წარმოების დაწყების მიზნით³⁰.

ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ვალაუვალობის წარმოების დაწყების კრიტერიუმები, განსაზღვრავს კრედიტორთა უფლებებს, არეგულირებს პირველად და მეორად წარმოებებს³¹, უზრუნველყოფს საზღვარგარეთ მიღებული გადაწყვეტილების სხვა ქვეყანაში ცნობასა და აღსრულებას და ა.შ. ვალაუვალობის 2015 წლის განახლებული რეგულაცია³² ნათელს ჰფენს ისეთ ბურუსით მოცულ საკითხებს, რომელთა შესახებ საუბარი იყო ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაციაში.

ვალაუვალობის განახლებული რეგულაციის მიხედვით³³, იმისათვის, რომ ვალაუვალობის წარმოება ვალაუვალობის რეგულაციით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით წარიმართოს, მნიშვნელოვანია რომ მენარმე სუბიექტის კრედიტორებს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების მოლოდინი ჰქონდეთ ვალაუვალობის წარმოების ირგვლივ და წარმოების შედეგად. ანუ დაუშვებელია, რომ წარმოების ფარგლებს გარეთ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებაზე იფიქრონ³⁴.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალი მოვალის მიმართ წარმოება დაიწყოს მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მენარმე სუბიექტს არ აქვს ვადამოსული ვალდებულების შესრულების თავი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია ვალაუვალობის წარმოებისას დაინიშნოს ვალაუვალობის მმართველი, რომელსაც ზედამხედველობას გაუწევს უფლებამოსილი სასამართლო.³⁵

³⁰ Kirkbridge J and Howells G, International Journal of Law and Management – Volume 50, Number 2, 2008, Emerald Group publishing, ISSN 1754-243 X, 60-79, <http://www.emeraldgroupublishing.com>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

³¹ Calster van G, COMIng, and Here to stay: The review of the European Insolvency Regulation, European Business Law review, 735-739, 2017

³² European Insolvency Regulation Recast, 2015/848, <http://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

³³ European Insolvency Regulation Recast, recital 10, 2015/848, <http://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

³⁴ European Insolvency Regulation Recast, recital 11, 2015/848, <http://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

³⁵ Calster van G, COMIng, and Here to stay: The review of the European Insolvency Regulation, European Business Law review, 740-743, 2017

ვალაუვალობის განახლებული ევროპული რეგულაცია მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილს განსაზღვრავს, როგორც უნივერსალურ პრინციპს. მიუხედავად ძველ რეგულაციაში არსებული მწირი განმარტებებისა, ევროპული მართლმსაჯულების სასამართლო ცდილობს, რომ კონკრეტული სამართლებრივი გარემოებების საფუძველზე, უზრუნველყოს მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის განსაზღვრა და მთავარი კრიტერიუმების წარმოჩენა საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის მდებარეობის საპოვნელად.³⁶

შეიძლება ითქვას, რომ ევროპული მართლმსაჯულების სასამართლო გაჭირვების ტალკვესად მოეწვინა ვალაუვალობის ევროპულ რეგულაციას, იმდენად რამდენადაც, ვალაუვალობის ევროპული რეგულაციას, თავის მხრივ, არ შესწევდა უნარი, პასუხი გაეცა ვალაუვალი მოვალის არსებითი ინტერესების ადგილის კონკრეტულ მდებარეობასთან დაკავშირებით და შესაბამისად, ევროპული მართლმსაჯულების სასამართლო, ობიექტური არგუმენტებით ცდილობდა გაემყარებინა რეგულაციაში არსებული ვარაუდები.

2015 წლის განახლებული ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია, გვთავაზობს მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის უნივერსალურ განმარტებას³⁷, რომლის საფუძველზეც, გამარტივდება მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის განსაზღვრა.

მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი განმარტებულია ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაციის გარდამავალი დებულებების მე-13 მუხლისა³⁸ და ევროპული მართლმსაჯულების

³⁶ Garcimartin F, The EU insolvency regulation recast: scope and rules on jurisdiction, Madrid, 12-25, <http://www.ejtn.eu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

³⁷ European Insolvency Regulation Recast, Art 1, 2015/848, <http://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

³⁸ European Insolvency Regulation, Recital 13, 1346/2000, <http://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე³⁹. აღნიშნული განმარტება სამართლებრივი ნორმის სახით მოგვევლინა უკვე ვალაუვალობის განახლებულ რეგულაციაში. ვალაუვალობის ევროპული განახლებული რეგულაციის მე-3 მუხლის მიხედვით კი⁴⁰: „მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი მდებარეობს იქ, სადაც მოვალე საზოგადოება ახორციელებს საკუთარ ეკონომიკურ საქმიანობას რეგულარულად და აღნიშნული ადგილი აღიარებულია მესამე პირების მიერ“.

დასკვნისთვის უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დეფინიცია გარკვეულწილად იმეორებს ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაციაში არსებულ ჩანაწერს, თუმცა განახლებულმა რეგულაციამ წარმოადგინა არა, როგორც პრეზუმფცია, არამედ შემოგვთავაზა კონკრეტული სამართლებრივი ნორმა, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ვალაუვალობის წარმოებისას⁴¹.

1.3 რეგისტრაციის მისამართი VS არსებითი ინტერესების ადგილი

ვალაუვალობის 2000 წლის ევროპული რეგულაციის⁴² თავსატეხს წარმოადგენს, როდესაც მენარმე სუბიექტის რეგისტრირებული მისამართი მდებარეობს ერთ სახელმწიფოში, ხოლო მისი ეკონომიკური აქტივობა და საქმიანობის ადმინისტრირება ხორციელდება ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოდან⁴³. აღნიშნული რეგულაცია არ გვთავაზობს განსხვავებულ მონესრიგებას მოვალე საზოგადოების რეგისტრირებულ მისამართთან დაკავშირებით და იგი განიხილება, როგორც ადგილი, სადაც მოვალე

³⁹ Calster van G, COMIng, and Here to stay: The review of the European Insolvency Regulation, European Business Law review, 743-748, 2017

⁴⁰ European Insolvency Regulation Recast, Art 3, 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁴¹ Moraru BM; Hasanin DMD, "The Center of Main Interests of the Debtor in the Insolvency Proceedings at the European Union Level Differences between the EU Regulation No. 1346/29 05.2000, 165-169, 02/05/2022

⁴² European Insolvency Regulation, 1346/2000, <http://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁴³ Garcimartin F, The EU insolvency regulation, Scope and Rules on Jurisdiction, Madrid, 12-25,2012, www.etjn.eu, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

საზოგადოება დაფუძნებული და დარეგისტრირებულია, მაგრამ მნიშვნელოვანია, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს კონკრეტული მოსამართლე მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის განსაზღვრისას⁴⁴.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპული სამენარმეო სამართლებრივი პრაქტიკის მიხედვით, მენარმე სუბიექტების არსებითი ინტერესების ადგილად ხშირად აღქმულია მენარმე სუბიექტის რეგისტრირებული მისამართი⁴⁵, მაგრამ ვალაუვალობის წარმოებასთან დაკავშირებით უფლებამოსილი მოსამართლე დილემის წინაშე დგება:

- მიიღოს თუ არა წარმოებაში განცხადება ვალაუვალობის დანყების შესახებ, ანუ რამდენად წარმოადგენს აღნიშნული სასამართლო ვალაუვალობის წარმოების გახსნაზე უფლებამოსილ ორგანოს;
- არ მიიღოს წარმოებაში კონკრეტული განცხადება იმ საფუძვლით, რომ მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი არ მდებარეობს აღნიშნული სასამართლოს შესაბამის გეოგრაფიულ არეალში, მაგალითად:

„თუ მოვალე საზოგადოების რეგისტრირებული მისამართი მდებარეობს ჩეხეთში, ხოლო, მოვალე საზოგადოების საქმიანობის ადმინისტრირება და ეკონომიკური აქტივობა ხორციელდება ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში, ჩეხეთის სასამართლოს, შეუძლია უარი თქვას ვალაუვალობის პირველადი წარმოების დანყების შესახებ“.

⁴⁴ Latella D, The “COMI” concept in the revision of the European insolvency regulation, 10-17, www.ssrn.com, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁴⁵ Moraru BM; Hasanin DMD, 'The Center of Main Interests of the Debtor in the Insolvency Proceedings at the European Union Level Differences between the EU Regulation No. 1346/29 05.2000, 165-169; 02/05/2022

შესაბამისად, მანამ სანამ კონკრეტული სასამართლო უზრუნველყოფს ვალაუვალობის განცხადების პირველად წარმოებაში მიღებას, აუცილებელია რომ მოსამართლის მიერ, გამოკვლეულ იქნეს, თუ სად მდებარეობს მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი და სწორედ აღნიშნულის საფუძველზე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. აღნიშნული საკითხი გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა თავად სასამართლოსთვისაც კი, ვინაიდან, ევროპული ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაცია არ შეიცავს კონკრეტულ დათქმას მენარმე სუბიექტის არსებითი ინტერესების ადგილის შესახებ და ეს უკანასკნელი გადმოცემულია მხოლოდ ვარაუდებით⁴⁶.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ არსებითი ინტერესების ადგილის შესახებ მტკიცების ტვირთი მოვალეზე იყო (რომელიც ობიექტურად უნდა დადასტურებულიყო), სასამართლო საკუთარი ჩართულობით ცდილობდა გამოეკვლია, იყო თუ არა უფლებამოსილი, მიეღო წარმოებაში კონკრეტული განცხადება ვალაუვალობის წარმოების დაწყების შესახებ⁴⁷.

როდესაც მენარმე სუბიექტი ევროკავშირის წევრ სხვადასხვა სახელმწიფოში ახორციელებს ეკონომიკურ აქტივობას, თლობს ქონებასა და დასაქმებული ჰყავს მრავალი ადამიანი, რთულია განსაზღვრო და დაადგინო ვალაუვალობის წარმოების დაწყებაზე უფლებამოსილი სასამართლო. შეიძლება ითქვას, რომ ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაციის განახლების პირველი ამოსავალი წერტილი სწორედ მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ დადგენის პრობლემა გახლდათ.

მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ დადგენის მნიშვნელობა განისაზღვრება ასევე იმ ნიშნითაც, რომ დაუშვებელია ერთსა და იმავე მოვალე საზოგადოების მიმართ დაიწყოს ვალაუვალობის ძირითადი

⁴⁶ Latella D, The “COMI” concept in the revision of the European insolvency regulation, 10-17, www.ssrn.com, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁴⁷ Moraru BM; Hasanin DMD, 'The Center of Main Interests of the Debtor in the Insolvency Proceedings at the European Union Level Differences between the EU Regulation No. 1346/29 05.2000, 165-169, 02/05/2022

წარმოება სხვადასხვა სახელმწიფოში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სწორად განისაზღვროს და დადგინდეს, თუ რომელი ქვეყნის სასამართლოს აქვს ვალაუვალობის წარმოების დანყების უფლება მოვალე საზოგადოების მიმართ.

ვალაუვალობის სამართლებრივ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც რთულია მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ ზუსტი განსაზღვრა. მაგალითად, თუ მენარმე სუბიექტის რეგისტრირებული მისამართი არის საფრანგეთში, საწარმოს ძირითადი სტაფი ჰყავს გერმანიაში, ხოლო საწარმოო აქტივობა ხორციელდება ესპანეთში. ასეთ შემთხვევაში რთულია, ყოველ შემთხვევაში ადვილი არ არის დადგინდეს, თუ რეალურად რომელ ქვეყანაშია მენარმე სუბიექტის „არსებითი ინტერესების ადგილი“.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მენარმე სუბიექტის „არსებითი ინტერესების ადგილი“ განიხილება და დგინდება, არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ კონკრეტული სიტუაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით, ვინაიდან ამოსავალი წერტილი მოვალე საზოგადოების ეკონომიკური აქტივობის და მისი ადმინისტრირების ადგილია.

ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია იძლევა მიმართულებას მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ განსაზღვრისთვის. რეგულაციაში არსებული ჩანაწერის მიხედვით, აღნიშნული ადგილი, როგორც უკვე აღვნიშნე, გახლავთ ადგილი, საიდანაც მენარმე სუბიექტი ახორციელებს საკუთარ ეკონომიკურ აქტივობას რეგულარულად და აღნიშნული აღიარებულია მესამე პირების (კრედიტორების) მიერ.

არსებული განმარტება მომდინარეობს საწარმოს „გონების“ თეორიიდან. მარტივად რომ ვთქვათ, მენარმე სუბიექტი ახორციელებს მმართველობას საკუთარი დასაქმებული პირების საშუალებით. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ დასაქმებული პირებისა და მენარმე სუბიექტის

რეგისტრირებული მისამართის ლოკაციები ერთმანეთს ვერ ემთხვეოდეს. აქედან გამომდინარე, ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ საწარმო იმართება არა რეგისტრირებული მისამართიდან, არამედ ეკონომიკური აქტივობის ადგილიდან და სწორედ აღნიშნული გახლავთ საფუძველი, რომლითაც დასტურდება მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“, როგორც ეკონომიკური ადმინისტრირების დანიშნულების ადგილი.

მიუხედავად ამისა, ხშირია შემთხვევა, როდესაც მენარმე სუბიექტი საკუთარ ეკონომიკურ აქტივობას არა ერთი, არამედ რამდენიმე ადგილიდან ახორციელებს. ასეთ დროს, რა თქმა უნდა უფრო რთულია დადგინდეს მენარმე სუბიექტის „არსებითი ინტერესების ადგილი“, გამოსავალი კი პრეზუმფციამია, რომლის მიხედვით მენარმე სუბიექტის „არსებით ინტერესების ადგილად“ მიჩნეულია ის ლოკაცია, სადაც მისი რეგისტრირებული მისამართია, მანამ სანამ საწინააღმდეგო არ დადგინდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრირებულ მისამართს არ აქვს მნიშვნელობა „არსებითი ინტერესების ადგილის“ დასადგენად, თუ რამდენიმე ასეთი ადგილია, მაშინ საწყის წერტილად კვლავ რეგისტრირებული მისამართია აღქმული.

აღნიშნული პრეზუმფციები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მენარმე სუბიექტმა არ შეიცვალა მისი რეგისტრირებული მისამართი და არ გადავიდა სხვა სახელმწიფოში ვალაუვალობის წარმოების დაწყებამდე 3 თვით ადრე. აღნიშნული პერიოდი გამოყენებულია, როგორც პრევენციული ვადა, იმდენად რამდენადაც, ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მენარმე სუბიექტები იცვლიდნენ საკუთარ რეგისტრირებულ მისამართს და „არსებითი ინტერესების ადგილს“ მიგრაციის მიზნებისთვის იყენებდნენ.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში თავისუფალი გადაადგილების უფლება საშუალებას აძლევს, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს, უზრუნველყონ თავიანთი „არსებითი ინტერესების ადგილის“

გადატანა ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში. მენარმე სუბიექტები, რომლებიც ფინანსური პრობლემების წინაშე იმყოფებოდნენ, ცდილობდნენ ეპოვნათ ისეთი სამართლებრივი ნორმები, რომლებიც შეძლებისდაგვარად მათ მდგომარეობაზე იქნებოდნენ მორგებული და თუნდაც ვალაუვალობის წარმოებისას მეგობრულ გარემოს შესთავაზებდნენ. შესაბამისად, ვალაუვალობის განახლებულმა რეგულაციამ 3-თვიანი პერიოდი განუსაზღვრა მენარმე სუბიექტებს, იმისათვის, რომ უზრუნველყო არასასურველი მიგრაციის პრევენცია. არსებული საკითხის შესახებ დეტალური მსჯელობა წარმოდგენილია ქვემოთ.

1.4 ვალაუვალობის წარმოება და იურისდიქცია

როდესაც ვსაუბრობთ ვალაუვალობის წარმოებასა და მასთან დაკავშირებულ - მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის განსაზღვრასა და მდებარეობასთან მიმართებით, ჩნდება კითხვა, თუ როგორ არეგულირებს ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია მენარმე სუბიექტებისა და მათი შვილობილი საზოგადოებების არსებითი ინტერესების ადგილების განსაზღვრას.

აღნიშნული საკითხის მნიშვნელობა ერთიორად იზრდება, იმდენად რამდენადაც, ხშირია დებატები, თუ რა კრიტერიუმების მიხედვით რეგულირდება მოვალე საზოგადოებისა და მისი შვილობილი საზოგადოებების არსებითი ინტერესების ადგილის განსაზღვრის საკითხები, მაგალითად:

“EuroFood”⁴⁸- ის შემთხვევასთან მიმართებით, ევროპული მართლმსაჯულების სასამართლომ 2006 წლის 02 მაისს, მიიღო

⁴⁸ საქმე – C341/04, Eurofood IFSC ltd, (reference for a preliminary ruling from the Supreme Court) <http://curia.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

გადაწყვეტილება, რომელიც ერთ - ერთ ფუნდამენტურ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის განსაზღვრისთვის. „EuroFood“ IFSC Ltd წარმოადგენს სამენარმეო საზოგადოებას, რომელიც დარეგისტრირებულია 1997 წელს ირლანდიაში და რომლის ფინანსური განყოფილებაც მდებარეობს დუბლინში. აღნიშნული სამენარმეო საზოგადოება წარმოადგენს “Parlamant Spa” - ს 100% - იან შვილობილ საზოგადოებას. “Parlamant Spa” - კი თავისმხრივ წარმოადგენს იტალიური სამართლის მიხედვით რეგისტრირებულ და მოქმედ საზოგადოებას.

2003 წლის 24 დეკემბერს, იტალიის სასამართლოს მიერ გამოცემული დადგენილებით # 347 , იტალიამ დაიწყო ვალაუვალობის წარმოების პროცესი „Parlamant Spa” - ს წინააღმდეგ. ამასთან, 2004 წლის 27 იანვარს, ამერიკის შეერთებულ შტატების ერთ-ერთმა ბანკმა მიმართა სასამართლოს, რომ დაეწყოს ლიკვიდაციის პროცესი შვილობილი მენარმე სუბიექტის „EuroFood” - ის მიმართ. ამერიკის შეერთებული შტატებში მდებარე ბანკის განცხადება ლიკვიდაციის შესახებ ეფუძნებოდა “EuroFood” - ის ვალაუვალობას.

2004 წლის 20 თებერვალს იტალიის სასამართლომ მიიჩნია, რომ “Euro Food” - ის არსებითი ინტერესების ადგილი იყო იტალიაში. პარალელურად, 2004 წლის 23 მარტს, ირლანდიის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ირლანდიის სამართლებრივი ნორმების მიხედვით, “EuroFood” - ის არსებითი ინტერესების ადგილი იყო ირლანდიაში და შესაბამისად, მიიღეს გადაწყვეტილება ვალაუვაუვალობის წარმოების დაწყების შესახებ.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ „EuroFood” - ის არსებითი ინტერესების ადგილი მდებარეობდა ირლანდიაში, მაშინ ირლანდიაში დაწყებული ვალაუვალობის პროცესი წარმოადგენს ვალაუვალობის პირველადი წარმოებას.

როდესაც მოვალე საზოგადოება წარმოადგენს შვილობილ კომპანიას, რომლის არსებითი ინტერესების ადგილი და მისი მშობელი საზოგადოების რეგისტრირებული მისამართი სხვადასხვა ქვეყანაში მდებარეობს, უნდა გვახსოვდეს, რომ არსებითი ინტერესების ადგილის განმსაზღვრელი კრიტერიუმი სწორედ ეკონომიკური აქტივობისა და ადმინისტრირების ადგილია.

მოვალე საზოგადოების კრედიტორი, ყოველთვის ეცდება, რომ იხელმძღვანელოს მოვალე საზოგადოების რეგისტრირებული მისამართის მიხედვით და ვალაუვალობის წარმოების განცხადებაში მიუთითოს რეგისტრირებული მისამართი, როგორც მოვალე საზოგადოების ძირითადი მდებარეობა, თუმცა რამდენად წარმოადგენს აღნიშნული არსებითი ინტერესების ადგილს, ეს უკვე სასამართლოს მოკვლევის საგანს წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ მეწარმე სუბიექტის კრედიტორს, ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ვალაუვალობის წარმოების დასაწყებად, შეუძლია იხელმძღვანელოს რეგისტრირებული მისამართის მიხედვით და არ ჩაატაროს მოკვლევა იმის შესახებ, ხომ არ აქვს კონკრეტულ მეწარმე სუბიექტს რეგისტრირებული მისამართისგან განსხვავებული არსებითი ინტერესების ადგილი.

შესაძლებელია, კრედიტორმა თვითონაც უზრუნველყოს ამ უკანასკნელის მოძიება, იმდენად რამდენადაც, მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი აღიარებულ უნდა იყოს მოვალე საზოგადოების კრედიტორების მიერ, თუმცა ეს შესაძლებელია წარმოების დაწყების მომენტში ასე არ მოხდეს და წარმოების გახსნის შემდგომ გახდეს მისაღები კრედიტორებისთვის.

შესაბამისად, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილებისა და პრევენციის მიზნით, სასამართლო, რომელიც მიიღებს განცხადებას

ვალაუვალობის წარმოების დანყების შესახებ, პირველ რიგში, ატარებს მოკვლევას, არის თუ არა ეს კონკრეტული სასამართლო უფლებამოსილი, დაიწყოს პირველადი წარმოება, ანუ მდებარეობს თუ არა მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი მისი უფლებამოსილების ფარგლებში.

როდესაც ვსაუბრობთ ვალაუვალობის წარმოების იურისდიქციის შესახებ, მნიშვნელოვანია იმ საკითხების წარმოჩენა, რომელიც დაკავშირებულია ევროკავშირის წევრი ერთი სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობასა⁴⁹ და აღსრულებასთან⁵⁰ ევროკავშირის წევრი მეორე სახელმწიფოს მიერ.

ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია ითვალისწინებს ვალაუვალობის წარმოების, მიმდინარეობისა და დასრულების აღიარებას ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოების მიერ იმ წარმოებებთან მიმართებით, რომლებიც გათვალისწინებული და დარეგულირებულია ამავე რეგულაციის მიერ. ვალაუვალობის წარმოების აღიარება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ გულისხმობს იმას, რომ უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვალაუვალობის წარმოების დანყების შესახებ, ვრცელდება ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოებშიც.

მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის წარმოების აღიარება არ მოითხოვს სხვა ქვეყნის სასამართლოების მიერ დამატებით სამართლებრივ ან ფორმალურ პროცედურებს. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფო ყოველგვარი დამატებითი შემოწმების გარეშე, თუ სად მდებარეობს მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი, აღიარებს ვალაუვალობის წარმოების ვალიდურობას და ასევე,

⁴⁹ European Insolvency Regulation Recast, Art 19, 2015/848, <http://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁵⁰ European Insolvency Regulation, Art 17, 1346/2000, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

უფლებამოსილი სასამართლოს მიერ წარმოების დანყების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ჯეროვნობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია ითვალისწინებს წარმოების აღიარებას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ მხოლოდ ვალაუვალობის წარმოების ირგვლივ და აღნიშნული წარმოებები დარეგულირებულია ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის დანართით.

ვალაუვალობის ევროპული სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან კაზუსში Eurofood - ის შესახებ, აღნიშნულია, რომ უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვალაუვალობის ძირითადი წარმოების შესახებ, აღიარებულ უნდა იქნას სხვა ქვეყნის სასამართლოების მიერ ყოველგვარი დამატებითი ღონისძიებების გარეშე. უნივერსალურობის პრინციპის მიხედვით, მოვალე საზოგადოების კუთვნილი ქონების მდებარეობა და კრედიტორთა არსებობა, ასევე ექვემდებარება ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნის სახელმწიფოს მიერ აღიარებას.

შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, თუ ევროკავშირის წევრ რომელ სახელმწიფოში დაინყება ვალაუვალობის წარმოება მოვალე საზოგადოების მიმართ, აღიარებულ იქნება ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოს მიერ, რაც იმავე შედეგს წარმოშობს, რომელიც წარმოიშობოდა სხვა ნებისმიერ შემთხვევაში.

ვალაუვალობის წარმოების აღიარება სხვა ქვეყნის სასამართლოს მიერ ხდება დაუყონებლივ. ეს ნიშნავს იმას, რომ აღიარება ხდება ყოველგვარი წინასწარი მომზადებისა და დამატებითი ფორმალური პროცედურების გარეშე, ავტომატურად. იმისათვის, რომ ევროკავშირის სახელმწიფოებმა ზუსტად განსაზღვრონ ვალაუვალობის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები,

მნიშვნელოვანია, რომ წარმოებისას გამოყენებულ იქნას წარმოების დაწყებაზე უფლებამოსილი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმები.

მნიშვნელოვანია, რომ სხვა სახელმწიფოები აღიარებენ ვალაუვალობის წარმოების ირგვლივ მიმდინარე პროცესებს, მიუხედავად იმისა, მათი, ანუ სხვა ქვეყნის ადგილობრივი სამართლებრივი ნორმები იცნობენ თუ არა ვალაუვალობის მწარმოებელი სახელმწიფოს სამართლებრივ ნორმებს.

ვალაუვალობის ძირითადი წარმოების აღიარება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ, შემოსაზღვრულია ვალაუვალობის მეორადი წარმოებით⁵¹. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ვალაუვალობის მეორადი წარმოების მიზნებისთვის განსაზღვრული სამართლებრივი სიტუაცია, რომელსაც ძირითადად ვალაუვალობის ძირითადი წარმოება განაპირობებს, არ ექვემდებარება ავტომატურ აღიარებას. უფრო კონკრეტულად კი, ვალაუვალობის მეორადი წარმოება შემოფარგლულია ლოკალური სამართლებრივი ინტერესითა და ადგილობრივი წარმოებით (განსხვავებით ძირითადი წარმოებისგან), რომლის წარმოების რეგულირებას ხორციელდება ადგილობრივი სამართლებრივი ნორმებით. ვალაუვალობის მეორადი წარმოება განსაზღვრულია მხოლოდ იმ ქონებით, რომელიც მდებარეობს ევროკავშირის წევრ არა იმ სახელმწიფოში, სადაც მიმდინარეობს ვალაუვალობის ძირითადი წარმოება. შესაბამისად, აღიარება ვერ მოიცავს ვალაუვალობის მეორადი წარმოების ირგვლივ საკითხების ავტომატურ აღიარებას, ვინაიდან იგი შემოფარგლულია გარკვეული საზღვრებით, რომელსაც ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოს ქონება ჰქვია.

მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის მეორადი წარმოება⁵² ლოკალური ხასიათისაა და შედეგები, რომელიც მოყვება ვალაუვალობის

⁵¹ European Insolvency Regulation Recast, Art 34, 2015/848, <http://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁵² European Insolvency Regulation, Art 27, 1346/2000, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

მეორად წარმოებას, ვერ იქნება განხილული სხვა სახელმწიფოში. ხშირია შემთხვევა, როდესაც ვალაუვალობის მეორადი წარმოების პროცესში მონაწილე ლიკვიდატორი ითხოვს აქტივებს, რომელიც ვალაუვალობის მეორადი წარმოების დაწყებამდე, მისი თანხმობის გარეშე, გადაიტანეს სხვა სახელმწიფოში.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ, ვალაუვალობის წარმოების ირგვლივ არსებული წარმოებების აღიარებასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, ვალაუვალობის წარმოებაში დანიშნული ლიკვიდატორისა⁵³ და ამ უკანასკნელის დანიშვნის უფლებამოსილების აღიარებაა. ყურადსაღებია, რომ ვალაუვალობის ევროპულ რეგულაციაში მოცემული ტერმინი „ლიკვიდატორი“⁵⁴ გაგებულ უნდა იქნეს, არა ვინრო, არამედ ფართო გაგებით. შესაბამისად, ლიკვიდატორს, რომლის უფლებამოსილებაც აღიარებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ, შეეძლება განახორციელოს ის უფლებამოსილებები, რომელიც მინიჭებული აქვს უფლებამოსილი სასამართლოს, ესე იგი ვალაუვალობის ძირითად წარმოების დაწყებაზე უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ლიკვიდატორის უფლებებისა და ვალდებულებების განმსაზღვრელი სწორედ ვალაუვალობის წარმოების დაწყებაზე უფლებამოსილი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმებია⁵⁵. მნიშვნელოვანია, რომ ლიკვიდატორს აქტივების განკარგვის უფლებამოსილებაც კი ენიჭება, რაც ნიშნავს იმას, რომ მას შეუძლია, გადაიტანოს მოვალე საზოგადოების კუთვნილი ქონება ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში. უნდა აღინიშნოს, რომ ვალაუვალობის მეორად წარმოებაში მონაწილე ლიკვიდატორს ექსკლუზიური უფლება აქვს მეორადი

⁵³ European Insolvency Regulation, Art 18, 1346/2000, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 02/05/2022

⁵⁴ European Insolvency Regulation Recast, Art 22, 2015/848, <http://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 02/05/2022

⁵⁵ European Insolvency Regulation Recast, Art 21, 2015/848, <http://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 02/05/2022

წარმოების მიზნებთან დაკავშირებულ, მოვალე საზოგადოების კუთვნილ ქონებაზე.

ვალაუვალობის მეორადი წარმოების დანყების მომენტიდან, ვალაუვალობის ძირითად წარმოებაში არსებული ლიკვიდატორის უფლებამოსილება აღარ ვრცელდება მოვალე საზოგადოების კუთვნილ იმ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ვალაუვალობის მეორადი წარმოების სახელმწიფოში. თუმცა აღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვალაუვალობის ძირითად წარმოებაში მონაწილე ლიკვიდატორი საერთოდ კარგავს გავლენას მოვალე საზოგადოების კუთვნილი სხვა ქონების მიმართ.

მოგეხსენებათ, რომ შესაძლებელია მოვალე საზოგადოება სხვა სახელმწიფოში ქონებას გარკვეული სამართლებრივი საფუძვლებით ფლობდეს. შესაბამისად, ძირითადი წარმოების ლიკვიდატორი ბოლომდე ვერ დაკარგავს გავლენას მოვალე საზოგადოების სხვა სახელმწიფოში კუთვნილ ქონებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მეორად წარმოებაში ინიშნება სხვა ლიკვიდატორი და აღნიშნული წარმოება უფრო ლოკალურია, ვიდრე ძირითადი წარმოება და შემოფარგლულია მოვალე საზოგადოების კუთვნილი ადგილობრივი ქონებით.

როგორც მინიმუმ, ვალაუვალობის ძირითად წარმოებაში მონაწილე ლიკვიდატორს, უნდა მიეცეს უფლება, რომ ვალაუვალობის მეორადი წარმოების ლიკვიდატორს შესთავაზოს ლიკვიდაციის გეგმა ან კონკრეტული ნაბიჯები მოვალე საზოგადოების კუთვნილი ქონების გამოყენების შესახებ. რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის წარმოების მონაწილე ლიკვიდატორებმა საკუთარი უფლებამოსილება განახორციელონ იმ ქვეყნის სამართლებრივი ნორმების დარღვევის გარეშე, რომლის ტერიტორიაზეც ისინი მოქმედებენ. შესაძლებელია, სხვა რომელიმე ქვეყანაში, სადაც ასევე ლიკვიდატორთა საქმიანობა უნდა იყოს აღიარებული, არ

წარმოადგენდეს ლიკვიდატორის რომელიმე ქმედება მართლსაწინააღმდეგოს, თუმცა უპირობოდ მნიშვნელოვანია ლიკვიდატორის ქმედებები იყოს იმ სახელმწიფოს ნორმების შესაბამისი, რომელშიც დანიშნულია საკუთარი უფლებამოსილებების ჯეროვნად შესასრულებლად.

მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის წარმოებაში დანიშნულ ლიკვიდატორს ჰქონდეს მისი დანიშვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დამადასტურებელი გადაწყვეტილება, რომელიც გაცემული იქნება უფლებამოსილი სასამართლოს მიერ. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია არ შეიცავს წესებს ლიკვიდატორის უფლებამოსილების ფარგლების დამტკიცების საშუალებებთან დაკავშირებით და შესაბამისად, ლიკვიდატორის უფლებამოსილებების დამტკიცების საუკეთესო საშუალებად უფლებამოსილი სასამართლოს მიერ განსაზღვრული დამადასტურებელი დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს ლიკვიდატორის მოქმედების არეალს.

გამომდინარე იქიდან, რომ შესაძლებელია ლიკვიდატორი ჩაერთოს სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარე წარმოებებში, შესაძლებელია, რომ საჭირო გახდეს ლიკვიდატორის არსებობისა და მისი უფლებამოსილებების დამადასტურებელი დოკუმენტის იმ ქვეყნის ენაზე თარგმნა და შესაბამისად, უკვე თარგმნილი დოკუმენტის წარდგენა იმ ქვეყნის უფლებამოსილი სასამართლოსთვის. ლიკვიდატორის უფლებამოსილებების დამადასტურებელი დოკუმენტის თარგმანთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია.

ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის სამოქმედო არეალი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ვრცელდება. მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის ძირითადი წარმოება და მასთან დაკავშირებული საკითხები თანაბრად ვრცელდება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ხოლო

ვალაუვალობის მეორადი წარმოება ლოკალური ხასიათისაა, რომელიც მიზნად ისახავს მოვალე საზოგადოების კუთვნილი კონკრეტული ქონებისა და სალიკვიდაციო წარმოების შესაბამისად, მოვალე საზოგადოების კრედიტორების ინტერესების დაკმაყოფილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია ცდილობს თანაბრად დაიცვას მოვალე საზოგადოების ყველა კრედიტორის ინტერესები. იმისათვის, რომ აღნიშნული მიზანი მიღწეულ იქნას, მნიშვნელოვანია, რომ დროულად იქნას იდენტიფიცირებული მოვალე საზოგადოების ყველა კრედიტორი, განისაზღვროს მათი რიგითობა და შესაბამისად, დაცულ იქნას მათი დაკმაყოფილების რიგითობაც.

ასევე, იმისათვის, რომ დაცულ იქნას კრედიტორთა თანასწორუფლებიანობა, მნიშვნელოვანია, რომ მას შემდეგ, რაც კრედიტორის კონკრეტული ინტერესი დაკმაყოფილდება, იგი უნდა დაელოდოს სხვა კრედიტორთა ამავე ინტერესის დაკმაყოფილებას და მხოლოდ ამის შემდგომ გაგრძელდება კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილების პროცესი. აღნიშნული მიდგომა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მოვალე საზოგადოების კრედიტორების ინტერესების თანაბარზომიერ დაცვასა და თანაბარუფლებიანობას.

მოვალე საზოგადოების კრედიტორთა რიგითობასა და პრიორიტეტულობას განსაზღვრავს ვალაუვალობის ძირითადი წარმოებაზე უფლებამოსილი სასამართლო ამავე ქვეყნის სამართლებრივი ნორმების შესაბამისად.

ვალაუვალობის წარმოების, მისი მიმდინარეობისა და დასრულების აღიარება რეგულირდება ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის მიხედვით⁵⁶. აღნიშნული წარმოების აღიარებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ

⁵⁶ European Insolvency Regulation, Art 16, 1346/2000, <https://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია, ასევე არეგულირებს ვალაუვალობის წარმოების აღსრულებასაც⁵⁷ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. ვალაუვალობის წარმოების პროცესთან დაკავშირებული აღსრულება გულისხმობს, სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოს ვალაუვალობის წარმოების ირგვლივ არსებული გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს გააჩნია ექსკლუზიური უფლებამოსილება, დისკრეციულად, ესეიგი ცალმხრივი ნების გამოვლენით, იმპერატიულად, განახორციელოს კონკრეტული ქმედებები, მაინც არ აქვს აღნიშნულის პირდაპირ განხორციელების უფლება ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.

აღნიშნულ მსჯელობას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის მიხედვით, კონკრეტული სახელმწიფოს უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ იმ სახელმწიფოს მიმართ, რომლის ტერიტორიაზეც ვალაუვალი მოვალის კუთვნილი ქონება მდებარეობს. მნიშვნელოვანია, რომ ერთი სახელმწიფოს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მიღებული ვალაუვალობის წარმოება მეორე სახელმწიფოს მიერ ხორციელდება ავტომატურად, ყოველგვარი დამატებითი სამართლებრივი თუ ფორმალური ღონისძიებების გარეშე, ხოლო რაც შეეხება აღსრულებას, აღნიშნულის შესახებ წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული იმ სახელმწიფოსთან, რომლის ტერიტორიაზეც უნდა აღსრულდეს წარმოების შედეგები.

უნდა აღინიშნოს, რომ ვალაუვალობის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების ცნობა და აღსრულება ძირითადად არ წარმოადგენს პრობლემას. მაგალითად, გადაწყვეტილება ვალაუვალობის ძირითადი წარმოების შესახებ ყოველგვარი დამატებითი ფორმალობების გარეშე შესაძლებელია, რომ

⁵⁷ European Insolvency Regulation Recast, Art 19, 2015/848, <http://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

აღიარებულ იქნას სხვა სახელმწიფოების მიერ. თუმცა, რაც შეეხება აღსრულებას, იმისათვის რათა, ვალაუვალობის წარმოების შესახებ კონკრეტული გადაწყვეტილება, აღსრულებულ იქნას ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში, მნიშვნელოვანია, რომ პირველ რიგში აღსრულებულ იყოს გადაწყვეტილების მიმღები სახელწიფოს ტერიტორიაზე.

მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის წარმოების ცნობისა და აღსრულების შესახებ გადაწყვეტილება, ეხება არა მხოლოდ უშუალოდ ვალაუვალობის წარმოებას, არამედ ყველა იმ მიმდინარე პროცესს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ვალაუვალობის წარმოებას. მაგალითად, შესაძლებელია, რომ ვალაუვალობის წარმოების დაწყებაზე უფლებამოსილმა სასამართლომ, უზრუნველყოს მოვალე საზოგადოების კუთვნილი ქონების დაყადაღება, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს მოვალე საზოგადოების კონკრეტული ქონება. უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, ასევე ექვემდებარება სხვა სახელმწიფოების მიერ ცნობასა და აღსრულებას.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვალაუვალობის წარმოების ცნობისა და აღსრულების შესახებ ემყარება ორმხრივ ნდობას წევრ სახელმწიფოთა შორის. იმისათვის, რომ აღიარების მიზანი სისრულეში იქნას მოყვანილი, მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი ნებისმიერი საკითხი, რომელიც ხელს უშლის სახელმწიფოთა შორის ნდობის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია ემყარება ზოგადი რწმენის პრინციპს, რომლის მიხედვით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებობს ვარაუდი, რომ წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვალაუვალობის წარმოების ირგვლივ არის სამართლიანი.

აქედან გამომდინარე, ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია არ მოიცავს ისეთ დაშვებებს, რომელთა მიხედვით, ევროკავშირის ერთ სახელმწიფოს ექნება მეორე სახელმწიფოს უფლებამოსილი სასამართლოს კომპეტენტურობის შემოწმების უფლება, მანამ სანამ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აღიარებს. ერთადერთი საფუძველი, რომლის გამოც შესაძლებელია, რომ ერთი სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვალაუვალობის წარმოების ირგვლივ არ აღიაროს მეორე სახელმწიფომ, არის ის, რომ კონკრეტული გადაწყვეტილება უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონკრეტული სახელმწიფოს საჯარო ინტერესებს.

ბუნებრივია, ამ შემთხვევაში საჯარო ინტერესები აღქმულ უნდა იყოს თართო გაგებით, რაც ნიშნავს იმას, რომ იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო აღიარებს სხვა სახელმწიფოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, არ უნდა დაზიანდეს მისი პოლიტიკური, სამართლებრივი, თუ ეკონომიკური მდგომარეობა.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი სამართლებრივი საფუძველი ვალაუვალობის წარმოების აღიარების ან არ აღიარების შესახებ განხილული უნდა იყოს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ. მნიშვნელოვანია, რომ იმ სახელმწიფოს სასამართლოს, სადაც მოთხოვნილია ვალაუვალობის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების ცნობა ან აღსრულება, აქვს უფლებამოსილება გადაწყვიტოს, ექნება თუ არა კონკრეტული გადაწყვეტილების აღსრულებას ისეთი გავლენა, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება ამ სახელმწიფოს საჯარო პოლიტიკას, მის ფუნდამენტურ პრინციპებს, კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო ინტერესის არსებობამ ვალაუვალობის წარმოების ირგვლივ შესაძლებელია გამოიწვიოს ის, რომ ვალაუვალობის წარმოების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ევროკავშირის წევრი ერთი

სახელმწიფოს მიერ, მეორე სახელმწიფოში აღსრულდეს ნაწილობრივ ან მთლიანად უარყოფილ იქნას იგი. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ადგილობრივი სასამართლებრივი ნორმები ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებულია.

შესაბამისად, განსხვავდება, როგორც მათი სამართლებრივი ნორმების შინაარსი, ასევე ფუნდამენტური პრინციპები, რომელიც ამოსავალ წერტილს წარმოადგენს თითოეული სახელმწიფოს განვითარების გზაზე.

ზაზგასმით უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი წინაღობა წინასწარ ვერ იქნება იდენტიფიცირებული იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც ახორციელებს ვალაუვალობის ძირითად წარმოებას და შესაბამისად, სწორედ ამიტომ არსებობს ვალაუვალობის წარმოების აღსრულებისთვის საჭირო მექანიზმები, რომელთაც უფლებამოსილ სასამართლოების მიერ სამართლებრივი შესაბამისობის შემოწმება ჰქვია.

ვალაუვალობის ქართულ სასამართლო განსჯალობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლის კანონში სასამართლოს როლი, დაინტერესებული მხარის მიერ, გადახდისუუნარობის ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შემოწმების მხოლოდ ფორმალურ მხარეს ითვალისწინებდა, კერძოდ, აკმაყოფილებდა თუ არა განაცხადი დადგენილ ფორმას. რაც შეეხება ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც მეტყველებენ მოვალე საზოგადოების გადახდისუუნარობის შესახებ, აღნიშნულის შემოწმებას ახორციელებდა მომრიგებელი საბჭო და შესაბამისად, საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას მოვალე საზოგადოების გადახდისუუნარობის საკითხთან დაკავშირებით. როგორც პროფესორი როინ მიგრიაული ერთ-ერთ მორიგ ინტერვიუში აცხადებს: - „კანონი არ მუშაობს, შეიძლება 100.000 - ზე მეტი საწარმო იყოს შექმნილი და მთელი ქვეყნის მასშტაბით 50 - ზე მეტი გაკოტრება

არ მიმდინარეობდეს? მაშინ, როდესაც გერმანიაში 100 სანარმო რომ იქმნება, 80 კოტრდება, ეს ჩვეულებრივი ამბავია“.⁵⁸

რაც შეეხება 2020 წლის განახლებულ კანონს, აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის, გაკოტრების, საქმის წარმოების შეწყვეტისა თუ გახსნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, როგორც ფორმალური მხარის შემონგებით, აგრეთვე ფაქტობრივი და მატერიალური მხარის ჩათვლით. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ მანამ სანამ საქმე სასამართლომდე მივა, თითოეულ პროცედურაში მონაწილეობას იღებენ კრედიტორები (როგორც უზრუნველყოფილი, ასევე არაუზრუნველყოფილი კრედიტორები).

1.5 ვალაუვალობის წარმოებების შერწყმა

მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია შეიცავს ინფორმაციას ვალაუვალობის წარმოების პროცესების შერწყმისა და მენარმე სუბიექტების მიმართ ვალაუვალობის ერთობლივი წარმოების შესახებ. მაგრამ, ბუნებრივია, როდესაც ერთი მენარმე სუბიექტის არსებითი ინტერესების ადგილი მდებარეობს ევროკავშირის წევრ ერთ სახელმწიფოში, ხოლო მეორე მენარმე სუბიექტს არსებითი ინტერესების ადგილი ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში, ვერ მოხდება მათი ვალაუვალობის წარმოების შერწყმა იმ მარტივი მიზეზით, რომ აღნიშნული საზოგადოებები წარმოადგენენ დამოუკიდებელ, სხვადასხვა სამართლებრივი გარემოებების სუბიექტებს და შესაბამისად, მათ მიმართ ვალაუვალობის წარმოება ვერ დაიწყება ერთდროულად.

იმ მენარმე სუბიექტებთან მიმართებით, რომელთაც არსებითი ინტერესებისა ადგილი ჰქონდათ ერთსა და იმავე წევრ სახელმწიფოში,

⁵⁸ www.eugeorgia.info, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ საკუთარი პოზიცია დააფიქსირა. მაგალითად:

„Rastelli”⁵⁹- ის შემთხვევასთან დაკავშირებით - არსებობდა ფრანგული სამენარმეო საზოგადოება, რომელსაც არსებითი ინტერესების ადგილად განსაზღვრული ჰქონდა ქალაქი მარსელი. აღნიშნული საზოგადოება იყო ვალაუვალი. ამასთან, ლიკვიდატორმა პარალელურად დაიწყო ლიკვიდაციის პროცესი იტალიური სამენარმეო საზოგადოების მიმართ, რომელსაც არსებითი ინტერესების ადგილი ჰქონდა იტალიაში. აღნიშნულის საფუძველად მიუთითა, რომ ამ ორივე ვალაუვალი საზოგადოების კუთვნილი ქონება ერთმანეთთან დაკავშირებული იყო გარკვეული ეკონომიკური საქმიანობის გამო. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განაცხადა, რომ „იმ უფლებამოსილმა სასამართლომ, რომელმაც მოვალე საზოგადოების მიმართ დაიწყო ვალაუვალობის პირველადი წარმოება, იმოქმედა ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით და შესაბამისად, ერთადერთი დაშვება, როდესაც, შესაძლებელია, რომ ორი სხვადასხვა მენარმე სუბიექტის მიმართ დაიწყოს ერთდროულად ვალაუვალობის პროცესი, არის იმ შემთხვევაში, თუ ორივე სუბიექტი ერთსა და იმავე ადგილას ფლობს არსებით ინტერესების ადგილს“. ამასთან, მხოლოდ ის არგუმენტი, რომ მათი ქონება ურთიერთმიმართებაშია, არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს მათ მიმართ ვალაუვალობის ერთობლივი წარმოებისთვის.

შესაბამისად, ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია, იძლევა შესაძლებლობას, რომ ორი სამენარმეო სუბიექტის მიმართ, რომელთა ქონებას

⁵⁹ Rastelli Davide v Jean – Charles Hidoux Judgement of the court, first chamber, <http://curia.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

გარკვეულ ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან, დაიწყოს ვალაუვალობის პირველადი წარმოება, თუმცა აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მათი არსებითი ინტერესების ადგილის ერთსა და იმავე სახელმწიფოში მდებარეობა.

მიუხედავად ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის შედარებით უფრო სრულყოფილებისა, ვიდრე ვალაუვალობის ქართული სამართალი, მასშიც არსებობს ისეთი სამართლებრივი ნორმები, რომელთა პრაქტიკაში ადაპტირება უამრავ პასუხგაუცემელ კითხვას ბადებს.

არსებითი ინტერესების ადგილი, ერთი მხრივ, ამოსავალი წერტილია ვალაუვალობის წარმოების დაწყებისთვის, თუმცა მეორე მხრივ, განსაზღვრა იმისა, თუ რეალურად სად მდებარეობს მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილი, ხშირად საკმაოდ რთულია. სწორედ აღნიშნულმა (და არამარტო) პრობლემურმა საკითხმა განაპირობა ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაციის განახლების აუცილებლობა. ევროპული კანონმდებელი, როგორც იქნა მიხვდა, რომ არ შეიძლება ამოსავალი წერტილი შეიცავდეს პრობლემურ საკითხს და რომ ნებისმიერი ფუნდამენტური წინაპირობა ვალაუვალობის წარმოებისთვის, უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და ერთადერთი საკითხი, რომელზეც სასამართლო უნდა მსჯელობდეს ვალაუვალობის წარმოების დაწყებამდე, არის ის, თუ რამდენად არის კონკრეტული სასამართლო უფლებამოსილი, დაიწყოს ვალაუვალობის წარმოება კონკრეტული მოვალე საზოგადოების მიმართ.

ვალაუვალობის განახლებულმა რეგულაციამ, შეიძლება ითქვას, რომ მანამდე არსებული თეორია მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის შესახებ გადმოიტანა კონკრეტულ სამართლებრივ ნორმად და შესაბამისად, განსაზღვრა იმისა, თუ სად ფლობს მოვალე საზოგადოება ეკონომიკურ აქტივობის ადგილს და სად ახორციელებს ფაქტობრივ

ადმინისტრირებას, ბევრად უფრო ადვილია, როგორც სასამართლოსთვის, ასევე მესამე პირების (კრედიტორების) მიერ.

როდესაც საქმე ეხება არა ერთ, არამედ რამდენიმე მენარმე სუბიექტს, „არსებითი ინტერესების ადგილის“ დადგენა უფრო რთულდება. რა თქმა უნდა, არ არის ადვილი სწორად განისაზღვროს მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი“ იმ ფონზე, როდესაც, საზოგადოების ქონება, ადმინისტრაციული წარმოება და ცენტრალური ოფისი სხვადასხვა სახელმწიფოში მდებარეობს. მსგავს შემთხვევებში იგულისხმება სიტუაცია, როდესაც დედა საზოგადოება და შვილობილი საზოგადოებები სხვადასხვა სახელმწიფოებში მდებარეობენ. ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის მე-13 ჩანართის მიხედვით „არსებითი ინტერესების ადგილი“ გულისხმობს ადგილს, საიდანაც მენარმე სუბიექტი ახორციელებს თავის ეკონომიკურ აქტივობას რეგულარულად.

მაგალითისთვის გავიხსენოთ The Daisytek - ის შემთხვევა, როდესაც განიხილებოდა ვალაუვალობის წარმოების დანყება ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში რეგისტრირებული მენარმე სუბიექტების მიმართ. არსებულ საქმეში აღინიშნა, რომ ზემოთხსენებული საზოგადოებების „არსებითი ინტერესების ადგილი“ მდებარეობდა ინგლისში. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა კომერციული ოპერაციები ხორციელდებოდა სხვა სახელმწიფოებში, საქმიანობის ძირითადი ადმინისტრირება ხორციელდებოდა ინგლისიდან. ზემოაღნიშნულ საქმეში განმარტებული იყო, რომ იმ შემთხვევაში თუ მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი“ მდებარეობს სხვა სახელმწიფოში, ხოლო რეგისტრირებული მისამართი სხვა სახელმწიფოში, საქმიანობის ძირითადი ადმინისტრირება ერთ სახელმწიფოში უნდა დასტურდებოდეს საზოგადოების ფაქტობრივი საქმიანობით. რა თქმა უნდა, რეგისტრირებული მისამართი ძირითადად აღქმულია მენარმე სუბიექტის

ძირითად მისამართად, თუმცა აღნიშნული აღქმა ბათილდება მენარმე სუბიექტის ძირითადი ეკონომიკური აქტივობის ადგილის ლოკაციით.

თუ შევაჯამებთ ზემოაღნიშნულ მსჯელობას, ცალსახაა, რომ მრავალი შვილობილი საზოგადოება შეიძლება დადგეს იმ მოცემულობის წინაშე, რომ ვალაუვალობის წარმოების დაწყების მცდელობა კრედიტორებს ჰქონდეთ არა მათი, არამედ დედა საზოგადოების მიმართ. შესაბამისად, სწორედ მათზე გადის ის ტვირთი, რომ უფლებამოსილ სასამართლოში დაამტკიცონ თავიანთი და დედა კომპანიის „არსებითი ინტერესების ადგილის“ განსხვავებული ლოკაციის მდებარეობა.

თავი II. „არსებითი ინტერესების აღვილის“ მიგრაცია

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე - 5⁷ პრიმა მუხლი⁶⁰ ითვალისწინებს უცხო ქვეყნის სანარმოს რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანას (რედომიცილება) საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად. ამავე მუხლის მე - 3 პუნქტის⁶¹ მიხედვით, ასევე შესაძლებელია საქართველოში რეგისტრირებული სანარმოს უცხო ქვეყანაში რეგისტრაცია სანარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. აღნიშნული ჩანაწერების მიხედვით, ქართული სამართლებრივი სივრცე იძლევა თეორიულ შესაძლებლობას, კონკრეტულმა მენარმე სუბიექტმა განახორციელოს საკუთარი რეგისტრირებული მისამართის შესაბამისად ეკონომიკური საქმიანობის გადატანა უცხო ქვეყანაში ან პირიქით, უცხო ქვეყნიდან საქართველოში გადმოტანა. მსჯელობის საგანია, თუ რამდენად ხორციელდება არსებული ჩანაწერების პრაქტიკაში ადაპტირება, თუმცა, ცალსახაა, რომ მსგავსი ჩანაწერების არსებობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეს მხოლოდ და მხოლოდ წაადგება და მენარმე სუბიექტებს მისცემს მოქნილობისა და სამენარმეო საქმიანობის პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებში ლავირების საშუალებას.

მიუხედავად იმისა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი იძლევა მენარმე სუბიექტების რეგისტრირებული მისამართის სხვა ქვეყანაში

⁶⁰ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 5⁷ პრიმა მუხლი, <https://matsne.gov.ge>; უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁶¹ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მე -3 მუხლი, <https://matsne.gov.ge>; უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

გადატანის ან სხვა ქვეყნიდან საქართველოში რეგისტრირებული მისამართის გადმოტანის შესაძლებლობას, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მსგავს შესაძლებლობას თეორიული დაშვების დონეზეც არ განიხილავს 2007 წლის „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი⁶² და არც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი. არადა საინტერესოა, იმ ფონზე, როდესაც მენარმე სუბიექტებს აქვთ რეგისტრირებული მისამართისა და ეკონომიკური საქმიანობის სხვა ქვეყანაში გადატანის ან საქართველოში გადმოტანის თეორიული შესაძლებლობა, რატომ გამორიცხა კანონმდებელმა უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული მენარმე სუბიექტის რეგისტრირებული მისამართის ცვლილების შესაძლებლობა საქართველოში გადახდისუუნარობის დაწყების მიზნით.

ფაქტიურად, ერთი მხრივ, მენარმე სუბიექტების წახალისება ხდება იმ საფუძვლით, რომ საკანონმდებლო სივრცე იძლევა მოქნილობას, იმდენად რამდენადაც, მენარმე სუბიექტებს ნებისმიერ დროს, კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით შეუძლიათ ერთი ქვეყნიდან საქართველოში გადმოიტანონ თავიანთი ეკონომიკური საქმიანობა, თანაც ისე, რომ არ დაირღვას მათი ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტობა, ხოლო მეორე მხრივ, ობიექტურ არგუმენტებს მოკლებულია ის ფაქტი, რომ სამენარმეო სამართლის მომიჯნავე ისეთ დარგში, როგორც გადახდისუუნარობის სამართალია, არაფერია თქმული მენარმე სუბიექტის რეგისტრირებული მისამართის ცვლილების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

როდესაც ჩვენი მიზანი ვალაუვალობის დარგობრივი განვითარება და მისი, როგორც სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის

⁶² „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2007, <https://matsne.gov.ge>, უკანასკნელად გადამონშებულ იქნა 02/05/2022

ყოველდღიური პროგრესია, კარგი იქნება თუ ქართული ვალაუვალობის სამართალი უცხო ქვეყნის მენარმე სუბიექტებს მისცემს საქართველოში მიგრაციის შესაძლებლობას ვალაუვალობის დაწყების მიზნით. აღნიშნული დაშვება ასევე შესაძლებლობას მისცემს რეგიონში მოქმედ იურიდიულ პირებს, საქართველო განიხილონ ვალაუვალობის წარმოების ადგილად და შესაბამისად, მას შემდეგ რაც მოხდება მათი რეგისტრირებული მისამართისა და ეკონომიკური საქმიანობის გადმოტანა საქართველოში, ვალაუვალობის წარმოება მოვალე საზოგადოებების მიმართ დაიწყება მათი „მთავარი ინტერესების ადგილის“ მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ ეს უკანასკნელი უკვე ცნობილია ქართული ვალაუვალობის სამართლისთვის და შესაბამისად არსებობს საფუძველი კონკრეტული იდეის სიღრმისეული კვლევისა და პრაქტიკაში ადაპტირების მიზნებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირში 2000 წლიდან მენარმე სუბიექტებს ჰქონდა აღნიშნული უფლების გამოყენების საშუალება და ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში თავიანთი „არსებითი ინტერესების ადგილის“ გადატანის შესაძლებლობა ვალაუვალობის წარმოების დაწყების მიზნით.

წლების განმავლობაში აღნიშნული გარემოება იმდენად აქტუალური გახდა, რომ ევროკავშირში შეიქმნა საჭიროება არსებული პროცესის მარეგულირებელი ნორმების ჩამოყალიბების, პროცესის მონიტორინგისა და კონტროლისა. სწორედ ამის შემდგომ შეიქმნა განახლებული რეგულაციით გათვალისწინებული პრევენციული ნორმები, რომლებმაც მენარმე სუბიექტებს მოცდის პერიოდი დაუწესა. შედეგად, ევროკავშირში ვალაუვალობა როგორც დარგი, ჩამოყალიბდა სრულყოფილი სამართლებრივი ნორმებითა და მრავალი პრაქტიკული მაგალითით, რაც საწინდარია დარგობრივი განვითარებისა. შესაბამისად, თუ საქართველოში იარსებებს შესაძლებლობა (თუნდაც საწყის ეტაპზე), უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირების

საქმიანობის გადმოტანის, შემდგომში ვალაუვალობის წარმოების დაწყების მიზნით, აღნიშნული უზრუნველყოფდა დარგის ნახალისებას, განვითარებას, მიმზიდველობასა და დანიშნულების ამაღლებას საქართველოში.

ბუნებრივია, დღევანდელი ვალაუვალობის ქართული სამართლებრივი სივრცისთვის, შესაძლებელია არ იყოს გამოსადეგი კონკრეტული ჩანაწერის არსებობა, ვინაიდან არ არის პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის პრაქტიკული შესაძლებლობა. თუმცა, ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მენარმე სუბიექტების რეგისტრირებული მისამართის ცვლილებაც არ ხორციელდება ხშირად, არ აქვს მნიშვნელობა საქართველოდან საზღვარგარეთ, თუ პირიქით. ფაქტია, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ჩანაწერი მენარმე სუბიექტების რედომიცილების შესახებ, ბევრად უფრო თეორიული ჩანაწერია, ვიდრე პრაქტიკული. ყოველ შემთხვევაში სამენარმეო საქმიანობის პრაქტიკა ამას გვიქადის.

აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ გადახდისუუნარობის სამართალსაც დავეუბნებთ მენარმე სუბიექტების რეგისტრირებული მისამართის ცვლილების შესაძლებლობას, ერთი ნაბიჯით წინ ვიქნებით ვალაუვალობის, როგორც სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, თუმცა დღემდე განვითარებად საფეხურზე მყოფი დარგის განვითარების გზაზე.

განსხვავებით ქართული საკანონმდებლო სივრცისა, ევროკავშირმა გაითვალისწინა ის თეორიული შესაძლებლობა, რომ თუ მენარმე სუბიექტებს აქვთ რეგისტრირებული მისამართისა და ეკონომიკური აქტივობის რედომიცილების შესაძლებლობა, შესაძლებელია აღნიშნულ ღონისძიებას მიმართონ სხვა ქვეყანაში სწორედ გადახდისუუნარობის დაწყების მიზნების შესაბამისად, მიმღები ქვეყნის შედარებით ჰარმონიული სამართლებრივი სივრციდან გამომდინარე. მენარმე სუბიექტებს აღნიშნული შეუზღუდავი უფლება

ვალაუვალობის განახლებული რეგულაციის მიღებამდე ჰქონდათ, ვინაიდან ახალმა რეგულაციამ ე.წ მოცდის პერიოდი დააწესა. მენარმე სუბიექტების მიზანმიმართულმა მიგრაციამ უზრუნველყო გადახდისუნარობის დარგობრივი განვითარება, ხოლო მრავალი წლის გასვლის შემდგომ, მას შემდეგ რაც გადახდისუნარობის ევროპული პრაქტიკა დაიხვეწა და განვითარდა, ევროკავშირის მიერ შემოღებულ იქნა პრევენციული ზომები, რომლითაც შეძლებისდაგვარად დააბალანსეს მენარმე სუბიექტების მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები.

ვალაუვალობის ევროპულ რეგულაციაში⁶³ მენარმე სუბიექტის რეგისტრირებული მისამართის ცვლილება⁶⁴ (რედომიცილება), ცნობილია, როგორც მენარმე სუბიექტის „არსებითი ინტერესების ადგილის“ მიგრაცია⁶⁵, ანუ ფორუმ შოპინგი⁶⁶. არსებული ნაშრომი წარმოაჩენს ევროკავშირში მენარმე სუბიექტის მიგრაციასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს⁶⁷ და შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ქართული სამართლებრივი სივრცე, ოდესმე მოინდომებს, მენარმე სუბიექტის რედომიცილების შესაძლებლობის გათვალისწინებას, ნაშრომი დაეხმარება კანონმდებელს, კონკრეტული სამართლებრივი ნორმების შინაარსის განსაზღვრასა და შემდგომში, ქართულ სამართლებრივ სივრცეში, ქართული რეალობის შესატყვისი სამართლებრივი ნორმების სწორი ფორმით ჩამოყალიბებაში⁶⁸.

⁶³ European Insolvency Regulation Recast, Art 3, 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 02/05/2022

⁶⁴ European Insolvency Regulation, recital 31, 1346/2000, <https://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 02/05/2022

⁶⁵ Veder Paul M, Cross – Border insolvency proceedings and security rights, comparison of Dutch and German law, the EC insolvency regulation and the UNCITRAL model law on cross – border insolvency, 2004, 309 – 320; <https://faculty.insol.org>. უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 02/05/2022

⁶⁶ Ringe G, Forum shopping under the EU insolvency regulation, University of Oxford, Legal research paper series N 33/2008, 6 -14; <https://papers.ssrn.com>. უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 01/05/2022

⁶⁷ Schlaefer G, Forum shopping under the regime of the European insolvency regulation, 5-31,2010, <https://www.iiiglobal.org>. უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 02/05/2022

⁶⁸ Neel U, A theoretical and empirical study of forum shopping in diversity cases, 1-7, 2014, <https://scholar.princeton.edu>. უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 01/05/2022

მენარმე სუბიექტების ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში რედომიცილების/მიგრაციის საკითხი, ძალზედ აქტუალურია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ ვალაუვალი მენარმე სუბიექტები, ცდილობენ მონახონ ისეთი სამართლებრივი სივრცე, სადაც ვალაუვალობის პროცესის დანყების შემთხვევაში, უფრო მეტ სარგებელს ნახავენ. ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაცია⁶⁹, ითვალისწინებდა მენარმე სუბიექტის მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა ევროპული პრაქტიკა ხშირად აჩვენებდა იმას, რომ ყველა შემთხვევის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო და კონკრეტული სამართლებრივი მდგომარეობის ინდივიდუალური ინტერპრეტაციების შედეგად, ვითარდებოდა სამართლებრივი სივრცე⁷⁰.

მართალია, რომ საზოგადოებების მიგრაცია თეორიულად განიხილება, როგორც ერთი მენარმე სუბიექტის რეგისტრირებული მისამართის ცვლილება და მისი გადატანა საქმიანობის უწყვეტად სხვა სახელმწიფოში, თუმცა, ვინაიდან ევროკავშირში მენარმე სუბიექტის რეგისტრირებული მისამართი, უცილობლად არ ნიშნავს მენარმე სუბიექტის ეკონომიკური საქმიანობის ადგილს (ეს უკანასკნელი დამოკიდებულია „არსებით ინტერესების ადგილზე“), ვალაუვალობის დანყების მიზნით საზოგადოებათა რედომიცილების პროცესში, ბევრი გაუთვალისწინებელი ელემენტი შეიმჩნეოდა⁷¹, როგორცაა, თუნდაც სწორი სამართლებრივი ნორმების გამოყენება და შესაბამისობა მიმდინარე პროცესთან⁷².

⁶⁹ European Insolvency Regulation, 1346/2000, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 01/05/2022

⁷⁰ Rammeloo S, Cross-border company migration in the EU: transfer of registered office, 91-107, 2017, www.journal.sagepub.com, უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 02/05/2022

⁷¹ Schlaefer G, Forum shopping under the regime of the European insolvency regulation, 5-31, 2010, <https://www.iiiglobal.org>, უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 02/05/2022

⁷² Neel U, A theoretical and empirical study of forum shopping in diversity cases, 1-7, 2014, <https://scholar.princeton.edu>, უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 01/05/2022

საზოგადოებათა მიგრაციის პრობლემის ერთ-ერთი ძირითადი არსიც, სწორედ სამართლებრივი ნორმების შესაბამისობაა ვალაუვალობის პროცესთან. ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაციის მე - 4 ჩანართის მიხედვით, ფორუმ შოპინგი ეს არის „მოვალე საზოგადოების მიერ ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში ეკონომიკური აქტივობის გადატანა უფრო მეტი სარგებლის მიღების მიზნით“⁷³.

ამავე რეგულაციის მიხედვით, კონკრეტული სამართლებრივი ნორმების შესაბამისობა უნდა მოხდეს იმ ქვეყნის ნორმების მიხედვით, სადაც მენარმე სუბიექტი ფლობს „არსებითი ინტერესების ადგილს“. შეიძლება ითქვას, რომ წარმატებული და ნაყოფიერი ფორუმ შოპინგი სახეზეა მაშინ, როდესაც მოვალე სუბიექტს აქვს შესაძლებლობა საკუთარი „არსებითი ინტერესების ადგილი“ გადაიტანოს ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში. იმ შემთხვევაში, თუ მენარმე სუბიექტი, კანონმდებლობის სრული დაცვით უზრუნველყოფს საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის, ესე იგი „არსებითი ინტერესების ადგილის“ გადატანას ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში, აღნიშნული სუბიექტის „არსებითი ინტერესების ადგილი“ იქნება მიმღებ სახელმწიფოში.

ევროკავშირის პრაქტიკული მაგალითები ცხადყოფს, რომ როდესაც მოვალე საზოგადოება დგას იმ დილემის წინაშე, თუ ევროკავშირის წევრ რომელ სახელმწიფოში უნდა გადაიტანოს საკუთარი „არსებითი ინტერესების ადგილი“, მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას არსებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამის მაგალითად, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემთხვევა, როდესაც მოვალემ იცის, რომ კრედიტორები ნებისმიერ ვარიანტში სადავოდ გახდიან მის რომელიმე ქმედებას და მოვალე აირჩევს იმ ქვეყანაში მიგრაციას, სადაც სასამართლო პროცედურებს უფრო მეტი დრო სჭირდება⁷⁴. ესე იგი

⁷³ European Insolvency Regulation, Recital 4, 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁷⁴ Neel U, A theoretical and empirical study of forum shopping in diversity cases, 1-7, 2014, <https://scholar.princeton.edu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

მოვალეს შეუძია ხელოვნურად გააჭიანუროს ვალაუვალობის წარმოების ეტაპები, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუ მას იგი სჭირდება⁷⁵.

მნიშვნელოვანია, რომ იმ ფონზე, როდესაც ევროკავშირის 2000 წლის რეგულაცია იძლეოდა მოვალე საზოგადოების მიერ „არსებითი ინტერესების ადგილის“ ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში გადატანის შესაძლებლობას, რთული იყო განსაზღვრა, ვალაუვალობის წარმოების დაწყების სურვილი მოვალე საზოგადოების მიერ ხომ არ ემსახურებოდა, მხოლოდ ამავე საზოგადოების მიერ მეტი სარგებლის მიღებას შემდგომი პროცესებიდან. სწორედ აღნიშნული და მსგავსი თეორიული დაშვებები გახდა საფუძველი იმისა, რომ განახლებულ რეგულაციაში ევროპელმა კანონმდებლებმა გაითვალისწინეს „არსებითი ინტერესების ადგილის“ მიგრაციის პრევენციული ღონისძიებებიც.

2.1 საზოგადოებათა მიგრაცია

შეიძლება ითქვას, რომ მენარმე სუბიექტების მიერ თავიანთი „არსებითი ინტერესების ადგილის“ მიგრაცია ევროკავშირის წევრი ერთი სახელმწიფოდან სხვა ნებისმიერ სახელმწიფოში, გარკვეულ ტენდენციას წარმოადგენდა 2000 წლიდან. არსებული ფაქტი უფრო ნაახალისა იმ გარემოებამ, რომ ევროკავშირის წევრი ზოგიერთი სახელმწიფოს სამართლებრივი სივრცე, შედარებით უფრო მეტი სარგებლის მომტანი იყო მოვალე სუბიექტებისთვის, ვიდრე კრედიტორებისთვის და შესაბამისად, ვალაუვალი მოვალეები, არ იზურებდნენ ძალ-ღონეს, რათა შეეცვალათ „არსებითი ინტერესების ადგილის“

⁷⁵ Rammeloo S, Cross-border company migration in the EU: transfer of registered office, 91-107, 2017, www.journal.sagepub.com,

უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

⁷⁶ Schlaefer G, Forum shopping under the regime of the European insolvency regulation, 5-31, 2010, <https://www.iiiglobal.org> უკანასკნელად

გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

მდებარეობა. ბუნებრივია ასეც იქნებოდა, ვინაიდან, როდესაც მოვალე საზოგადოება ფინანსური სიძნელების წინაშე დგას და გამოსავალს ეძებს, ცდილობს იპოვნოს ისეთი გზა, რომელიც პირველ რიგში მას ასარგებლებს და შემგომ კრედიტორებს. ასეთი გზა კი შესაძლებელია, სწორედ არსებითი ინტერესების ადგილის მიგრაცია იყოს.

ამის მაგალითად შეგვიძლია გავიხსენოთ გერმანული საზოგადოებების „Scheffacker“⁷⁷-ის „DeutscheNickel“-ის⁷⁸ და Hans Brochier⁷⁹ - ის მიგრაცია ინგლისში. აღნიშნული საზოგადოებები გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყვნენ მოსალოდნელი ვალაუვალობის წინაშე და ვინაიდან, იცოდნენ, რომ ინგლისის სამართლებრივი სივრცე ერთ-ერთ ჰარმონიულ სივრცეს წარმოადგენდა, გადაწყვიტეს, თავიანთი „არსებითი ინტერესების ადგილის“ მიგრაცია ინგლისში.

აღნიშნული მაგალითები იყო ნათელი წარმოჩინება იმისა, რომ მოვალე საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ რეგისტრირებული მისამართის ცვლილება, არამედ უფრო მნიშვნელოვანია, რომ შეძლოს „არსებითი ინტერესების ადგილის“ მიგრაცია⁸⁰, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოვალე საზოგადოების აქტივობის ადგილს, სადაც იგი ახორციელებს ეკონომიკურ აქტივობას რეგულარულად, ხოლო აღნიშნული, თავის მხრივ, აღიარებულია მესამე პირების მიერ⁸¹.

ძირითადად ვალაუვალობის წარმოება აღქმულია, როგორც მოვალე საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობის დასრულება. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მოვალე საზოგადოება იაზრებს იმას, რომ

⁷⁷ საქმე Scheffacker GmbH & Co. KG, [2005], <https://www.allenoverly.com>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁷⁸ საქმე DeutscheNickel, [2005], 14-15, <https://core.ac.uk>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁷⁹ საქმე Hans Brochier, 5618/06, [2006], 15-16, <https://core.ac.uk>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁸⁰ Ringe G, Forum shopping under the EU insolvency regulation, University of Oxford, Legal research paper series N 33/2008, 14-22, <https://papers.ssrn.com>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

⁸¹ Schlaefer G, Forum shopping under the regime of the European insolvency regulation, 5-31,2010, <https://www.iiiglobal.org>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

შესაძლებელია ის ურთიერთობები, რომელიც გააჩნდა საზოგადოების კრედიტორებსა თუ საზოგადოებასთან დაკავშირებულ მესამე პირებთან, შესაძლებელია რომ დასრულდეს.

ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია განსაზღვრავს სამართლებრივ ნორმებს, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება ვალაუვალობის წარმოების უფლებამოსილი სასამართლოს დადგენა მაშინაც კი, თუ საქმე გვაქვს საერთაშორისო წარმოებასთან, ესე იგი როდესაც საქმე გვაქვს მოვალე საზოგადოების მიერ, „არსებითი ინტერესების ადგილის“ ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში გადატანისას⁸².

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, საერთო სახელმწიფოებრივი სივრციდან გამომდინარე, ვალდებული არიან უზრუნველყონ ჰარმონიზებული სამართლებრივი ნორმების შემუშავება, კვლავ რჩება არსებითი განსხვავებები ამათუიმ სახელმწიფოს ნორმებს შორის. სამართლებრივ ნორმათა განსხვავებულობა მოვალე საზოგადოებას აძლევს საშუალებას, უზრუნველყოს საკუთარი „არსებითი ინტერესების ადგილის“ გადატანა ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში. თუმცა, ბუნებრივია, რომ აღნიშნული რედომიცილება უნდა იყოს კეთილსინდისიერი. რედომიცილების, ესეიგი მეწარმე სუბიექტის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლის პროცესისას კეთილსინდისიერება ხაზგასასმელია, ვინაიდან მეწარმე სუბიექტის მიერ სხვა სახელმწიფოში გადასვლა, ხშირად ასოცირდებოდა მოვალე საზოგადოების მიერ გარკვეული ბენეფიტების მიღების მცდელობასთან.

იმისათვის, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შიდა სახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმების განსხვავებულობა წარმოჩინდეს, რამდენიმე სიტყვით შევადაროთ ევროკავშირის წამყვანი

⁸² Neel U, A theoretical and empirical study of forum shipping in diversity cases, 8-14, 2014, <https://scholar.princeton.edu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

სახელმწიფოების ინგლისი (ყოფილი), საფრანგეთი და გერმანია. მაგალითისთვის, ინგლისი გამორიცხავს სამენარმო საზოგადოების პასუხისმგებლობას წარმოების განცხადების დაგვიანებით შეტანის გამო. როდესაც საზოგადოების ხელმძღვანელი დადგება იმ რეალობის წინაშე, რომ ვალაუვალობის წარმოება გარდაუვალია, შეუძლია რომ საკუთარი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ უზრუნველყოფს კრედიტორების დანაკარგის შემცირება. ეს ნიშნავს იმას, რომ ვალაუვალი საზოგადოების დირექტორის მთავარი ინტერესები კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილება ხდება და არა საზოგადოების გადარჩენა. აღნიშნული დაშვება ბუნებრივია განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ დირექტორისთვის ვალაუვალობის წარმოების აუცილებლად დაწყების შესახებ გვიან გახდა ცნობილი.

აღნიშნული მსჯელობა ინგლისის სამართლებრივ წყაროებში გამყარებულია იმ არგუმენტით, რომ როდესაც გარდაუვალია მოვალე საზოგადოების მიმართ ვალაუვალობის წარმოების დაწყება, ამოსავალ წერტილს უნდა წარმოადგენდეს საზოგადოების კრედიტორთა ინტერესები, ვინაიდან სწორედ ისინი არიან საზოგადოების ფინანსური მესაკუთრეები.

განსხვავებულ მოწესრიგებას გვთავაზობს გერმანიის სახელმწიფო. გერმანიაში ვალაუვალობის წარმოების შესახებ დროული განაცხადის შეტანა სავალდებულოა საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ. მას შემდეგ რაც სახეზე იქნება ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საზოგადოება გარდაუვლად დგას ვალაუვალობის წინაშე, საზოგადოები დირექტორს აქვს მხოლოდ 3 კვირა, იმისათვის, რომ უზრუნველყოს წარმოების შესახებ განაცხადის შეტანა უფლებამოსილ სასამართლოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოების დირექტორი პერსონალურად იქნება პასუხისმგებელი საზოგადოების კრედიტორების წინაშე.

მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებლობა შესაძლებელია იყოს სისხლის სამართლებრივიც, შესაბამისად, საზოგადოების დირექტორებს, აქვთ საკმარისი საფუძველი და მოტივაცია იმისა, რომ მეტად კონცენტრირებულად გაუძღვნენ საზოგადოებას ფინანსური ძნელებლობის უამს და იმ შემთხვევაში თუ გამოსავალს ვერ იპოვიან, დროულად მიმართონ უფლებამოსილ სასამართლოს ვალაუვალობის წარმოების დანყების მიზნით.

მანამ სანამ ინგლისი ევროკავშირის წევრი სახელმწიფო იყო, ვალაუვალობის საერთაშორისო წარმოებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე თართო მიმართვიანობით ხასიათდებოდა, რაც ბუნებრივია მისი მოქნილი სამართლებრივი ნორმებით აიხსნება.

ამასთან, არაუზრუნველყოფილი კრედიტორები შედარებით ნაკლებად მოტივირებული და ჩართულნი არიან ვალაუვალობის წარმოებისას და ამასთან, განსხვავებით სხვა სახელმწიფოებისგან, შესაძლებელია, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული ვალაუვალობის მმართველის გარეშე მიმდინარეობდეს წარმოება. თუმცა რათქმუნდა საზოგადოების დირექტორებს ჩამორთმეული აქვთ საზოგადოების მართვის უფლება. ამ ყველაფერთან ერთად, საზოგადოების უზრუნველყოფილი კრედიტორები უფლებას იძენენ საზოგადოების ქონების მიმართ და უფლებამოსილი არიან ურთიერთშეთანხმებით განახორციელონ საზოგადოების კუთვნილი ქონების რეალიზაცია და შემდგომში თავიანთი ინტერესების თანაბარზომიერი დაკმაყოფილება. არაუზრუნველყოფილი კრედიტორები თავიანთ ინტერესებს იკმაყოფილებენ მას შემდეგ, რაც უზრუნველყოფილ კრედიტორთა ინტერესები სრულად დაკმაყოფილდება.

შედარებისთვის, საფრანგეთში სასამართლოს მიერ დანიშნული ვალაუვალობის მმართველი, წარმოადგენს წარმოების მაკონტროლებელ ორგანოს. სწორედ მმართველია ვალდებული უზრუნველყოს საზოგადოების

კრედიტორთა დაკმაყოფილება საზოგადოების ქონების რეალიზაციით. საფრანგეთში საზოგადოების უზრუნველყოფილი კრედიტორების თანხმობა არ არის აუცილებელი საზოგადოების ქონების გაყიდვასა ან რეორგანიზების გეგმის დამტკიცებისთვის. მათ ნაცვლად, საზოგადოების მიმართ ვალაუვალობის წარმოების მონიტორინგს სასამართლო ახორციელებს. რაც შეეხება გერმანიას, საფრანგეთის მსგავსად, სასამართლოს მიერ დანიშნული მმართველი უძღვება წარმოებას, ხოლო იმისათვის, რომ დამტკიცდეს საზოგადოების ქონების რეალიზაციის ან რეორგანიზაციის გეგმა, აუცილებელია უზრუნველყოფილ კრედიტორთა უმრავლესობის თანხმობა.

მნიშვნელოვანია, რომ მოვალე საზოგადოების მიერ, საკუთარი „არსებითი ინტერესების ადგილის“ ცვლილების ერთ-ერთი მიზეზი, ვალაუვალობის წარმოების დაწყების მიზნით, უკეთესი სამართლებრივი სივრცის არსებობაა. აღნიშნული საფუძვლით, ინგლისის სამართლებრივი ნორმები ვალაუვალობის სამოთხედ არის აღიარებული იმდენად რამდენადაც, ვალაუვალობის წარმოების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს.

ინგლისთან შედარებით, მაგალითად გერმანიაში, აღნიშნული პერიოდი შესაძლებელია 9 წლამდე განისაზღვროს, ხოლო ირლანდიაში 12 წლის მანძილზე შეიძლება რომ მიმდინარეობდეს ვალაუვალობის წარმოება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ როდესაც საქმე ეხება ვალაუვალობის საერთაშორისო წარმოებას, არ იქნება გასაკვირი თუ ინგლისის სამართლებრივი ნორმები მოვალე საზოგადოებებისთვის ყველაზე აქტუალურ ნორმებად მოგვევლინებინან.

სამართლებრივ ნორმათა განსხვავებულობა უფრო მეტად წარმოჩინდება როდესაც საქმე ეხება მოვალე საზოგადოების კრედიტორებისა და მათი უფლებების განსაზღვრას. ფრანგული სამართლებრივი ნორმების მიხედვით კრედიტორთა ჩართულობა ვალაუვალობის წარმოების პროცესში

მინიმალურია, თუმცა მათი რეკომენდაციები ყოველთვის გათვალისწინებულია წარმოების თითოეულ ეტაპზე.

ვთანხმდებით იმაზე, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ადგილობრივი სამართლებრივი ნორმები მეტწილად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა მოვალე საზოგადოების მიერ მისი „არსებითი ინტერესების ადგილის“ ცვლილებასთან დაკავშირებით, ყველაზე მნიშვნელოვანი მისი ცვლილების მოტივის დადგენაა. ვალაუვალობის ევროპული რეგულაციით გათვალისწინებული ფორუმ შოპინგი, მოვალე საზოგადოების მიერ, ვალაუვალობის წარმოების მიზნით, სხვა ქვეყნის სამართლებრივი ნორმების არჩევაა. აღნიშნული განპირობებულია იმ მოტივით, რომ მოვალე საზოგადოებას იმედი აქვს, მის მიერ არჩეული ქვეყნის სამართლებრივი ნორმები, მეტწილად მოვალე საზოგადოების სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებს. ვალაუვალობის წარმოების პრაქტიკული მაგალითები, შეძლებისდაგვარად იძლევა საშუალებას, რომ მოვალე საზოგადოებას შეექმნას განწყობა ამათუიმ სამართლებრივ ნორმათა შესახებ.

დასკვნისთვის უნდა ითქვას, რომ ფორუმ შოპინგი მხოლოდ ვალაუვალობის საერთაშორისო წარმოებას არ ნიშნავს. აქედან გამომდინარე, მოვალე საზოგადოების მიერ სწორი სამართლებრივი ნაბიჯების გადადგმა არსებითად მნიშვნელოვანია. მოვალე საზოგადოება უფლებამოსილია უბრუნველყოს საკუთარი „არსებითი ინტერესების ადგილის“ გადატანა ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში, თუმცა არსებული მიგრაცია რამდენად შეესაბამება ვალაუვალობის ევროპული რეგულაციით განსაზღვრულ ნორმებს, უფლებამოსილი სასამართლოს პრეროგატივაა.

2.2 ფორუმ შოპინგის რეგულირება ევროკავშირის განახლებული რეგულაციის მიხედვით

მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაცია, არ შეიცავდა ისეთ კომპონენტებს, რომლის მიხედვით, მოვალე საზოგადოებების განზრახვა ვალაუვალობის წარმოების ეტაპებზე სარგებლის მიღების მიზნით, სრულად იქნებოდა მონესრიგებული. თუმცა, ვალაუვალობის განახლებული ევროპული რეგულაცია გვთავაზობს შედარებით დახვეწილ მიდგომას და შესაბამისად განახლებულ სამართლებრივ ნორმებს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია უფრო დახვეწილია, ვიდრე ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაცია⁸³ და შეიცავს დამატებებს, რომლებიც ხელს უწყობს ფორუმ შოპინგის ისეთ მიზნებს, რომლებიც ემსახურება მოვალე საზოგადოებების მიერ, საზოგადოებათა მიგრაციის პირადი ინტერესების გამოყენების შესაძლებლობის პრევენციასა და აღმოფხვრას⁸⁴. ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია შეიცავს ახალ საკითხებს, რომლებიც იყო ევროკავშირის მიერ მრავალჯერ განხილული. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია არ წარმოადგენს, თავის მხრივ, ახალ დოკუმენტს, რომელშიც შინაარსობრივი და ტექნიკური ცვლილებებია⁸⁵. არამედ იგი გახლავთ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც გადმოტანილია 2000 წლის რეგულაციიდან, გარკვეული განახლებული და დახვეწილი სამართლებრივი ნორმებით. ისინი უზრუნველყოფენ იმ პრაქტიკული პრობლემების პრევენციას, რომელიც განაპირობა ევროკავშირში არსებულმა კონკრეტულმა მაგალითებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ განახლებული ტექსტი, პირველ რიგში, აძლიერებს პროცედურულ მექანიზმს, მოვალე საზოგადოების „არსებითი

⁸³ Garcimartin F, The EU insolvency regulation, Scope and Rules on Jurisdiction, Madrid, 12-25, 2012, <http://www.ejtn.eu>, უკანასკნელად გადამონმბებულ იქნა 02/05/2022

⁸⁴ Neel U, A theoretical and empirical study of forum shipping in diversity cases, 8-14, 2014, <https://scholar.princeton.edu>, უკანასკნელად გადამონმბებულ იქნა 01/05/2022

⁸⁵ Eidenmuller H, abuse of law in the context of European insolvency law, 2-24, 2009, <https://epub.ub.uni-muenchen.de>, უკანასკნელად გადამონმბებულ იქნა 01/05/2022

ინტერესების ადგილის“ განსაზღვრისთვის და კონკრეტულ სასამართლოს იმპერატიულად ავალებს, განიხილოს და იპოვოს მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი“ შემდგომში ვალაუვალობის პირველადი წარმოების დასაწყებად. განახლებული რეგულაცია ასევე შეიცავს ნორმებს, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენენ პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს მოვალე საზოგადოების მიერ, „არსებითი ინტერესების ადგილის“ მიგრაციის პირადი ინტერესების საფუძვლით.

ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაციის⁸⁶ მოქმედების დღიდან მრავალი საკითხი წარმოჩინდა, რომელთა დროული გადაწყვეტა ევროკავშირისთვის არსებითად მნიშვნელოვანი იყო, დაწყებული მოვალე საზოგადოების არსებითი ინტერესების ადგილის რაობის განსაზღვრიდან, მენარმე სუბიექტის მიგრაციით გაგრძელებული. შესაბამისად, როგორც იმპერატიული, ასევე პრევენციული ზომების მიღება ფაქტიურ გამოსავალს წარმოადგენდა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის, ვინაიდან, ნებისმიერი პრობლემის წინაშე დადგომის დროს, მოვალე საზოგადოება და მისი კრედიტორები, ევროპულ მართლმსაჯულების სასამართლოს შესცივინებდნენ თვალეებში და ელოდებოდნენ, თუ რას და ვის სასარგებლოდ განმარტავდა კონკრეტულ ვარაუდს რეგულაციიდან და კონკრეტულ შემთხვევას ვალაუვალობის პრაქტიკიდან⁸⁷. შესაბამისად, ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, წარმოადგენდა ერთგვარ საზომსა და ორიენტს ვალაუვალობის სამართლის პრაქტიკულ საკითხებში მონაწილე მხარეებისთვის⁸⁸.

⁸⁶ European Insolvency Regulation, 1346/2000, <http://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 02/05/2022

⁸⁷ Garcimartin F, The EU insolvency regulation, Scope and Rules on Jurisdiction, Madrid, 12-25, 2012, <http://www.ejtn.eu>, უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 02/05/2022

⁸⁸ Eidenmuller H, abuse of law in the context of European insolvency law, 2-24,2009, <https://epub.ub.uni-muenchen.de>, უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 01/05/2022

ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის მე - 4 ჩანართის მიხედვით⁸⁹ მენარმე სუბიექტის მიგრაცია, იგივე ფორუმ შოპინგი განმარტებულია, როგორც მენარმე სუბიექტის კუთვნილი ქონების რედომიცილება ევროკავშირის წევრ ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში, იმისათვის, რომ მოვალე საზოგადოება ვალაუვალობის წარმოებისთვის აღმოჩნდეს უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე პირველ სახელმწიფოში. მიგრაციის მიზნებისთვისა და უფლებამოსილი სასამართლოს დადგენისთვის მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი“ ფუნდამენტურ როლს თამაშობს. შესაბამისად, ფორუმ შოპინგი მოვალე საზოგადოებას აძლევს საშუალებას უზრუნველყოს საკუთარი „არსებითი ინტერესების ადგილის“ გადატანა ევროკავშირის წევრ ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში⁹⁰. შესაბამისად, ვალაუვალობის წარმოება მოვალე საზოგადოების მიმართ დაიწყება მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც მოვალე საზოგადოება მიზანმიმართულად ცდილობს საკუთარი „არსებითი ინტერესების ადგილის“ გადატანას ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში, იმისათვის, რომ მაქსიმალურად მეტი სარგებელი მიიღოს მომავალი წარმოებისგან⁹¹. გარდა იმისა, რომ მიგრაციის ერთ-ერთი საფუძველი ასევე მოვალე საზოგადოების ქონების მაქსიმალურად მობილიზებაა⁹², მნიშვნელოვანია, რომ იგი არ განხორციელდეს პირადი მიზნების სისრულეში მოსაყვანად. შეიძლება ითქვას,

⁸⁹ European Insolvency Regulation recast, recital 4, 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁹⁰ European Insolvency Regulation recast, recital 5, 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

⁹¹ Ringe G, Forum shopping under the EU insolvency regulation, University of Oxford, Legal research paper series N 33/2008, 22-30, www.ssrn.com. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

⁹² Neel U, A theoretical and empirical study of forum shopping in diversity cases, 8-14, 2014, <https://scholar.princeton.edu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

რომ თუ მიგრაციის მიზანი მოვალე საზოგადოების ქონების ოპტიმიზაცია არ გახლავთ, დაგეგმილი მიგრაცია პირად მიზნებს ემსახურება⁹³.

აღნიშნული მსჯელობა არგუმენტირებული იმით, რომ თუ მოვალე საზოგადოების მიზანი არ არის ვალაუვალობის წარმოების ხელშეწყობის მიზნით ქონების მობილიზება, მაშინ ნებისმიერი სხვა საფუძვლით მიგრაცია ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში, მოვალე საზოგადოების პირად ინტერესს უსვამს ხაზს. შესაბამისად, როდესაც საქმე ეხება მოვალე საზოგადოების მიგრაციას, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს მოტივი, ხომ არ ისახავს მიზნად დაგეგმილი მიგრაცია მოვალე საზოგადოებისთვის სარგებელის მიცემას. იმ შემთხვევაში, თუ გამოაშკარავდება, რომ მოვალე საზოგადოების მიგრაცია განპირობებულია პირადი საფუძვლებითა და მიზნებით, რომ წინამდებარე პროცესით მოვალე საზოგადოებამ მეტი ბენეფიტი მიიღოს, მაშინ მოვალე საზოგადოების „არსებით ინტერესების ადგილად“ კვლავ დარჩება პირველადი სახელმწიფო და შესაბამისად, ვალაუვალობის წარმოება დაიწყება სწორედ აღნიშნული სახელმწიფოს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ⁹⁴.

რა თქმა უნდა, ყველა მიგრაცია ვერ იქნება პირადი საფუძვლებით განხორციელებული. ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის მე-2, 8, 16, 19, 20 მუხლები ხაზგასმით აღნიშნავენ იმას, რომ როდესაც საქმე ეხება ვალაუვალობის წარმოების მიზნით საზღვრის კვეთას, მოვალე საზოგადოების უმთავრეს მიზანს ვალაუვალობის ეფექტური განხორციელება უნდა წარმოადგენდეს. სწორედ აღნიშნული საფუძვლით მოვალე საზოგადოებას აქვს საშუალება უზრუნველყოს საკუთარი ქონების მაქსიმალური მობილიზება კრედიტორების ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით.

⁹³ Veder Paul M, Cross – Border insolvency proceedings and security rights, comparison of Dutch and German law, the EC insolvency regulation and the UNCITRAL model law on cross – border insolvency, 2004, 309 – 320, <http://www.insol.org>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

⁹⁴ Eidenmuller H, abuse of law in the context of European insolvency law, 2-24,2009, <https://epub.ub.uni-muenchen.de>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

როგორც უკვე აღვნიშნე, მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ განსაზღვრა ვალაუვალობის წარმოების დაწყების მიზნით არსებითად მნიშვნელოვანია. არსებული მნიშვნელოვანია, რათქმაუნდა, თორუმ შოპინგის მიზნებისთვისაც. მნიშვნელოვანია, რომ მენარმე სუბიექტები შესაძლებელია ერთდროულად ევროკავშირის წევრ რამდენიმე სახელმწიფოში ოპერირებდნენ. ასეთ დროს ბუნებრივია უფრო რთულდება, როგორც მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ დადგენა, ასევე მიგრაციის საკითხების განსაზღვრა. ხშირია შემთხვევა, როდესაც მსგავსი სახის მოვალე საზოგადოებები მიგრაციისას მიუთითებენ კონკრეტულ სახელმწიფოს იმ საფუძვლით, რომ საზოგადოების კუთვნილი ქონების მობილიზებას იმ სახელმწიფოდან უკეთ უზრუნველყოფენ. სინამდვილეში კი მათი მიზანი იმ კონკრეტული სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმებიდან მეტი სარგებლის მიღებაა.

2.3 მიგრაცია პირადი ინტერესების საფუძვლით

ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია შეიცავს ისეთ ნორმებს, რომლებიც წარმოადგენენ, გარკვეულწილად, სახელმძღვანელო ნორმებს კონკრეტული სასამართლოებისთვის, რათა დაადგინონ მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი“. აღნიშნული დამატებები, ასევე ითვალისწინებს მოვალე საზოგადოების მიგრაციის პრევენციას, საკუთარი პირადი მიზნებიდან გამომდინარე⁹⁵ (განახლებული რეგულაციის ჩანართი 5, 29 – 31)⁹⁶;

⁹⁵ Eidenmuller H, abuse of law in the context of European insolvency law, 2-24,2009, <https://epub.ub.uni-muenchen.de>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

⁹⁶ European Insolvency Regulation Recast, recital 5, 29 – 31), 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

როდესაც ვსაუბრობთ საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ მიგრაციაზე, უნდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებელია „არსებითი ინტერესების ადგილი“ იყოს ყველასთვის ნათლად აღსაქმელი. ეს უკანასკნელი გულისხმობს, იმას, რომ მოვალე საზოგადოების განახლებული „არსებითი ინტერესების ადგილი“⁹⁷ უნდა იყოს მის განსაზღვრისთვის აუცილებელი კომპონენტებთან შესაბამისობაში⁹⁸.

მაგალითისთვის, თუ ევროკავშირის წევრი ერთი სახელმწიფოდან მოვალე საზოგადოებამ გადაიტანა საკუთარი „არსებითი ინტერესების ადგილი“ სხვა წევრ სახელმწიფოში და შემდეგ პირდაპირ დაინყო ვალაუვალობის წარმოება მიმღებ სახელმწიფოში, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი“ მიმღებ ქვეყანაშია.

ეს ნიშნავს იმას, რომ „არსებითი ინტერესების ადგილის“⁹⁹ განსაზღვრისთვის ერთ-ერთი აუცილებელი კრიტერიუმი - რომ მოვალის საქმიანობა უნდა იყოს რეგულარული - არ აღმოჩნდა მოვალე საზოგადოების მიზნებთან შესაბამისი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ კრიტერიუმები ცხადად და ნათლად წარმოჩენილი უნდა იყოს მოვალე საზოგადოების მიერ და იმ შემთხვევაში, თუ მიმღებ სახელმწიფოში, მოვალე საზოგადოება რეგულარულად განახორციელებს თავის ეკონომიკურ აქტივობას¹⁰⁰ და აღნიშნული აღიარებული იქნება მოვალე საზოგადოების კრედიტორების მიერ,

⁹⁷ Veder Paul M, Cross – Border insolvency proceedings and security rights, comparison of Dutch and German law, the EC insolvency regulation and the UNCITRAL model law on cross – border insolvency, 2004, 309 – 320, <http://www.insol.org>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

⁹⁸ Latella D, The “COMI” concept in the revision of the European insolvency regulation, 10-24, www.ssrn.com, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

⁹⁹ European Insolvency Regulation Recast, recital 28, 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹⁰⁰ www.ssrn.com, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

ახალ სახელმწიფოში მდებარე სასამართლო იქნება უფლებამოსილი, დაიწყოს ვალაუვალობის პირველადი წარმოება¹⁰¹.

ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია ცდილობს განასხვავოს ერთმანეთისგან, ერთი მხრივ, „არსებითი ინტერესების ადგილის“ სიცხადისთვის არსებული კომპონენტები, ხოლო, მეორე მხრივ, მოახდინოს მოვალე საზოგადოების პირადი ინტერესებით მიგრაციის პრევენცია. განახლებული რეგულაციის 28 - ე ჩანართის მიხედვით¹⁰² „არსებითი ინტერესების ადგილი“ ცხადი და ნამდვილია მიმღებ ქვეყანაში მაშინ, როდესაც იგი აღიარებულია მოვალე საზოგადოების კრედიტორების მიერ.

მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ მოვალე საზოგადოების მიერ „არსებითი ინტერესების ადგილის“ მიგრაცია არის ნამდვილი და არ არის განპირობებული მოვალე საზოგადოების პირადი ინტერესებით, მიმღებ სახელმწიფოს აქვს უფლებამოსილება, დაიწყოს ვალაუვალობის წარმოება სწორედ მიმღები სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების მიხედვით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ფაქტი მისაღებია თუ არა მოვალე საზოგადოების კრედიტორებისთვის და არის თუ არა მიმღები სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმები მისაღები.

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია არ კრძალავს მიგრაციას ვალაუვალობის წარმოების დაწყების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ მოვალე საზოგადოება მიმღებ ქვეყანაში რეგულარულად განახორციელებს საკუთარ ეკონომიკურ ადმინისტრირებას და აღნიშნული აღიარებული იქნება კრედიტორების მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დასაშვებია, როგორც, მოვალე საზოგადოების რეგისტრირებული მისამართის,

¹⁰¹ Ringe G, Forum shopping under the EU insolvency regulation, University of Oxford, Legal research paper series N 33/2008, 22-30, www.ssrn.com. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹⁰² European Insolvency Regulation Recast, recital 28, 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

ასევე მისი „არსებითი ინტერესების ადგილის“ ცვლილება, თუმცა იმისათვის, რომ მიმღებ სახელმწიფოში მოვალე საზოგადოების ქონება და აქტივობა იყოს აღიარებული, ამისთვის, პირველ რიგში, მოვალე საზოგადოებამ უნდა აცნობოს კრედიტორებს. იმისათვის, რომ მიმღები სახელმწიფოს მიერ მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი“ აღიარებული იყოს, მოვალის მიერ კრედიტორებისთვის არსებული პროცესის შეტყობინება გარკვეულ ვალდებულებასაც წარმოადგენს.

შესაბამისად, როდესაც ვალაუვალი მოვალე, გადანყვეტს, რომ შეცვალოს საკუთარი „არსებითი ინტერესების ადგილი“, პირველ რიგში, უნდა აცნობოს კრედიტორებს საკუთარი გადანყვეტილების შესახებ. რა თქმა უნდა, მოვალე საზოგადოებას აქვს უფლება, ნებისმიერ დროს გადაიტანოს საკუთარი „არსებითი ინტერესების ადგილი“ საკუთარი სურვილის შესაბამისად. თუმცა, ხშირია შემთხვევა, როდესაც მოვალე ბოროტად სარგებლობს არსებული შესაძლებლობით და მიმართავს მიგრაციას პირადი სარგებლის მიღების მიზნით. ასეთ დროს, ისინი ცდილობენ, აირჩიონ ისეთი მიმღები ქვეყანა, რომელიც უფრო მეტად მისცემს მოვალე საზოგადოებას ფინანსურ სარგებელს და ამ დროს საერთოდ არ ფიქრობენ კრედიტორების მდგომარეობაზე.

2.4 მოცდის პერიოდი

მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია შეიცავს მითითებას გონივრული ვადის შესახებ, რომლის მიხედვით განისაზღვრება მიგრაციის დროს მიმღებ სახელმწიფოში მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ ნამდვილობა და შემდგომში, ვალაუვალობის წარმოების დანყების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში,

გონივრულ ვადაში იგულისხმება სამი თვე¹⁰³ და მისი დანიშნულება არის ის, რომ აუცილებელია ვალაუვალი მოვალე სამი თვის განმავლობაში მაინც იმყოფებოდეს მიმღებ სახელმწიფოში იმისათვის, რომ „მოიპოვოს უფლება“, მიმართოს მიმღებ სასამართლოს ვალაუვალობის წარმოების დანციების შესახებ¹⁰⁴.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მოვალე საზოგადოება რეგულარულად უნდა ახორციელებდეს ეკონომიკურ აქტივობას ახალ სახელმწიფოში. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული გონივრული ვადა ვრცელდება ფიზიკურ პირებზეც, რომელთათვის განსაზღვრულია 6 თვე, რაც ნიშნავს იმას, რომ მანამ სანამ ისინი მიმართავენ ახალ სახელმწიფოს ვალაუვალობის წარმოების შესახებ, აუცილებელია ექვსი თვე იმყოფებოდნენ მიმღებ სახელმწიფოში¹⁰⁵.

ვინაიდან ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია იცნობს ფიზიკური პირების ვალაუვალობის წარმოების შესაძლებლობას და შესაბამისად შევხებით ფიზიკურ პირებს მიგრაციის ნაწილშიც, ვერ ავუვლით გვერდს ფიზიკურ პირებთან მიმართებით ევროკავშირის ყველაზე აქტუალურ პრაქტიკულ შემთხვევას, რომელიც, ცნობილია, როგორც Suzanne Staubitz-Schreiber¹⁰⁶ - ის მაგალითით და ევროპულმა მართლმსაჯულების სასამართლომ 2006 წლის 17 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება.

Suzanne Staubitz-Schreiber - იყო გერმანიის მოქალაქე, რომელიც დაკავებული იყო გარკვეული ტელეკომუნიკაციის აღჭურვილობის წარმოებით და ვაჭრობით. 2001 წელს მან შეწყვიტა საქმიანობა და ამავე წლის დეკემბერში

¹⁰³ European Insolvency Regulation Recast, Art 72 (e) 2015/848, <http://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹⁰⁴ Ringe G, Forum shopping under the EU insolvency regulation, University of Oxford, Legal research paper series N 33/2008, 22-30, www.ssrn.com, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

¹⁰⁵ Latella D, The “COMI” concept in the revision of the European insolvency regulation, 10-24, www.ssrn.com, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

¹⁰⁶ საქმე - C-1/04, Suzanne Staubitz – Schreiber – judgement of the court, (grand chamber), 17 January 2006, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

მიმართა განცხადებით ადგილობრივ სასამართლოს ვალაუვალობის პირველადი წარმოების დაწყების შესახებ. 2002 წლის აპრილში კი გადავიდა ესპანეთში სამუშაოდ და საცხოვრებლად. 2002 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით, გერმანიის სასამართლომ უარი თქვა აღნიშნული საკითხის განხილვაზე იმ საფუძვლით, რომ გერმანიაში „არ იყო სახეზე კონკრეტული ქონება“.

არსებული ჩანაწერით, გერმანულმა სასამართლომ ფაქტიურად აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ გერმანიაში არ იყო „არსებითი ინტერესების ადგილი“, ვერ განიხილავდა კონკრეტულ განცხადებას და არსებული საკითხი უნდა განეხილა ესპანეთის სასამართლოს.

Suzanne Staubiz-Schreiber - მა განცხადებით მიმართა ამავე სასამართლოს, რომლის მიხედვით მათ უნდა განეხილათ მისი საქმე მისი იმ საცხოვრებლის მიხედვით, რომელიც ჰქონდა განცხადების დაწერის მომენტში, ანუ 2001 წლის დეკემბერში.

ვინაიდან გერმანიის სასამართლომ ვერ მიიღო გადაწყვეტილება, საბოლოოდ განეხილა თუ არა არსებული განცხადება, მან მიმართა ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს შემდეგი შეკითხვით: „აქვს თუ არა ისევ უფლებამოსილება იმ ქვეყნის სასამართლოს, რომელსაც მიმართა განმცხადებელმა ვალაუვალობის წარმოების შესახებ, განიხილოს აღნიშნული განცხადება იმ შემთხვევაში, თუ მოვალემ შეიცვალა „არსებითი ინტერესების ადგილი“ მას შემდეგ, რაც განცხადებით მიმართა სასამართლოს, მაგრამ მანამ სანამ სასამართლო მიიღებდა გადაწყვეტილებას ვალაუვალობის პირველადი წარმოების შესახებ და დაიწყებოდა წარმოება? ან ხომ არ არის სხვა ქვეყნის სასამართლო უფლებამოსილი, განიხილოს არსებული განცხადება?“

საბოლოოდ, სად არის Suzanne Staubiz-Schreiber - ის „არსებითი ინტერესების ადგილი“?

ევროპულმა მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ ადგილობრივი სასამართლო უნდა ამოსულიყო რეგულაციის მე - 3 მუხლის ინტერპრეტაციიდან¹⁰⁷, რომლის მიხედვით, ვალაუვალობის პირველადი წარმოება იწყება იმ უფლებამოსილი სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც მოვალე საზოგადოება ფლობს „არსებითი ინტერესების ადგილს“.

შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა, თუ როდის შეიცვალა მოვალე საზოგადოებამ „არსებითი ინტერესების ადგილი“ და ის ფაქტი, რომ ჯერ მიმართა განცხადებით ერთი ქვეყნის სასამართლოს, ხოლო ამის შემდგომ შეიცვალა „არსებითი ინტერესების ადგილი“ და გადავიდა სხვა სახელმწიფოში, არ აძლევს პირველ სახელმწიფოს უფლებას, მოვალე საზოგადოების მიმართ დაიწყოს ვალაუვალობის პირველადი წარმოების პროცესი.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან „არსებითი ინტერესების ადგილის“ ცვლილება და პირადი ინტერესების ბოროტად გამოყენება. მაგალითად, როდესაც ვალაუვალი მოვალე „არსებითი ინტერესების ადგილს“ გადაიტანს სხვა სახელმწიფოში და შემდეგ მიმღებ სახელმწიფოს მიმართავს ვალაუვალობის წარმოების დაწყების განცხადებით 5 თვეში, ესეიგი, მანამ სანამ მოცდის პერიოდი გაივლის (მოცდის პერიოდი 6 თვეა) არსებულ სასამართლოს აქვს უფლება, რომ დაიწყოს ვალაუვალობის პირველადი წარმოება, თუმცა განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი „არსებითი ინტერესების ადგილი“ არის მიმღებ ქვეყანაში და მისი მიზანი არ არის პირადი სარგებლის მიღება, არამედ ვალაუვალობის წარმოების შესაძლებლობა ობიექტურ კრიტერიუმებზე განაპირობა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ვალაუვალ მოვალეს აქვს მოცდის პერიოდი, რომლის გასვლამდეც არ აქვს უფლება მიმართოს მიმღებ

¹⁰⁷ European Insolvency Regulation Recast, Art 3, (1), 2015/848 <https://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამონმეხულ იქნა 02/05/2022

სახელმწიფოს ვალაუვალობის წარმოების შესახებ, არ არის მართებული და მნიშვნელოვანია იმ ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინება, რომლის წინაშეც შესაძლოა აღმოჩნდეს ვალაუვალი მოვალე მიმღებ სახელმწიფოში.

2.5 კრედიტორების დაცვა მიგრაციის დროს

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ის საკითხი, რომელიც განხილულია საზოგადოებათა მიგრაციასთან დაკავშირებით, პირდაპირ უკავშირდებოდა მოვალე საზოგადოების კრედიტორებს. ბუნებრივია, კრედიტორების როლი ვალაუვალობის წარმოების პროცესში საარსებოდ მნიშვნელოვანია, თუმცა, საზოგადოების მიგრაციასთან დაკავშირებით, კრედიტორის როლი გაზრდილია იმდენად, რამდენადაც იმისათვის, რომ აღიარებულ იქნას მოვალე საზოგადოების მიგრაციის შედეგად განახლებული „არსებითი ინტერესების ადგილი“, საჭიროა კრედიტორების დასტური. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ კრედიტორთა ჩართულობის მნიშვნელობას, მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ მათი ჩართულობის გარეშე მოვალე საზოგადოების მიგრაცია თითქმის შეუძლებელი იქნება.

მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია, თავის მხრივ, შეიცავს კრედიტორთა დაცვის იდეას. აშკარაა ისიც, რომ, ერთი მხრივ, კრედიტორებს აქვთ უფლება არ დაეთანხმონ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მოვალე საზოგადოების მიმართ ვალაუვალობის პირველადი წარმოების შესახებ და ამასთან, მეორე მხრივ, კრედიტორებს აქვთ უფლება, რომ სცადონ ვალაუვალობის პირველი წარმოების დაწყება მოვალე საზოგადოების მიმართ იმ სახელმწიფოში, სადაც მათი აზრით, მოვალე საზოგადოებას ნამდვილად აქვს „არსებითი ინტერესების ადგილი“.

აქვე უნდა ითქვას, რომ გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, რომლებიც უშუალოდ კრედიტორთა მნიშვნელობასა და მათ დაცვას უსვამს ხაზს, არსებობს მთელი რიგი ინსტრუმენტებისა, რომლებიც კრედიტორთა დაცვის გარკვეულ იარაღებს წარმოადგენენ, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე და ისინი ეხება, როგორც უზრუნველყოფილ, ასევე არაუზრუნველყოფილ კრედიტორებსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ვალაუვალი მოვალის მიგრაცია გამყარებულია კრედიტორის ნების გამოვლენითაც, რომელიც, თავის მხრივ, უკეთეს პირობას ელოდება ვალაუვალობის წარმოების პროცესში, ვინაიდან კრედიტორმა იცის, რომ იმის მიუხედავად, თუ რომელი ქვეყნის სასამართლო დაინყებს ვალაუვალობის პირველად წარმოებას, არ შესუსტდება კრედიტორთა როლი და ყოველთვის გათვალისწინებული იქნება მათი ჩართულობის აუცილებლობა, ისე რომ არ შეილახოს კრედიტორების, როგორც უზრუნველყოფილი პირების არსებობა ვალაუვალობის წარმოების არცერთ ეტაპზე.

საზოგადოებათა მიგრაცია ევროპული ვალაუვალობის სამართლისთვის 2000 წლიდანვე წარმოადგენდა საკითხს, რომელიც არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი ევროპული კანონმდებლისთვის. ლოგიკურია, ვინაიდან საქმე ეხება ერთ ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის რეგისტრაციის უწყვეტად გადატანას სხვა სახელმწიფოში. მეტიც, საქმე ეხება არა მხოლოდ რეგისტრაციის, არამედ ევროპული ვალაუვალობის მამოძრავებელი ელემენტის - მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ ცვლილებასაც.

რაც უფრო მეტი დრო გავიდა ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის დანერგვიდან ევროკავშირში, მით უფრო ხშირად ახსენებდა თავს კანონმდებელს საზოგადოებათა მიგრაციის შესაძლებლობა, მათი ძველი თუ ახლანდელი მდგომარეობა, ვალაუვალობის პირველად წარმოებაზე

უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრა, მოვალე საზოგადოების მიერ დაგეგმილი მიგრაცია პირადი ინტერესების საფუძვლით, კრედიტორთა დანიშნულება ზემოაღნიშნულ პროცესში და აშ.

საბოლოოდ, მიგრაციის პროცესი ჩამოყალიბდა ისეთ პროცესად, რომელმაც არათუ მოიცვა ვალაუვალობის ევროპული რეგულაციით განსაზღვრული ნორმები, არამედ, საჭირო გახდა დამატებითი ღონისძიებების გატარება, იმდენად რამდენადაც, მენარმე სუბიექტების მიერ მიგრაციის გამოყენებამ რეგულარული ხასიათი შეიძინა, რამაც, თავის მხრივ, წარმოშვა დამატებითი ინსტიტუციების ჩართულობა პროცესის გამჭირვალობისა და ორგანიზების მიზნით. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად კი 2015 წლის მიწურულს განახლდა ევროპული რეგულაცია, რომელმაც არათუ დააცხრო მენარმე სუბიექტების მიგრაციის ამბიციები, არამედ უზრუნველყო პრევენციული ზომების გატარება გარკვეული მექანიზმების საშუალებით.

იმ ფონზე, როდესაც ევროკავშირის ვალაუვალობის რეგულაცია ასე წინაა ქართული რეალობისგან და ცდილობს არათუ დაარეგულიროს მიგრაციის საკითხები, არამედ თავი დაიკვას ვალაუვალი მოვალის ნებსითი თუ უნებლიე არაჯანსაღი ქმედებებისგან, სრულიად უცხოა ქართული სამართლებრივი სივრცისთვის აღნიშნული ინსტიტუტი. მეტიც, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ქართული სამართლებრივი რეალობა უკვე იცნობს საზოგადოებათა რედომიცილების შესაძლებლობას, რაც გარკვეულწილად წარმოადგენს საწყის წერტილს შემდგომი თეორიული დაშვების განვითარებისა, რომ რედომიცილების საკითხი გაითვალისწინოს „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“, აწ უკვე რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონმაც.

მოგვეხსენებათ, რომ ვალაუვალობის სამართალი წარმოადგენს სამენარმეო სამართლის მომიჯნავე დარგს და ყველა ის საკითხი, რაც ეხება რეგისტრირებული მენარმე სუბიექტს, შეძლებისდაგვარად, გათვალისწინებულია ვალაუვალობის სამართალშიც. აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ არის გასაკვირი იმდენად, რამდენადაც მენარმე სუბიექტის წარმოშობასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს სამენარმეო სამართალი, ხოლო შემდგომში მის ლიკვიდაციის საკითხებს სწორედ ვალაუვალობის სამართალი განსაზღვრავს.

აქედან გამომდინარე, თუ მენარმე სუბიექტის წარმოშობისა და საქმიანობის საკითხები გათვალისწინებულია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში, მათ შორის, მათი რედომიცილების თეორიული შესაძლებლობაც, არ იქნებოდა ურიგო, მის მომიჯნავე - ვალაუვალობის სამართალშიც ვხვდებოდეთ თეორიულ შესაძლებლობას საზოგადოებათა მიგრაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავდა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ ვალაუვალობის წარმოების საკითხებს, რაც დადებითად აისახებოდა, საქართველოზე, როგორც ჩვენს რეგიონში, ვალაუვალობის მიმართულებით ყველაზე მაღალგანვითარებულ სახელმწიფოზე.

რაც შეეხება კრედიტორთა ინტერესების დაცვას ვალაუვალობის ქართულ სამართალში, უნდა აღინიშნოს, რომ „გადახდისუნარობის საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის კანონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზად კრედიტორთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება მიიჩნევა. კერძოდ, აღნიშნულ კანონში აქცენტი კეთდებოდა უზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესთა დაცვაზე და შესაბამისად, არაუზრუნველყოფილი კრედიტორების უფლებები მეორეხარისხოვნად აღქმული და ხშირად უგულებელყოფილი იყო.

2007 წლის კანონით მასიდან ამონაგები თანხა შვიდ რიგზე უნდა განაწილებულიყო, რომელთაგან, პროფესორ როინ მიგრაიულის შეხედულებით, 5 რიგზე წამოწეულია სახელმწიფოსა და მსხვილი კრედიტორების ინტერესი და შესაბამისად, არაუზრუნველყოფილი კრედიტორები, რომლებიც მე - 6 რიგს წარმოადგენენ, ხშირად ვეღარ ახერხებენ კრედიტორული მოთხოვნის დაკმაყოფილებას. თუ გავითვალისწინებთ ასევე იმას, რომ რეაბილიტაციის რიცხვი მინიმუმამდეა დაყვანილი, გაკოტრების შემთხვევაში არაუზრუნველყოფილი კრედიტორი ფაქტიურად განწირულია. ჟურნალ Forbes¹⁰⁸ - ის 2017 წლის ერთ-ერთ სტატიაში საუბარია ქართულ ბაზარზე არაერთი მსხვილი კომპანიის გაკოტრების თაობაზე, როგორცაა „ნიუ ენერჯი“, „პოპული“ და აშ. აღნიშნულია, რომ კომპანიების დღის წესრიგი შეიქმნა იმგვარი, რომ მენარმე სუბიექტების არსებული ვალდებულებები აჭარბებდა მათ აქტივებს. შესაბამისად, მსგავს შემთხვევებში, 2007 წლის კანონით ბოლო ორი რიგის კრედიტორთა მოთხოვნა ფაქტიურად განწირული იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულმა კანონმა უზრუნველყოფილი კრედიტორებს არგუნა რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცების უფლება, რომლითაც არაუზრუნველყოფილმა კრედიტორებმა დაკარგეს თეორიული შანსიც კი, მონაწილეობა მიეღოთ გადახდისუნარიანობის საქმის წარმოებაში და საკუთარი ინტერესის დაკმაყოფილება რეაბილიტაციის გზით შეეძლოთ.

რაც შეეხება განახლებული კანონით გათვალისწინებულ დაშვებებს, აღსანიშნავია, რომ 2020 წლის კანონში კრედიტორთა რიგების რაოდენობა შემცირდა სამამდე, რომელთაც გარკვეულ შემთხვევებში შეთანხმებისამებრ შეუძლიათ მათ რიგში უპირატესად დაკმაყოფილდნენ (თუ რა თქმა უნდა, ყველა კრედიტორი დაეთანხმება აღნიშნულს). ახალმა კანონმა ასევე შეცვალა

¹⁰⁸ www.forbes.ge, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022;

მიდგომა უზრუნველყოფილი კრედიტორისადმი, კერძოდ, 1996 წლის კანონის შესაბამისად, აღუდგა უზრუნველყოფის საგანზე წვდომა. აღნიშნული პირდაპირ აისახება არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ინტერესზე, ვინაიდან არაუზრუნველყოფილ ქონებაზე პირდაპირი წვდომა გამყარდა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ განახლებულმა კანონმა შემოსავლების სამსახური ჩამოაცილა უზრუნველყოფილი კრედიტორების კატეგორიას, ხოლო არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს მიეცათ საშუალება გავლენა მოახდინონ რეაბილიტაციის გეგმაზე.

ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ განახლებულმა კანონმა, როგორც მოვალე საზოგადოებას, ასევე კრედიტორთა სამივე ჯგუფს შესაძლებლობა მისცა დემოკრატიულად მიიღოს მონაწილეობა გადახდისუნარობის წარმოებაში და შეძლებისდაგვარად დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნა წარმოების შედეგად.

თავი III. ვალაუვალობის მეორადი წარმოება

ევროკავშირის ვალაუვალობის სამართალი მოვალე საზოგადოების მიმართ ვალაუვალობის წარმოების დაწყების მიზნით, ხელმძღვანელობს უნივერსალურობის პრინციპით. უნივერსალურობის პრინციპი გულისხმობს

გადაწყვეტილების მიღებას ვალაუვალობის პირველადი წარმოების შესახებ ევროკავშირის წევრ იმ სახელმწიფოში, სადაც მოვალე საზოგადოებას გააჩნია „არსებითი ინტერესების ადგილი“¹⁰⁹.

მეორად წარმოებასთან დაკავშირებით, ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია განსაზღვრავს მოვალე საზოგადოების „ადგილმდებარეობის პრინციპს“. მასში იგულისხმება, როგორც ვალაუვალობის პროცესის ცალკეული, ანუ დამოუკიდებელი წარმოება ევროკავშირის სხვა სახელმწიფოში, იმ შემთხვევაში, თუ პირველადი წარმოება არ არის დაწყებული, ასევე ვალაუვალობის მეორადი წარმოება, რომელიც გულისხმობს სალიკვიდაციო წარმოებას, ვალაუვალობის ძირითადი წარმოების დაწყების შემდგომ, მოვალე საზოგადოების კუთვნილი ორგანიზაციული წარმონაქმნის მდებარეობის მიხედვით.

მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის ევროპული სამართლისთვის, მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი“ წარმოადგენს ერთადერთ და უპირობო საფუძველს ვალაუვალობის პირველადი წარმოებისთვის, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვალაუვალობის ევროპული სამართლისთვის კარგად ცნობილია ვალაუვალობის მეორადი წარმოებაც, რომლისთვისაც მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი“ ნაკლებად მნიშვნელოვანია.

მას შემდეგ, რაც ევროკავშირში არსებულმა უფლებამოსილმა კომიტეტებმა აქტიური დისკუსია დაიწყო ვალაუვალობის სამართლის დარგობრივი განვითარებისთვის, რამდენიმე ინიციატივა ვალაუვალობის მეორადი წარმოების იდეის შესახებ ჩავარდა. მარტივად რომ ვთქვათ, ევროპული კანონმდებლების უმრავლესობა ვალაუვალობის წარმოებას

¹⁰⁹ European Insolvency Regulation recast, Art 3, 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022;

მოიაზრებდა ერთიან წარმოებად და შესაბამისად, უარყოფდნენ იდეას, ვალაუვალობის განცალკევებული წარმოების შესახებ.¹¹⁰

განცალკევებული წარმოების ინიციატივა გულისხმობდა იმას, რომ კანონმდებლობას უნდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ ევროკავშირი წარმოადგენს მრავალი სახელმწიფოსგან შემდგარ ერთიან სივრცეს¹¹¹. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოვალე საზოგადოება შესაძლოა ფლობდეს გარკვეულ ორგანიზაციულ წარმონაქმნს, ოღონდ არა იმ სახელმწიფოში, სადაც იგი ამავდროულად აწარმოებს თავის ეკონომიკურ აქტივობას რეგულარულად და მისი საქმიანობა აღიარებულია კრედიტორების მიერ. შესაბამისად, თუ მოვალე საზოგადოებას ექნებოდა ორგანიზაციული წარმონაქმნი სხვა სახელმწიფოში, წარმოება დაიწყებოდა არა „არსებითი ინტერესების ადგილის“, არამედ მოვალე საზოგადოების ორგანიზაციული წარმონაქმნის ადგილმდებარეობის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ ვალაუვალობის ძირითადი და მეორადი წარმოების პროცესები კოორდინირებული იქნება, შესაძლებელია მოვალე საზოგადოების აქტივების ეფექტურ რეალიზაციაში ნაყოფიერი წვლილი შეიტანონ. ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია ემყარება პრინციპს, რომლის მიხედვით, ვალაუვალობის წარმოებაში მონაწილე ლიკვიდატორებმა, შეძლებისდაგვარად მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან წარმოების ნებისმიერ ეტაპზე. აღნიშნული თანამშრომლობა გამოიხატება ინფორმირებულობის გაზრდით და ერთმანეთისთვის წარმოების სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებით.

იმისათვის, რომ წარმოჩენილიყო ვალაუვალობის ძირითადი წარმოების პრიორიტეტები, აღნიშნულ წარმოებაში მონაწილე ლიკვიდატორს

¹¹⁰ Arts R, Main and Secondary proceedings in recast of European Insolvency regulation, Max Planck Institute, Luxemburg, 2-11, <https://www.iiiglobal.org>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹¹¹ Aksamovic D, EU insolvency law – New recast regulation on insolvency proceedings, 81-88, 2012, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

ვალაუვალობის ევროპულმა რეგულაციამ უფლება მისცა მეორადი წარმოების ეტაპზე ჩარევის. სწორედ აღნიშნული მიზნის სისრულეში მოყვანის შესაძლებლობაა ძირითად და მეორად წარმოებაში მონაწილე ლიკვიდატორებს შორის კომუნიკაციის გაცვლა და პროცესის ირგვლივ კოორდინაცია¹¹².

ისინი ვალდებული არიან დაუყონებლივ აცნობონ ერთმანეთს ძირითადი და მეორადი წარმოების ირგვლივ მიმდინარე საკითხები, განსაკუთრებით კი ის საკითხები, რომლებიც ეხება მოვალე საზოგადოების მიმართ კრედიტორთა ინტერესს, აღნიშნული ინტერესების არსებობის საფუძვლების შემოწმებასა და ვალაუვალობის წარმოების შეწყვეტას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვალაუვალობის წარმოებებში მონაწილე ლიკვიდატორებს ერთმანეთთან არამხოლოდ კომუნიკაციის, არამედ თანამშრომლობის ორმხრივი ვალდებულება გააჩნიათ.

როდესაც საუბარია ვალაუვალობის მეორადი წარმოების შესახებ, პირველ რიგში, საყურადღებოა მოვალე საზოგადოების ორგანიზაციული წარმონაქმნის მნიშვნელობა და დანიშნულება, ვინაიდან, თუ მოვალე საზოგადოება არ ფლობს ორგანიზაციულ წარმონაქმნს ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია ვალაუვალობის მეორადი წარმოების დაწყება მოვალე საზოგადოების მიმართ.

რას ნიშნავს მეორადი წარმოების დაწყება - ვალაუვალობის 2000 წლის ევროპული რეგულაციის 27¹¹³ -ე და ვალაუვალობის ევროპული 2015 წლის რეგულაციის 34¹¹⁴ - ე მუხლების მიხედვით, როდესაც მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი“ მდებარეობს ევროკავშირის წევრ ერთ სახელმწიფოში, ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყნის სასამართლოს, უფლება აქვს

¹¹² Arts R, Main and Secondary proceedings in recast of European Insolvency regulation, Max Planck Institute, Luxemburg, 2-11, <https://www.iiiglobal.org>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹¹³ European Insolvency Regulation, Art 27; <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹¹⁴ European Insolvency Regulation Recast, Art 34; <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

დაიწყოს ვალაუვალობის წარმოება მოვალე საზოგადოების მიმართ, იმ შემთხვევაში, თუ მოვალე საზოგადოება ამავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ფლობს გარკვეულ ორგანიზაციულ წარმონაქმნს.

ორგანიზაციულ წარმონაქმნის მნიშვნელობა განსაზღვრულია ვალაუვალობის ევროპულ რეგულაციაში, რომლის თანახმად, ნებისმიერი ადგილი, სადაც მოვალე საზოგადოება ფლობს გარკვეულ აქტივს, რომლის საშუალებით ეწევა ადგილობრივ ეკონომიკურ საქმიანობას და აღნიშნულს აქვს მინიმუმი ორგანიზაციული სტრუქტურა, მინიმუმი საქმიანობის სტაბილურობა - აღქმულია, როგორც ორგანიზაციული წარმონაქმნი (მაგ: ფაბრიკა - ქარხნები). შესაბამისად, ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის თანახმად, მეორადი წარმოების მიზნებისთვის მხოლოდ საბანკო ანგარიშები და მოძრავი ნივთები არ არის საკმარისი.

მნიშვნელოვანია, რომ ვალაუვალობის მეორადი წარმოება შემოფარგლულია იმ ორგანიზაციული წარმონაქმნით, რომელსაც მოვალე საზოგადოება ფლობს ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში და აღნიშნულის საშუალებით ეწევა ადგილობრივ ეკონომიკურ საქმიანობას¹¹⁵. თუმცა, რამდენად სწორია მსჯელობა, თუ ვიტყვით, რომ ორგანიზაციული წარმონაქმნი თავის არსში მოიცავს ქონებას ან პირიქით? და თუ არსებულ ლოგიკას სამართლებრივ არგუმენტებს მივაშველებთ, შესაძლოა გავაბათილოთ ზემოაღნიშნული და ვთქვათ, რომ მოვალე საზოგადოების საბანკო ანგარიშები შესაძლოა საკმარის იყოს ვალაუვალობის მეორადი წარმოების მიზნებისთვის. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა შეიძლება ითქვას, რომ დღემდე მიმდინარეობს ევროკავშირში¹¹⁶.

¹¹⁵ Veder Paul M, Cross-border Insolvency proceedings and Security rights – A comparison of Dutch and German law, the EC insolvency regulation and the UNCITRAL model law on cross-border insolvency, 315-320, 2004, <https://faculty.insol.org>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

¹¹⁶ Kirkbridge J and Howells, International Journal of Law and Management, 57-72, <http://www.emeraldgroupublishing.com>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

სწორედ მსგავსი დაშვებების არსებობის პრევენციის მიზნებიდან გამომდინარე, ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია¹¹⁷ შეიცავს დათქმას უშუალოდ ქონებასთან დაკავშირებით. ვალაუვალობის ევროპული რეგულაცია, ქონების განმარტებით შეეცადა გაემიჯნა ერთმანეთისგან ორგანიზაციული წარმონაქმნისა და ქონების ურთიერთდამოკიდებულება¹¹⁸. რამდენად კარგად გამოუვიდა ეს, სხვა საკითხია, თუმცა ცალსახაა, რომ მათი ურთიერთდამოკიდებულების გამიჯვნის საჭიროება, გამოიწვია ვალაუვალობის მეორადი წარმოების ეტაპზე არსებულმა ხარვეზებმა¹¹⁹.

აღნიშნულ საკითხს მარტივი სამართლებრივი ამოსავალი წერტილი აქვს, რომელსაც იცნობს ქართული სამართლებრივი სივრცეც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147¹²⁰ - ე მუხლის მიხედვით: ქონებაში მოიაზრება „ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომლის შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება მწიგნობრივ ნორმებს“.

შესაბამისად, ბუნებრივია, რომ როდესაც მოვალე საზოგადოების კრედიტორი მიმართავდა ვალაუვალობის მეორადი წარმოების მიზნით, ევროკავშირის წევრ იმ სახელმწიფოს, სადაც მოვალე საზოგადოების გარკვეული ქონება მდებარეობდა, დღის წესრიგში დადგებოდა მტკიცების ტვირთი - რამდენად იყო არსებული ქონება ორგანიზაციული წარმონაქმნი, ან რამდენად გააჩნდა მას ორგანიზაციული სტრუქტურის თუნდაც მცირედი.

¹¹⁷ European Insolvency Regulation recast, Art 2, 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹¹⁸ Arts R, Main and Secondary proceedings in recast of European Insolvency regulation, Max Planck Institute, Luxembourg, 2-11, <https://www.iiiglobal.org>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹¹⁹ Wessels B, European Union Regulation on Insolvency proceedings, 2006, 7-10, <https://www.iiiglobal.org>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

¹²⁰ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 147 - ე მუხლი, <https://matsne.gov.ge>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 01/05/2022

ერთი შეხედვით ეს ნაკლებად აქტუალური საკითხი არცთუ ისე უმნიშვნელოა, ვინაიდან, სწორედ იმაზეა დამოკიდებული ვალაუვალობის მეორადი წარმოების დაწყება, ფლობს თუ არა მოვალე საზოგადოება ქონებას, რომელსაც აქვს ორგანიზაციული წარმონაქმნი¹²¹. მოგეხსენებათ, რომ ევროპული რეგულაციის თანახმად, ქონება მოიცავს რეგისტრირებულ აქტივსაც, ეს უკანასკნელი კი შესაძლოა იყოს მინიმუმი ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე, რომელიც ოპერირებს რეგულარულად.

3.1 განაცხადი მეორადი წარმოების მიზნით

აღნიშნული საკითხი წარმოადგენს ვალაუვალობის მეორადი წარმოებისთვის ერთ - ერთ მნიშვნელოვან საკითხს, ვინაიდან მოგეხსენებათ, რომ მეორადი წარმოება განსხვავდება პირველადი წარმოებისგან, როგორც დაწყების საფუძვლებით, ასევე წარმოების თავისებურებებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია წარმოჩინდნენ იმ უფლებამოსილ პირთა ვინაობა, ვისაც შეუძლიათ მიმართონ უფლებამოსილ სასამართლოს ვალაუვალობის მეორადი წარმოების დაწყების მიზნით.

ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის 37¹²² - ე მუხლის მიხედვით, „ვალაუვალობის მეორადი წარმოების დაწყების მიზნით, უფლებამოსილ სასამართლოში განაცხადის შეტანის უფლება აქვს, ვალაუვალობის პირველად პროცესში დანიშნულ ლიკვიდატორს ან სხვა ნებისმიერ პირს, რომელიც

¹²¹Kirkbridge J and Howells, International Journal of Law and Management, 57-72, <http://www.emeraldgrouppublishing.com>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹²² European Insolvency Regulation Recast, Art 37, 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

უფლებამოსილია მიმართოს უფლებამოსილ სასამართლოს ვალაუვალობის წარმოების დაწყების მიზნით“.¹²³

შესაბამისად, არსებული ჩანაწერის მიხედვით, ვალაუვალობის მეორადი წარმოების დაწყების მიზნით სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება აქვს, როგორც მოვალე საზოგადოებას¹²⁴, ასევე მოვალე საზოგადოების, როგორც უზრუნველყოფილ, ასევე არაუზრუნველყოფილ ნებისმიერ კრედიტორს¹²⁵.

ევროპული ვალაუვალობის სამართლებრივი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ვალაუვალობის მეორად წარმოებას, პირველადი წარმოების პროცესში მონაწილე მხარეები არ მიმართავენ იმ სიხშირით, რა სიხშირითაც მაგალითად „არსებითი ინტერესების ადგილის“ მიხედვით წარმოებულ ვალაუვალობის პროცესებს. არსებული ფაქტი აიხსნება იმით, რომ ვალაუვალობა, როგორც სამართლის დარგი, წარმოადგენს კომპლექსურ სისტემას ევროკავშირის სამართლებრივი სივრცისთვის და შესაბამისად, როდესაც მოვალე საზოგადოება ეკონომიკურად აქტიურია ევროკავშირის წევრ რამდენიმე სახელმწიფოში, რთულდება ვალაუვალობის წარმოება, იმდენად რამდენადაც, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი ნორმების ძირითადი ნაწილები ერთმანეთის მსგავსი არაა.

ბუნებრივია, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები სამართლებრივი სივრცის ჰარმონიზების მიზნით, ხელმძღვანელობენ იმ დირექტივებითა და რეგულაციებით, რომლებიც აუცილებელია ევროკავშირის საერთო სივრცეში

¹²³ Veder Paul M, Cross-border Insolvency proceedings and Security rights – A comparison of Dutch and German law, the EC insolvency regulation and the UNCITRAL model law on cross-border insolvency, 315-320, 2004, <https://faculty.insol.org>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹²⁴ Arts R, Main and Secondary proceedings in recast of European Insolvency regulation, Max Planck Institute, Luxemburg, 11-13, <https://www.iiiglobal.org>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹²⁵ Kirkbridge J and Howells, International Journal of Law and Management, 57-72, <http://www.emeraldgrouppublishing.com>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

არსებობისთვის. თუმცა როდესაც საქმე ეხება კრედიტორთა ინტერესების თანაბარზომიერ დაცვას, ადგილობრივ სამართლებრივ ნორმათა განსხვავებებები ვერ უზრუნველყოფენ ზემოაღნიშნულ მიზანს.

აქედან გამომდინარე, აღარავის უკვირს (მოვალეზე რომ არათფერი ვთქვათ), რომ კრედიტორები ნაკლებად არიან მოტივირებულნი მიმართონ უფლებამოსილ სასამართლოს ვალაუვალობის მეორადი წარმოების დაწყების მიზნით. თვითონ მოვალე საზოგადოება კი რატომ აიტკიებს ისედაც ვალაუვალობის პირველადი წარმოებით დაწყებულ ატკიებულ თავს.

ევროპული პრაქტიკა აჩვენებს, რომ კრედიტორები ხშირად მიმართვენ მეორად, ესეიგი სალიკვიდაციო წარმოებას არა იმიტომ, რომ ეს მათი პირდაპირი სურვილია, (პირიქით) არამედ, აღნიშნული წარმოადგენს საუკეთესო გამოსავალს კრედიტორებისთვის, მაშინ, როდესაც ვალაუვალობის პირველადი წარმოების ეტაპზე, ვერ მოხდა მათი სურვილების სათანადოდ დაკმაყოფილება და მზად არიან იმ ქონების საშუალებით დაიკმაყოფილონ მატერიალური ინტერესები, რომელსაც მოვალე საზოგადოება ფლობს ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში.

მნიშვნელოვანია, რომ მას შემდეგ, რაც მოვალე საზოგადოება ან კრედიტორები მიმართავენ ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოს ვალაუვალობის მეორადი წარმოების დაწყების მიზნით, ჩამოყალიბდეს კოორდინირებული პროცესი ვალაუვალობის პირველად და მეორად პროცესების წარმოების მმართველებს შორის.

აღნიშნული მსჯელობა განპირობებულია ვალაუვალობის ევროპული რეგულაციით, რომლის მიხედვით, პირველად და მეორად წარმოების მმართველებს, აქვთ ვალდებულება, აწარმოონ უშუალო კომუნიკაცია ერთმანეთთან წარმოების ოპტიმალურად დასრულების მიზნით. ამასთან, ისინი

ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ინფორმაციის გაცვლა და ასევე, მოძიება იმ საჭირო ინფორმაციისა, რომელიც საჭირო იქნება წარმოებისთვის.

როდესაც ვსაუბრობთ პირველად და მეორად ვალაუვალობის წარმოებებსა და მათთან დაკავშირებულ საკითხებზე, გვერდს ვერ აუვლით იმას, თუ რა იგულისხმება ვალაუვალობის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებსა თუ ქმედებებში.

ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის მე - 3 (1) მუხლის მიხედვით, იმ სასამართლოს, სადაც მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი მდებარეობს“¹²⁶, უფლებამოსილება აქვს დაიწყოს ვალაუვალობის წარმოება მოვალე საზოგადოების მიმართ.

ასევე, მეტი სიცხადისთვის, ამავე რეგულაციის მე - 2 მუხლისა და მე - 6¹²⁷ დანართის მიხედვით, სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილება ვალაუვალობის წარმოების შესახებ, გულისხმობს იმას, რომ მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება ვალაუვალობისა და ვალაუვალობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით. ასევე, მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერ იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ გამომდინარეობს ვალაუვალობის წარმოებიდან და მჭიდროდ არის დაკავშირებული მასთან.

ევროპულ რეგულაციაში გაკეთებული დათქმა გამყარებულია ვალაუვალობის სამართლის პრაქტიკული მაგალითებითაც. ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს (European Court of Justice) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ბრუსელის 1968 წლის კონვენცია¹²⁸, კერძოდ: ჰენრი გოურდანი vs ფრანც ნადლერის სასამართლო გადაწყვეტილების ნაწილში¹²⁹, ევროპული მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ კონვენციის მუხლი 1 (2) გულისხმობდა ნებისმიერ

¹²⁶ European Insolvency Regulation recast, Art 3 (1), 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹²⁷ European Insolvency Regulation recast, Art 2 – 6, , 2015/848, <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹²⁸ Brussels Convention, 1968, <https://eur-lex.europa.eu> , უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹²⁹ <https://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

გადაწყვეტილებას, რომელიც გამომდინარეობდა ან/და უკავშირდებოდა ვალაუვალობას. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვალაუვალობის წარმოების დაწყებაზე უფლებამოსილი სასამართლოს მნიშვნელობა და ფუნქციები, სწორედ ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის მიზნებიდან გამომდინარეობს.

ევროპულმა მართლმსაჯულების სასამართლომ მსჯელობა იმის შესახებ, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უკავშირდებოდა, როგორც ვალაუვალობის წარმოებას, ასევე მასთან დაკავშირებულ საკითხებს, განამტკიცა და დასძინა, რომ სასამართლო უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება, მაგალითად, ვალაუვალობის მმართველთან დაკავშირებით და, ასევე, ბათილად ეცნო ვალაუვალობის წარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება.

სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს ვალაუვალობის მმართველის მიერ, მოვალე საზოგადოების ქონებასთან დაკავშირებული ქმედებების სამართლებრივი გამართულობა. კონკრეტული მაგალითების დასახელებით, ნათელი ხდება, რომ სასამართლოს ფუნქცია, არის არა მხოლოდ ის, რომ სწორად დაადგინოს მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი“, რომლის საფუძველზეც დაიწყება ვალაუვალობის წარმოება, არამედ ის, რომ გადაწყვიტოს წარმოების ირგვლივ არსებული საკითხები.

ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია გვთავაზობს ახალ დათქმას ვალაუვალობის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით. განახლებული რეგულაციის მუხლი 6 (1)¹³⁰ განმარტავს იმ ქმედებებს, რომელსაც მოიცავს ვალაუვალობის წარმოებასთან დაკავშირებული ქმედებები და აღნიშნავს, რომ „ვალაუვალობის წარმოების დაწყებაზე უფლებამოსილი

¹³⁰ European Insolvency Regulation Recast, Art 6, 2015/848,; <http://eur-lex.europa.eu>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

სასამართლოს აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება წარმოების ირგვლივ და წარმოებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე“.

ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია, ასევე შეიცავს სამართლებრივ ნორმას, რომელიც არ იყო გათვალისწინებული ვალაუვალობის 2000 წლის რეგულაციაში. კერძოდ, განახლებული რეგულაციის თანახმად, ვალაუვალობის მმართველს, უფლება აქვს უზრუნველყოს ვალაუვალობის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთაც ითვალისწინებს ბრუსელის I რეგულაცია. არსებულ ჩანაწერში იგულისხმება, როგორც სამოქალაქო, ასევე კომერციული ხასიათის საკითხები, რომლის საფუძველზეც, მოვალე საზოგადოებას წარმოშობილი აქვს ვალდებულებები.

ზემოაღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ მსგავსი ხასიათის ღონისძიებების დარეგულირება, განპირობებულია ევროკავშირში არსებული საერთო სივრცით და ვალაუვალობის წარმოების ეტაპზე, მოსამართლეს ენიჭება უფლებამოსილება, რომ განიხილოს კონკრეტულ სასამართლოში შეტანილი განცხადება.

მნიშვნელოვანია, რომ იგი უფლებამოსილია განიხილოს განცხადება არამხოლოდ პირველადი წარმოებისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, არამედ მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხების ირგვლივ, რომელიც გამომდინარეობს სწორედ არსებული წარმოებიდან და ასევე, მოიძიოს სხვა ვალდებულებები, რომელიც შესაძლოა მოვალე საზოგადოებას ჰქონდეს და აღნიშნული ვალდებულებების შესრულება აუცილებელი იყოს კრედიტორთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

გაკოტრების მმართველის ინსტიტუტი ოდითგანვე კარგად ნაცნობია ვალაუვალობის ქართული სამართლისთვისაც, ვინაიდან აღნიშნული გათვალისწინებული იყო 1996 წლის გაკოტრების კანონში. გაკოტრების

მმართველი ფაქტიურად წარმოადგენდა კრედიტორთა მიერ, კრედიტორთა პირველ კრებაზე არჩეულ, შემდგომში გაკოტრების სასამართლოს მიერ დამტკიცებულ პირს, რომლის მიზანს წარმოადგენდა გაკოტრების მასის კეთილსინდისიერი მართვა და განკარგვა. თუმცა 2007 წლის „გადახდისუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონმა გაკოტრების მმართველის ფუნქციები დაუქვემდებარა გადახდისუნარობის მეურვეს - აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობის ერთ-ერთ მონაპოვარს წარმოადგენს ის, რომ გაკოტრების მმართველი გადახდისუნარობის წარმოებისა და პროცესის შემადგენელ კვლავ ძლიერ მონაწილედ გვევლინება. კერძოდ, მისი უფლებამოსილების წრე გაფართოებულია. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონის შესაბამისად, კრედიტორებს არ აქვთ შესაძლებლობა შეარჩიონ გაკოტრების მმართველის კანდიდატურა და განსაზღვრონ მისი უფლება-მოვალეობათა ჩარჩო, დღეს მოქმედი რედაქციით გაკოტრების მმართველი წარმოდგენილია, როგორც კრედიტორთა ფიდუციარი. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ მმართველი უნდა მოქმედებდეს მოვალე საზოგადოების კრედიტორთა ერთობლიობის ინტერესებიდან გამომდინარე და მას აკისრია ზრუნვის, ერთგულებისა და კეთილსინდისიერების ვალდებულება.

3.2 ვალაუვალობის მეორადი წარმოება საქართველოში

შესაძლებელია ითქვას, რომ ქართული სამართლებრივი სივრცისთვის უცხო არ არის ვალაუვალობის მეორადი წარმოების იდეა. ბუნებრივია, მეორადი წარმოება გულისხმობს ვალაუვალობის პროცესის განცალკევებულ წარმოებას და ქართული სამართლებრივი პრაქტიკა არ არის მდიდარი მსგავსი

პრეცედენტებით, თუმცა გადახდისუნარობის 2007 წლის კანონი საუბრობს ზემოაღნიშნულის შესახებ, კერძოდ:

„გადახდისუნარობის შესახებ“ 2007 წლის საქართველოს კანონის 54 - ე¹³¹ მუხლის მიხედვით, საზღვარგარეთ წარმოებულ ვალაუვალობის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება უნდა მოხდეს საქართველოშიც. ამავდროულად, ამავე კანონის 55¹³² - ე მუხლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მოვალე უძღვება სამეწარმეო საზოგადოების ფილიალს და მის მიმართ საზღვარგარეთ მიმდინარეობს ვალაუვალობის წარმოება, არ არის გამორიცხული, რომ გარდა იმისა, რომ საქართველოს სასამართლოს მიერ, მოხდება საზღვარგარეთ წარმოებული ვალაუვალობის საქმის ცნობა ქართული სასამართლოს მიერ, შესაძლებელია, რომ საქართველოშიც გაიხსნას ვალაუვალობის განცალკევებული წარმოება.

მნიშვნელოვანია, რომ ასეთ შემთხვევაში, ცალკეული წარმოება დაიწყება, მხოლოდ იმ ქონების მიმართ, რომელსაც მოვალე საზოგადოება ფლობს საქართველოში, ხოლო განსხვავებით ევროპული სამართლისა (ყველა კრედიტორს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა), მხოლოდ იმ კრედიტორებს აქვთ მონაწილეობის მიღების უფლება, რომელთა მოთხოვნებიც უკავშირდება საქართველოში არსებულ ფილიალს, ან მოთხოვნები უკავშირდება სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ობიექტის საქმიანობას.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებული კანონი არ აკონკრეტებს ფილიალთან დაკავშირებულ საკითხებს და იგულისხმება, რომ ფილიალთან დაკავშირებული სამართლებრივი ღონისძიებები რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათალისწინებული ნორმების მიხედვით. მაგალითად, ევროპული კანონმდებლობა აკეთებს დათქმას იმასთან

¹³¹ „გადახდისუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტი. <https://matsne.gov.ge>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹³² „გადახდისუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55 -ე მუხლის 1-ლი პუნქტი. <https://matsne.gov.ge>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

დაკავშირებით, რომ ქონებას, რომელსაც მოვალე საზოგადოება ფლობს ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში, უნდა გააჩნდეს მინიმუმი ორგანიზაციული სტრუქტურა და ასევე უნდა ახორციელებდეს ოპერირებას სტაბილურად. ჩვენს შემთხვევაში კანონი მიგვითითებს, რომ მთავარია მოვალე საზოგადოებას საქართველოში ჰქონდეს ფილიალი იმ მენარმე სუბიექტისა, რომლის მიმართ დაიწყო გადახდისუნარობის საქმე საზღვარგარეთ და მნიშვნელობა არ აქვს არსებული ფილიალი სტაბილურად ოპერირებს საქართველოს ეკონომიკურ ბაზარზე თუ მის არსებობას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს. (მაგ: დარეგისტრირდა ფილიალი, თუმცა ოპერირებს იწყებს 6 თვეში).

რაც შეეხება კრედიტორებთან დაკავშირებულ საკითხებს, საინტერესოა ისიც, თუ რატომ შეზღუდა გადახდისუნარობის 2007 წლის კანონმა¹³³ კრედიტორები და მხოლოდ იმ კრედიტორებს რატომ მისცა უფლება თავიანთი მოთხოვნები დააყენონ, ვისი მოთხოვნებიც ფილიალთან დაკავშირებულ საქმიანობას უკავშირდება.

შესაძლებელია უფრო პრაქტიკული ყოფილიყო მიდგომა, რომ კრედიტორებს, რომლებსაც აქვთ მოთხოვნა საზღვარგარეთ წარმოებულ გადახდისუნარობის წარმოებაში, ასევე მიეცეთ უფლება, მიმართონ, მაგალითად, საქართველოს სასამართლოს მხოლოდ იმით, რომ მათი ინტერესები არ არის დაკმაყოფილებული, მიუხედავად იმისა, გამომდინარეობს თუ არა მათი მოთხოვნები ფილიალის საქმიანობიდან ან/და დაკავშირებული არის თუ არა მასთან. ასეთ შემთხვევაში ალბათ უფრო სწორი იქნებოდა აღნიშნული დაშვების შესაძლებლობა უზრუნველყოფილ კრედიტორებს მაინც მისცემოდათ. სხვა შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ თეორიულად არსებობს

¹³³ „გადახდისუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონი, <https://matsne.gov.ge>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილების გზა, ზემოაღნიშნული შეზღუდვა კი ხელს უშლის ინტერესების თანაბარზომიერი დაცვის პრინციპის აღსრულებას.

აღნიშნული საკითხი და მასთან დაკავშირებული უზუსტობები ცალკე მსჯელობის საგანია და ამ ეტაპზე არ საჭიროებს მეტ დეტალიზებას. თუმცა ცალსახად მნიშვნელოვანია, რომ გადახდისუუნარობის სამართლის იმ ეტაპზე, რომელზეც ქართული გადახდისუუნარობის სამართალი იმყოფება (იმ ცვლილებებით, რომლებიც განხორციელდა 1996 წლიდან დღემდე), მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ წარმოებული გადახდისუუნარობის საქმის, როგორც მინიმუმ ცნობისა და აღიარების არსებობა ქართულ კანონმდებლობაში, რომ აღარაფერი ვთქვათ განცალკევებული წარმოების შესახებ დათქმასთან დაკავშირებით.

საზღვარგარეთ წარმოებულ გადახდისუუნარობის საქმეში მონაწილე კრედიტორებს, საზღვარგარეთ ამ საქმის წარმოების დროს თავიანთი მოთხოვნების დაუკმაყოფილებელი ნაწილის გამო, შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა საქართველოში არსებულ განცალკევებულ წარმოებაში იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაასაბუთებენ თავიანთ სამართლებრივ ინტერესს. აღნიშნული ჩანაწერი საინტერესოა მისი შინაარსიდან გამომდინარე იმდენად რამდენადაც, აღნიშნული დათქმა აპელირებს იმაზე, რომ კრედიტორებმა უნდა დაადასტურონ თავიანთი სამართლებრივი ინტერესი და არ საუბრობს იმაზე, თუ რამდენად შესაბამისობაში იქნება მოვალე საზოგადოების საქართველოში არსებული საქმიანობა კრედიტორების მიზნებისთვის.

მაგალითად, შესაძლებელია კრედიტორებმა დაასაბუთონ თავიანთი სამართლებრივი ინტერესი, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს ასე მოხდება, დღის წესრიგში დადგება საკითხი, თუ რამდენად აკმაყოფილებს მოვალე საზოგადოების საქართველოში წარმოებული საქმიანობა განცალკევებული წარმოებისთვის საჭირო კრიტერიუმებს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ევროპული ვალაუვალობის სამართლის თანახმად, ერთადერთი მტკიცების ტვირთი, რომელიც კრედიტორებს აქვთ მეორადი წარმოების დანაშაულის მიზნით, არის ის, რომ მათ უნდა დაასაბუთონ, რომ მოვალე საზოგადოების საქმიანობა ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში აკმაყოფილებს ევროპული რეგულაციით გათვალისწინებულ იმ კრიტერიუმებს, რომელიც საჭიროა ორგანიზაციული წარმონაქმნისთვის (ორგანიზაცია, სტაბილურობა და აშ). რაც ნიშნავს იმას, რომ კრედიტორებს არ სჭირდებათ იმის მტკიცება, რომ მათ სამართლებრივი ინტერესი ამოძრავებთ, ვინაიდან ეს ისედაც ცალსახაა, როდესაც ვალაუვალობის პირველადი წარმოებისას ვერ მოხდა კრედიტორების თანაბარზომიერი დაკმაყოფილება და ამავდროულად მოვალე საზოგადოება თვლობს გარკვეულ ქონებას სხვა სახელმწიფოში.

ამავე კოდექსის ამავე მუხლის მე - 5 პუნქტის¹³⁴ მიხედვით, ვალაუვალობის საქმის განცალკევებული წარმოების შეწყვეტის შემდეგ დარჩენილი ქონება უბრუნდება საზღვარგარეთ წარმოებულ ვალაუვალობის საქმეზე დანიშნულ შესაბამის უფლებამოსილ პირს.

მნიშვნელოვანია, რომ განცალკევებული წარმოების შესახებ საუბარია გადახდისუნარიანობის განახლებულ კანონშიც, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის აპრილში. საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საუბრობს უცხოური სანარმოს გაკოტრების შესახებ. ამავე კანონის 117 - ე მუხლის¹³⁵ მიხედვით, შესაძლებელია ნებისმიერი არარეგისტრირებული სანარმოს გაკოტრება საქართველოში სასამართლოს მიერ.

¹³⁴ „გადახდისუნარიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-5 პუნქტი. <https://matsne.gov.ge>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

¹³⁵ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 117-ე მუხლი, <https://www.matsne.gov.ge>. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 02/05/2022

უნდა აღინიშნოს, რომ განახლებულმა კანონმა განცალკევებულ წარმოებასთან მიმართებით არ შეზღუდა კრედიტორთა ინტერესთა არეალი და იმ შემთხვევაში თუ კრედიტორს განსაკუთრებული ინტერესი აქვს მოვალე საზოგადოების კუთვნილი, საქართველოში არსებული ფილიალის მიმართ, შესაძლებელია დაინყოს ტერიტორიული გადახდისუუნარობის წარმოება. რა თქმა უნდა, განმცხადებელი კრედიტორი ამავდროულად ვალდებულია დაასაბუთოს განსაკუთრებული ინტერესის ქონა.

საქართველოს სასამართლოს უფლებამოსილების განსაზღვრის მიზნებისთვის, არარეგისტრირებული საწარმო საქართველოში რეგისტრირებულად ჩაითვლება, თუ მისი „მთავარი ინტერესების ცენტრი“ (უკეთესი იქნებოდა „არსებითი ინტერესების ადგილი“) არის საქართველოში ან ფლობს ქონებას საქართველოში.

მნიშვნელოვანია, რომ განცალკევებული წარმოება შეიძლება გაიხსნას არარეგისტრირებული საწარმოს ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე. საზღვარგარეთ რეგისტრირებული საწარმო, რომელიც საქართველოში ახორციელებდა სამენარმეო საქმიანობას, შესაძლებელია გაკოტრდეს, როგორც არარეგისტრირებული საწარმო, მაშინაც, თუ რეგისტრაციის ქვეყანაში განხორციელდა მისი ლიკვიდაცია, რეესტრიდან ამოიშალა ან სხვაგვარად შეწყვიტა არსებობა.

მსჯელობა იქნება სწორი, თუ ვიტყვით, რომ ვალაუვალობის მეორადი წარმოება, თავის მხრივ, ემსახურება კრედიტორთა იმ ინტერესების დაკმაყოფილებას, რომლებიც ვერ შეძლეს ვალაუვალობის პირველადი წარმოების ეტაპზე. მნიშვნელოვანია, რომ მეორადი წარმოების იმედოდ მყოფი კრედიტორები, მიუხედავად იმისა, დაიკმაყოფილეს თუ არა თავიანთი ინტერესები პირველადი წარმოებისას, ცდილობენ გასცდნენ თანაბარზომიერების პრინციპის დაცვას და ხშირად მაინც მიმართავენ

ევროკავშირის წევრ იმ სახელმწიფოს, სადაც მოვალე საზოგადოება ფლობს გარკვეულ აქტივს მეორადი წარმოების დაწყებისთვის.

ბუნებრივია, ასეთ მცდელობები ხშირ შემთხვევაში უშედეგოა. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ მეორადი წარმოების პროცესი არ დაიწყება იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორებმა უკვე დაიკმაყოფილეს თავიანთი ინტერესები პირველადი წარმოების საშუალებით. თუმცა, შესაძლებელია მოხდეს ისეც, რომ კრედიტორთა იმ ჯგუფმა, რომელთა მოთხოვნებიც უკავშირდება არა პირველადი წარმოების სახელმწიფოს, არამედ იმ სახელმწიფოს, სადაც მოვალე საზოგადოება ფლობს ორგანიზაციულ წარმონაქმნს, პირდაპირ ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე მდებარე უფლებამოსილ სასამართლოს მიმართოს.

ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი მოთხოვნებით მიმართოს პირველადი წარმოების სასამართლოს, ჩაებას პირდაპირ წარმოებაში და შემდგომ დააყენოს მოთხოვნა მეორადი წარმოების შესახებ, მოვალე საზოგადოების კრედიტორს შეუძლია უზრუნველყოს მეორადი წარმოების დაწყება მეორე სახელმწიფოში, მას შემდეგ, რაც დაასაბუთებს, რომ მოვალე საზოგადოების ქონება კონკრეტულ ტერიტორიაზე, წარმოადგენს ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე აქტივს, რომელიც სტაბილურად ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვალაუვალობის ქართული სამართალი, შეძლებისდაგვარად, არეგულირებს მეორად წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ვალაუვალობის ქართული სამართლის მიხედვით, შესაძლებელია საზღვარგარეთ წარმოებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოების ცნობა და აღიარება ქართული სასამართლოს მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქმე შეეხება უცხო ქვეყნის მენარმე სუბიექტის მიერ (რომლის მიმართაც მიმდინარეობს

გადახდისუნარობის საქმის წარმოება საზღვარგარეთ) საქართველოში ფილიალის საშუალებით განხორციელებულ სამენარმო საქმიანობას, შესაძლებელი იქნება განცალკევებული წარმოების დაწყება საქართველოში. შესაბამისად, იმ კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნებიც დაუკავშირდება ფილიალს, შესაძლებლობა ექნებათ დაიკმაყოფილონ თავიანთი სამართლებრივი ინტერესები მეორადი წარმოების საშუალებით.

დასკვნა

აღსანიშნავია, რომ არსებულ ნაშრომზე მუშაობის პროცესში, გამოიკვეთა და წარმოჩინდა ევროპული ვალაუვალობის სამართლის ის პრაქტიკული დანიშნულების პრობლემური საკითხები, რომელთა სიღრმისეული კვლევა და ანალიზი არსებითად მნიშვნელოვანი იყო. ვალაუვალობის ევროპული სამართალი ვალაუვალობის ევროპულ რეგულაციებთან ერთად 2000 წლიდან იწყებს განვითარებას, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის სივრცეში შემავალი წევრი სახელმწიფოები (განსაკუთრებით დასავლეთ ევროპა) ჩვენზე ბევრად განვითარებულ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, აღმოჩნდა, რომ ვალაუვალობის, როგორც სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი დარგის წინაშე, თითქმის უძლურები იყვნენ მრავალი წლის მანძილზე და საბოლოოდ, ვალაუვალობის განახლებული რეგულაცია 2015 წელს შეიმუშავეს, რომელიც ძალაში 2017 წლის ივნისიდან შევიდა.

აღნიშნული მოსაზრება დასტურდება იმით, რომ კვლევის ძირითადი ნაწილი ეყრდნობა ევროპული ვალაუვალობის სამართლის იმ ამოსავალ წერტილებს, რომლებიც გახლავთ ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის საწყისები და უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ არსებულ საწყისებში გახლდათ მკაფიო ხარვეზები, რომლებმაც ერთის მხრივ, განაპირობა ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ, ვალაუვალობასთან დაკავშირებული აურაცხელი კაზუსების განხილვა, ხოლო მეორეს მხრივ, ხელი შეუწყო, ვალაუვალობის, როგორც დარგის ხარისხიან და ნაყოფიერ განვითარებას.

მნიშვნელოვანია, რომ თემის სათაური შესაძლებელია დასაწყისში გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ კვლევა ეხება ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის მხოლოდ თეორიული დაშვებების ანალიზს და კვლევა უფრო თეორიული მნიშვნელობისაა, ვიდრე პრაქტიკული დანიშნულების. თუმცა

ცალსახად, კვლევის ეტაპზე წარმოჩენილია ევროპული ვალაუვალობის სამართლის ის პრაქტიკული პრობლემები, რომელთა წინაშეც დიდი ხანია დგას ევროპული ვალაუვალობის სამართლებრივი პრაქტიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ეტაპზე წარმოდგენილი და იდენტიფიცირებულია ვალაუვალობის სამართლის ის პრობლემური საკითხები, რომელთა ქართულ სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის მცდელობა უკვე დაწყებულია, ხოლო სხვა პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, იმედს ვიტოვებ, რომ შეძლებისდაგვარად დროულ ადაპტირებას მოვახდენთ ქართულ ვალაუვალობის სამართალში. მოგეხსენებათ, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, საქართველო, როგორც სახელმწიფო, ვალდებულია უზრუნველყოს თავისი სამართლებრივი ნორმების ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებთან შეძლებისდაგვარად ჰარმონიზება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მეტი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა ვალაუვალობის სამართლის არა საკუთრივ სახელმწიფოს, არამედ რეგიონის დონეზე განვითარების მიზნით.

საზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ევროპული ვალაუვალობის სამართლის პრობლემები, რომელთა იდენტიფიცირებაც მოხდა თემაზე მუშაობის პროცესში, პირდაპირ შეგვიძლია დავუკავშიროთ ქართულ ვალაუვალობის სამართალს. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ვალაუვალობის სამართალი თითქმის არ იცნობს აღნიშნულ საკითხებს, თუმცა უკვე გვაქვს საფუძველი იმისა, რომ კვლევაში წარმოჩენილი საკითხების ქართულ სამართლებრივ სივრცეში ადაპტირებაზე ვიფიქროთ.

არსებული ამბიცია გამყარებულია კვლევაში არგუმენტირებული დაშვებებითა და იმ საფუძველით, რომ კვლევის ნაწილში წარმოდგენილ პრობლემურ საკითხებს სანახევროდ ან ირიბად მოიცავს, როგორც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე, ამჟამად უკვე გაუქმებული, თუმცა, 2007

წლიდან 2021 წლის აპრილამდე მოქმედი „გადახდისუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

მოგვხსენებთ, რომ ქართული სამართლებრივი სივრცე მენარმე სუბიექტებს აძლევს რეგისტრირებული მისამართის ცვლილების, ანუ რედომიცილების შესაძლებლობას, ხოლო კვლევის ნაწილში ერთ-ერთ პრობლემად წარმოდგენილია მენარმე სუბიექტების მიგრაცია არა სამენარმეო საქმიანობის გაგრძელების, არამედ ვალაუვალობის წარმოების მიზნით. ასევე მოგვხსენებთ ისიც, რომ ვალაუვალობის 2020 წლის განახლებული კანონი იცნობს მენარმე სუბიექტის „მთავარი ინტერესების ცენტრს“.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ ჯერ კიდევ კვლევის დასაწყისში გამახვილებული ყურადღება, ვინაიდან საქმე ეხება ვალაუვალობის ევროპული რეგულაციის ამოსავალ წერტილს - მოვალე საზოგადოების „არსებით ინტერესების ადგილს“, რომლის ქართული შესატყვისის ჩემეული რედაქცია შეთავაზებულ იქნა მკითხველისთვის. შესაბამისად, ვალაუვალობის ქართული სამართალი ღია და მოქნილია იმ სიახლეებისთვის, რომელსაც სამართლის განვითარების ყოველდღიურობა განაპირობებს და შეუძლია, რომ ნებისმიერ გამოწვევას სათანადო საფუძვლებით დახვდეს, რაც დასტურდება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 2020 წლის 25 სექტემბრის რედაქციით.

გარდა იმისა, რომ კვლევის უმთავრესი მიზანი ვალაუვალობის ევროპული რეგულაციების თავისებურებების სიღრმისეული კვლევა გახლდათ, პრობლემების იდენტიფიცირება და შემდგომში, ვალაუვალობის ქართულ სამართალში გათვალისწინებისა და მათი ადაპტირების შესაძლებლობის ანალიზი ასევე მნიშვნელოვან ნიშნულს წარმოადგენდა. შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდგომ რაც წარმოჩინდა ვალაუვალობის ევროპული რეგულაციით გათვალისწინებული პრობლემური საკითხები, ასევე

შესაძლებელია ქართულ სივრცეში მათი ადაპტირებისა და დარგობრივი განვითარების მიზნით, გარკვეული სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის:

კარგი იქნება თუ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს 2020 წლის კანონში მოვალე საზოგადოების კუთვნილი ადგილის განსაზღვრება, საიდანაც იგი რეგულარულად ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას და აღნიშნული ადგილი აღიარებულია მესამე პირების მიერ - ჩამოყალიბდება, როგორც მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილი“, ნაცვლად „მთავარი ინტერესების ცენტრისა“. აღნიშნული ცვლილება გზას გაუხსნის უცხო ენიდან გადმოქართულებული ტერმინების სწორი ქართული შესატყვისის მოძებნის საჭიროებებს, ვინაიდან მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივი ნორმის შინაარსი და მისი ქართული შესატყვისი ერთმანეთთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი. სამართლებრივი ნორმის შინაარსი და ის ნება, რომელიც კანონმდებელმა მასში ჩადო, ამოსავალი წერტილია ნორმის ინტერპრეტაციისას, ეს უკანასკნელი კი, როგორც კანონმემოქმედებითი, ასევე პრაქტიკული წარმოების პროცესის აუცილებელი კომპონენტია. წარმოდგენილმა კვლევამ ცხადყო, რომ მოვალე საზოგადოების „არსებითი ინტერესების ადგილის“ სწორი განმარტება და შემდგომში მისი სწორი მოკვლევა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მეტად წარმოჩინდება ზემოაღნიშნული ტერმინის დანიშნულება, შესაძლებელია ხელი შეუწყოს ქართული ვალაუვალობის სამომავლო დარგობრივი განვითარების პროცესს.

ასევე კარგი იქნება, თუ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს 2020 წლის კანონით დარეგულირდება საქართველოში არარეგისტრირებული მენარმე სუბიექტების

რედომიცილება საქართველოში ვალაუვალობის წარმოების დანყების მიზნით. ამავე კანონის 117-ე მუხლის მიხედვით, „საქართველოს სასამართლოს იურისდიქციის განსაზღვრის მიზნებისთვის, არარეგისტრირებული საწარმო რეგისტრირებულად მიიჩნევა, თუ მისი მთავარი ინტერესების ცენტრი საქართველოშია ან ის ფლობს ქონებას საქართველოში. არარეგისტრირებული საწარმოს გაკოტრების მიზნებისთვის, აღნიშნული საწარმოს საქმიანობის ძირითადი ადგილი ან ქონების მისამართი ამ საწარმოს რეგისტრირებულ მისამართად მიიჩნევა“. შესაბამისად, პირველადი საშუალება უცხოური საწარმოების საქართველოში გაკოტრების შესაძლებლობის შესახებ უკვე მოცემულია. მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში, თუ არარეგისტრირებულ საწარმოს საქართველოში მიგრაციის შესაძლებლობა გაკოტრების წარმოების დანყების მიზნით მიეცემათ, ეს უკანასკნელი გზას გაუხსნის შემდგომი პროცესების დარეგულირების შესაძლებლობას. მაგალითად, შესაძლებელი იქნება, რომ უცხო ქვეყნის საწარმომ უზრუნველყოს არა რეგისტრირებული, არამედ არსებითი ინტერესების ადგილის გადმოტანა საქართველოში შემდგომში, ვალაუვალობის წარმოების დანყების შესაძლებლობის მიზნით არსებითი ინტერესების ადგილის შესაბამისად. ამ შემთხვევაში საქართველოში მოვალე საზოგადოების მიმართ დაიწყებოდა ვალაუვალობის არა განცალკევებული წარმოება, არამედ ძირითადი წარმოება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირველ ქვეყანაში საკუთრებაში იქნებოდა ქონება, უკვე იმ ქონების მიხედვით იქნებოდა შესაძლებელი მის მიმართ ვალაუვალობის მეორადი წარმოების დანყებისა.

რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში კრედიტორთა ინტერესების დაცვის საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია, თუმცა ვალაუვალობის ევროპული პრაქტიკა აჩვენებს, რომ მენარმე სუბიექტების მიგრაციის უფლება ვალაუვალობის წარმოების დანყების მიზნით, პირდაპირ კავშირშია

ვალაუვალობის დარგობრივი წისვლისა. მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში თუ იდეა, მენარმე სუბიექტის მიგრაციის შესახებ საქართველოში ვალაუვალობის წარმოების დაწყების მიზნით ხორცს შეისხავს, საჭირო იქნება დამატებითი კვლევა, დაგეგმარებისა და სამართლებრივ ნორმებში იმპლემენტაციის მიზნით, იმისათვის რათა შეიქმნას შესაბამისი სამართლებრივი სივცრე, რომელიც უზრუნველყოფს თანმდევით პროცედურული საჭიროებების დაკმაყოფილებას. რა თქმა უნდა, მსგავსად ევროპული სივცრისა, გვერდს ვერ ავუვლით სიახლითა თუ სამართლებრივი რეფორმით გამოწვეულ კრიტიკას, თუნდაც პრაქტიკულად ქოტურ მდგომარეობას, რომელიც ასახვას ჰპოვებს აურაცხელ კაზუსებში, თუმცა ეს უკანასკნელი გახდება დარგობრივი განვითარებისა და ვალაუვალობის აქტუალიზაციის საწინდარი, რომლის დასტურსაც ვალაუვალობის ევროპული სამართლის განვლილი გზა წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია

1. მიგრიაული რ, ქართული კერძო სამართლის საკითხები, მე-2 გამოცემა, თბილისი 2016;
2. მიგრიაული რ, შესავალი ვაკოტრებისა და გადახდისუნარობის სამართალში, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი 2017;
3. Aasaru E, "The Desirability of 'Centre of Main Interests' as a Mechanism for Allocating Jurisdiction and Applicable Law in Cross-Border Insolvency Law, 2011;
4. Aksamovic D, EU insolvency law – New recast regulation on insolvency proceedings, University of Osijek, Croatia, 2012;
5. Alderton J, The EC regulation on Insolvency Proceedings: streamlining cross-border insolvency, The contrasting approaches of the courts in England and France, 2006;
6. Algero M, In defense of Forum shopping: A realistic look at selecting a Venue, Loyola University New Orleans college of Law, 2000;
7. Alonso Á, EC Regulation 1346/2000 of 29 May 2000 on insolvency proceedings: a five year summary of its application in Spain, 2007;
8. Armour J, European cross-border insolvencies: the race goes to the swiftest, Cambridge law Journal, 2006;
9. Arts R, Main and Secondary proceedings in the recast of the European insolvency regulation, 2015;

10. Athanassiou L, Maritime Cross – Border Insolvency under the European Insolvency Regulation and the Uncitralodel Law, 1st Edition. 2018;
11. Bachner T, The battle over Jurisdiction in European Insolvency Law (eurofood), 2006;
12. Baldwin T, EC Regulation on Insolvency Proceedings – issues involved in the Eurofood case, IL & P 2005;
13. Belohlavek A, EU and International Insolvency Proceeding, 2020;
14. Belohlávek AJ, 'Center of main interest (COMI) and jurisdiction of national courts in insolvency matters (insolvency status), 2008;
15. Beltain sanches, E. & Laguillo, European Insolvency Regulations – Application of the European Regulation on Insolvency Proceedings, 2010;
16. Berends A.J. The EU Insolvency Regulation: Some Capita Selecta, Netherlands International Law Review, 2010;
17. Bewick S, "The EU Insolvency Regulation, Revisited", Vol. 24, 2015;
18. Boer M. de & Wessels, B. The Dominance of Main Insolvency Proceedings under the European Insolvency Regulation, in: Paul Omar, International Insolvency Law, Themes and Perspectives, 2008;
19. Bogdan M. The EC law of international insolvency, Revue des Affaires Européennes, Publié le 1/9/2001;
20. Bookman P, The unsung Virtue of global forum-shopping, vol 92, issue 2, 2017;
21. Boremann A. & Brinkmann, M. & Hahl, M, European Insolvency Regulation: A Commentary, 2019.
22. Bork R and Mangano R, European Cross-border insolvency law, secondary insolvency proceedings, oxford scholarship online, march 2021;
23. Bork R, Corporate Insolvency Law, 1st edition, September 2020;

24. Bork R, The European Insolvency Regulation and the UNCITRAL law on cross-border insolvency, September 12, 2015;
25. Brinkmann, Moritz, European Insolvency Regulation, Article Commentary, 2019;
26. Bufford SL, 'Center of Main Interests, International Insolvency Case Venue, and Equality of Arms: The Eurofood Decision of the European Court of Justice, 2007;
27. Burkhard H, External Evaluation of Regulation N1346/2000 on insolvency proceedings, Wien University, 2011;
28. Burton, Leslie A, Toward an International Bankruptcy Policy in Europe: Four Decades in Search of a Treaty, Annual Survey of International & Comparative Law, Vol. 5 Iss, Article 8, 1999;
29. Calster van G, COMIng, and Here to stay: The review of the European Insolvency Regulation, European Business Law review, 2017;
30. Caneco A, Insolvency Law and attempts to prevent abuse forum shopping in the EU, Setton hall University, 2016;
31. Carriat J, The European Insolvency Regulation, in: Henry Peter, Nicolas Jeandin and Jason Kilborn, The Challenges of Insolvency Law Reform in the 21st Century, 2006;
32. Closset F, Kaserer Ch, Corporate Restructuring and Creditor power: Evidence from European Insolvency Law reforms, January 10, 2021;
33. Comparative and International Insolvency Law, Central Themes and Thoughts, papers from the Leiden Law School Honours Class, Leiden, 2009;
34. Costanza H and Giorgio C, "A Double Lesson from Interedil: Higher Courts, Lower Courts and Preliminary Ruling and Further Clarifications on COMI and establishment under EC Insolvency Regulation", International Insolvency Law, 2012;

35. Csoke A, Opening secondary proceedings, the right to give an undertaking in order to avoid a secondary insolvency proceedings, 2012;
36. Deakin S, "Is regulatory competition the future for European integration?", Swedish Economic Policy Review 13, 2006;
37. Dirix E & Sagaert V, Cross-Border Insolvency in Belgian Private International Law, 2006;
38. Dutta A, Jurisdiction for insolvency-related proceedings caught between European legislation, 2008;
39. Eidenmuller H, Abuse of law in the context of European Insolvency Law, May 13, 2009;
40. Eidenmuller H, Abuse of law in the context of European Insolvency Law, European company and financial law review, vol 6, 2009;
41. European Parliament – Report with recommendations to the commission on insolvency proceedings in the context of EU company La 2011, 2006 (INI);
42. Federico M. Mucciarelli, "The unavoidable persistence of forum shopping in European insolvency law", University of London, SOAS, Department of Financial and Management Studies; University of Modena and Reggio Emilia - School of Economics, 2013;
43. Fitzsimmons A, The Geneva papers on risk and insurance, issues and practice, 2006;
44. Gabriel Moss QC, "Group Insolvency - Choice of Forum and Law: The European Experience Under the Influence of English Pragmatism", Brooklyn Journal of International Law, 2007;
45. Gabriel Moss, " When is a proceeding opened?", Insolvency Intelligence, 2008;
46. Gabriel Moss, "Head office functions" test triumphs in ECJ: Interedil, Insolv. 2011;

47. Gabriel Moss, "New World and Old World: Symphony or Cacophony?", in Professor Rebecca Parry and Paul J. Omar, "International Insolvency Law: Future Perspectives", Nottingham, Paris: INSOL Europe 2015;
48. Gabriel Moss, "Group Insolvency - Forum - EC Regulation and Model Law under the Influence of English Pragmatism Revisited", Brook. J. Corp. Fin. & Com. L, 2014;
49. Galen van R, Mark A, Revision of the European Insolvency Regulation, Insol - Europe, Nottingham, 2020;
50. Galen van R, Revision of the European Insolvency Regulation, Insol Europe. May 2012;
51. Galen van R, The European Insolvency Regulation and groups of companies, Insol Europe annual congress, Cork, 2003;
52. Galen van R, The Recast Insolvency Regulation and group of companies, Era Forum, 2015;
53. Garcimartín F, "The EU Insolvency Regulation Recast: Scope and Rules on Jurisdiction", Universidad Autónoma de Madrid, 2016;
54. Georg Friedrich Schlaefler, "Forum Shopping under the Regime of the European Insolvency Regulation", The International Insolvency Institute International Insolvency Studies, 2010;
55. Ghio Emilie, "European Insolvency Law: Development, Harmonisation, Application and Reform", November 7, 2014;
56. Halen A, Centre of main Interests – a new concept in European Insolvency Law, 2002;
57. Harmonisation of European Insolvency Law, papers from the INSOL Europe Academic Forum Annual Conference Cascais, Portugal, September 2016;
58. Hastings P, The new EU regulation on Insolvency proceedings, 2015;

59. Hoehl T, *Insolvencies and Insolvency Regulation in France*, 2011;
60. Honsberger J, *The nature of bankruptcies and insolvency in a constitutional perspective*, 1972;
61. Humfress C, *Thinking through legal pluralism: Forum Shopping in the later roman empire*, 2014;
62. INSOL Europe, *Regulations and Measures of Protection in National Legislations within the European Union*, Papers from the Judicial Meeting, Vienna, 14 October 2010;
63. INSOL Europe, *The European Insolvency Regulation: An Update*, Papers from the academic forum annual Conference, Stockholm, 2009;
64. Israel J. *European Cross-Border Insolvency Regulation*, 2005;
65. Kastrinou A, "Forum shopping under the EC Regulation on Insolvency Proceedings", *International Company and Commercial Law Review*, 2013;
66. Kastrinou A, "Cross border insolvency and the effect of the EC Regulation on insolvency proceedings", *International Company and Commercial Law Review*, 2012;
67. Kilborn Jason J, *The personal side of harmonizing European Insolvency Law*, Marshall law school, 2016;
68. Kirkbridge J & Howells G, *International Journal of Law and Management – Emerald Group publishing*, ISSN 1754-243 X, 2008;
69. Klein D, Malinowsky Th, *COMI-Migration, comity and cooperation*, Chapter 15 and multy-jurisdictional restructurings; June 7, 2016;
70. Koch H, *International Forum Shopping and Transnational Lawsuits*, The Geneva papers on risk and insurance, issues and practice, 2006;
71. Kreindler R, *Arbitral Forum shopping: observations on recent developments in international commercial and investment arbitration*, 2005;

72. Latella D, The COMI concept in the revision of the European insolvency regulation, 2013;
73. Lawcence R, Center of Main interest (COMI): A creditor's perspective, Vol 13, 2016;
74. Lazic V, Stuij S, Recasting the Insolvency regulation, improvements and missed opportunities, 2020;
75. Lazic V. & Stuij, S, Recasting the Insolvency Regulation Improvements and Missed Opportunities, 2020;
76. Lechner R, waking from the jurisdictional nightnmate of multinational default: the European council regulation on insolvency proceedings, 2002;
77. Luigi M.C, The European Insolvency Regulation: a criticism of the jurisdiction paradigm. 2006;
78. Manson D, Lowe R, Interpreting the meaning of "centre of main interests", CMS Cameron Mckenna nabarro Olswang, May 3, 2006;
79. Marek Szydło, "Prevention of Forum Shopping in European Insolvency Law", European Business Organization Law Review, 2010;
80. Mark Q. C. Arnold, "Truth or Illusion? COMI Migration and Forum Shopping under the EU Insolvency Regulation", Business Law International, Sep2013;
81. Marks D, Conflicts under the EC Insolvency Regulation: First Come, First Served, in: 1 International Corporate Rescue, 2004;
82. Marshal J, The future of the European Insolvency Regulation, 2017;
83. Mcbryde B, Flessner A, Kortmann J, Principles of European Insolvency Law, Kluwer law International, 2005;
84. McCormack G & Bork, R, Security Rights and the European Insolvency Regulation. 2017;

85. McCormack G, "Something Old, Something New: Recasting the European Insolvency Regulation", *Modern Law Review*, 2016;
86. McCormack G, *Reconstruction European Insolvency Law – putting in place a new paradigm*, 2010;
87. McCormack G, *Reforming the European Insolvency Regulation: A legal and Policy perspective*, May 07, 2015;
88. McCormack G, *set – off under European Insolvency regulation (and English law)*, March 19, 2020;
89. McCormack G., Keay, A. & Brown, S, *European Insolvency law – Reform and Harmonization*. 2017;
90. Milman D, *Personal Insolvency Law, Regulation and Policy*, 2017;
91. Moller M, *The checks and balances of forum shopping*, 2012;
92. Moraru BM; Hasanin DMD, *'The Center of Main Interests of the Debtor in the Insolvency Proceedings at the European Union Level Differences between the EU Regulation No. 1346/29 05.2000 and EU Regulation No. 848/20.5.2015*, 2017;
93. Moss G Fletcher, I. & Isaacs, S, *The EU Regulation on Insolvency Proceedings*. 2016;
94. Moustaira E, *International insolvency Law: National Laws and International Texts*, 2018;
95. Mucciarelli F, M, *Not just efficiency: Insolvency Law in the EU and its political dimension*, *European Business Organizational law review*, 2013;
96. Mucciarelli F, M, *The unavoidable persistence of forum shopping in European Insolvency Law*, 2014;
97. Mucciarelli F, *Private international law rules in the Insolvency Regulation Recast, A reform or restatement of the status quo*, 2016;

98. Pannen K. European Insolvency Regulation: Commentary, de Gruyter Commentaries on European Law, 2007;
99. Paul J O, Genesis of the European Initiative in Insolvency Law, wiley online library, 2003;
100. Paul J O, International Insolvency Law, reforms and challenges, routledge 2016;
101. Paulus Ch, A vision of the European Insolvency law, Norton Journal of Bankruptcy Law and Practice, Vol 17, No 5, 2008;
102. Pauwelyn J, Forum shopping before international tribunals: Concerns, possible solution, 2009;
103. Payne J, "Cross-Border Schemes of Arrangement and Forum Shopping", Legal research paper series Paper No. 68/2013;
104. Petsche M, what's wrong with forum shopping? An attempt to identify and assess the real issues of a controversial practice, 2010;
105. Popovici S, 'Cross-Border Insolvency: Frame and Limit for Cross-Border Forced Execution, 2015;
106. Rammeloo S, Cross-border company migration in the EU: Transfer of registered office, 2017;
107. Requejo I M, 'Judicial Cooperation in Cross-Border Insolvency in the Proposed Regulation of the European Parliament and of the Council Amending Regulation (EC) No 1346/2000 on Insolvency Proceedings, (Summary), 2013;
108. Ringe W, Forum Shopping under the EU insolvency Regulation, University of Oxford, Legal research paper series, paper No 33/2008;
109. Rothe N, "Freedom of Establishment of Legal Persons Within the European Union: An Analysis of the European Court of Justice Decision in the Überseering Case", American University Law Review, 2004;

110. Schlaefer G, Forum shopping under the regime of the European Insolvency regulation, The international insolvency institute, 2010;
111. Sefa M, Cross-border Insolvency Law: A comparative institutional Analysis, Oxford Journal of Legal studies, August 30, 2013;
112. Sukhatame Neel, A theoretical and empirical study of forum shopping in diversity cases, august 18, 20114;
113. Sykes A, Transnational forum shipping as a trade and investment issue, 2008;
114. Szydlo M, Prevention of forum shopping in European Insolvency law, 2015;
115. Szydlo M, The notion of COMI in European Insolvency Law, 2009;
116. Tirado I, An Evolution of COMI in the European Insolvency Regulation: From Insolvenzimperialismus to the Recast, November 6, 2015;
117. Titia M, The European Insolvency Regulation and the Harmonization of private International Law in Europe, Netherlands international law review, 2003;
118. Tomlie F, Corporate and Personal Insolvency Law, second edition, Kingston University, 2013;
119. Veder P, M, Cross-border Insolvency proceedings and Security rights – A comparison of Dutch and German law, the EC insolvency regulation and the UNCITRAL model law ;on cross-border insolvency , Kluwer Legal Publishers, 2004;
120. Virgos M. & Garcimartin, F, The European Insolvency Regulation: Law and Practice 1st Edition. 2004;
121. Weideman J, Stander A, European and American perspective on the choice of law cross-border insolvencies of multinational corporations, ISSN 1727-3781;
122. Weijs R J, Harmonisation of European Insolvency Law and the need to Tackle two common problems: common pool and anticommons; 2012;
123. Weijs R, J, & Breeman M.S, Comi-migration: Use or Abuse of European Insolvency Law? Janyary 21, 2015;

124. Weijts RJ, Breeman M, 'Comi-Migration: Use of Abuse of European Insolvency Law, 2014;
125. Wessels B & Verweij M, International Jurisdiction and Groups of Companies, Comparative and International Insolvency Law, 2010;
126. Wessels B, "COMI: past, present and future", *Inso. Int.* 24(2) 2011;
127. Wessels B, Cross-Border insolvency law in Europe, Present status and future prospects, 2017;
128. Wessels B, European Union Regulation on Insolvency proceedings, October 2006;
129. Wessels B, On the future of European Insolvency Law, Insol Europe Academic forum 5, Brussels, 2012;
130. Wessels B, Rights in rem of third parties under the EU insolvency regulation, Fordham University school of law, 2006;
131. Wessels B, The changing landscape of cross-border insolvency law in Europe, *Juridica International*, Vol 12, 2007;
132. Wessels B, The European Union Insolvency Regulation, International Insolvency Institute, Third annual insolvency conference, Fordham University school of law, 2003;
133. Wessels B, twenty suggestions for a makeover of the EU Insolvency regulation, *International case law alert*, 2006;
134. Wessels B, "The Ongoing Struggle of Multinational Groups of Companies under the EC Insolvency Regulation, 2009;
135. Wessels B. & Kluwer, W, *International Insolvency Law Part II. European Insolvency Law*, 4th ed. 2017;
136. Wessels B. & Kokorin, I, *European Union Regulation on insolvency Proceedings: An Inductory Analysis*, 4th edition 2018;

137. Westbrook J, "Theory and Pragmatism in Global Insolvencies: Choice of Law and Choice of Forum", 65 American Bankruptcy Law Journal 457, 1991;
138. Wilkinson A, The case for unifying the EU's insolvency laws, 2005;
139. Wouters N. Cross-border insolvency proceedings in Belgium, 2005;
140. Zwieten v K, An introduction to the European Insolvency Regulation as made and as Recast, Oxford legal studies research, 32/2016;

სამართლებრივი აქტები და პრაქტიკული მაგალითები

1. „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, 1996;
2. „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2007;
3. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2020;
4. European Insolvency Regulation – 1346/2000;
5. European Insolvency Regulation Recast – 2015/848;
6. Draft EEC Convention on Bankruptcy, Winding-Up, Arrangements, Compositions and Similar Proceedings, published in EC Bull Supp 2/82. 1980;
7. EEC Preliminary Draft Convention on Bankruptcy, Winding-up, Arrangements, Compositions, and Similar Proceedings. 1970;
8. European Convention on Certain International Aspects of Bankruptcy, Istanbul, 5 June 1990;
9. Regulation (EU) no 1215/2012 of the European Parliament and of the Council of 12 December 2012 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters (Recast);
10. Eurofood IFSC ltd – C341/04, (reference for a preliminary ruling from the Supreme Court);

11. Rastelli Davide v Jean – Charles Hidoux Judgement of the court, first chamber;
12. Suzanne Staubitz – Schreiber – Case C-1/04, judgement of the court, (grand chamber), 17 January 2006;

ინტერნეტ წყაროები

1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <http://www.matsne.gov.ge>, უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა - 12/12/2021;
2. EUR-LEX online gateway to EU law, <http://eur-lex.europa.eu>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/12/2021;
3. The Court of Justice of European Union, <http://curia.europa.eu>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/12/2021;
4. European Insolvency Assosiation, <http://www.insol-europe.org>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 11/12/2021;
5. European Parliament, <http://www.europarl.europa.eu>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 11/12/2021;
6. Social Science Research Network E-liabrary, <https://papers.ssrn.com>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/12/2021;
7. ResearchGate for Scientists and researchers, <https://www.researchgate.net>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/12/2021;
8. University of Edinburg research explorer, <https://www.research.ed.ac.uk>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14/12/2021;
9. International Journal of Science and Research <https://onlinelibrary.wiley.com>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14/12/2021;

10. European Judicial Training Network, <http://www.ejtn.eu>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/12/2021;
11. Emerald Inside - books and Journals, <http://www.emeraldgroupublishing.com>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10/12/2021;
12. International Insolvency Institute, <https://www.iiiglobal.org>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/12/2021;
13. British Institute of International and Comparative Law, <http://www.biicl.org>, 11/12/2021;
14. Heinonline - Multidisciplinary Research Platform, <https://heinonline.org>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 11/12/2021;
15. Lund University Publications, Lund university library, <https://lup.lub.lu.se>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 11/12/2021;
16. Online working papers, Journals and articles, <https://econpapers.repec.org>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 12/12/2021;